ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება

ერთი წლის შედეგები

2015

სარჩევი

შესავალი 5
1.1. რასა 6
1.2. ეთნიკური კუთვნილება 8
1.3. მოქალაქეობა 10
1.4. სქესი 14
1.5. ორსულობა 18
1.6. სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა 19
1.7. დისკრიმინაცია პოლიტიკური შეხედულების ნიშნით 28
1.8. რელიგია 34
1.9. შეზღუდული შესაძლებლობა 36
1.10. საცხოვრებელი ადგილი 38

2.1. სახალხო დამცველი 40
2.1.1 საქმის განხილვა განცხადების საფუძველზე 40
2.1.2 საქმის განხილვის დაწყება საკუთარი ინიციატივით 41
2.1.3 *actio pupularis* პრინციპი სახალხო დამცველის საქმიანობაში 41
2.1.4 ზოგადი წინადადება და რეკომენდაცია 42
2.1.5 სტერეოტიპული გამონათქვამები და დისკრიმინაცია 43
2.1.6 წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სახალხო დამცველის აპარატში 45
2.1.7 მტკიცების ტვირთი 45
2.1.8. მესამე პირად ჩაბმა საქმის სახალხო დამცველის აპარატში განხილვისას 46
2.1.9 ინფორმაციის გამოთხოვა 47
2.1.9.1 ინფორმაციის გამოთხოვა საჯარო დაწესებულებიდან 47
2.1.9.2 ინფორმაციის გამოთხოვა კერძო დაწესებულებიდან 48
2.1.10 საქმის განხილვის შეჩერება 48
2.1.10.1 საქმეს განიხილავს სასამართლო 48
2.1.10.2 საქმეს განიხილავს ადმინისტრაციული ორგანო 50
2.1.11 საქმის განხილვის ვადები 51
2.1.12 სახალხო დამცველის გადაწყვეტილებათა აღსრულება 51
2.1.13 დისკრიმინაციული შევიწროვება 52

2.2. საერთო სასამართლოები 53
2.2.1 სარჩელის დასაშვებობა 53
2.2.2. მტკიცების ტვირთი 54
2.2.3 სასარჩელო მოთხოვნები 55
2.2.3.1.დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა 55
2.2.3.2 დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა ან მისი შედეგების აღმოფხვრა 56
2.2.3.3 მატერიალური ზიანის ანაზღაურება 57
2.2.3.4 მორალური ზიანი 58
2.2.4 სასამართლოსათვის მიმართვის ვადა 60
2.2.5. *amicus curiae* 61

2.2.6 უფლებადამცველი ორგანიზაციების როლი სამართალწარმოების პროცესში.....62
2.3 სხვა სახელმწიფო დაწესებულებები.....63

რეკომენდაციები სახელმწიფო უწყებებს.....65
რეკომენდაციები სახალხო დამცველს.....65
რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტს 65
რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.....66

კოალიცია თანასწორობისათვის 67

შესავალი

2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი მიიღო, რაც აშკარად წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან მანამდე ქვეყნაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის სრულყოფილი მექანიზმი არ არსებობდა. 2014 წლის 2 მაისამდე სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი, ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას მხოლოდ თანასწორუფლებიანობის დარღვევისათვის, თუმცა, ყველა დისკრიმინაციული ქმედება არ იყო იმგვარი სიმძიმის, რომ მის ჩამდენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაკისრებოდა.

საქართველოს კონსტიტუციის (1995 წ.) მე-14 მუხლი დისკრიმინაციას კრძალავს და ამ მუხლის საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საკმაოდ პროგრესული პრაქტიკა განავითარა. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს მექანიზმი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ეფექტურად საბრძოლველად მაინც შეზღუდულია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს ე.წ. „აბსტრაქტულ კონსტიტუციურ კონტროლს,“ რაც გულისხმობს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შეფასებას, ანუ იმას, თუ რამდენად შეესაბამება კონსტიტუციის მე-14 მუხლს ადმინისტრაციული ორგანოების და სასამართლოების მიერ აღსრულებული ნორმატიული აქტები. საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს და ვერც ექნება კერძო პირების დისკრიმინაციული ქმედების შეფასების უფლებამოსილება. ამ საკითხს შეფასება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას სცილდება.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღებამდე სახალხო დამცველს არაერთხელ გამოუცია რეკომენდაცია დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრის შესახებ. მაგრამ სახალხო დამცველს არსებობის მანძილზე შეზღუდული ჰქონდა კომპეტენცია, კერძოდ, მას არ შეეძლო კერძო პირის მიერ ჩადენილი სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების შესწავლა და რეკომენდაციის გაცემა.

ქვეყანაში, სადაც სექსიზმი, ჰომოფობია და ქსენოფობია სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, არსებული ანტიდისკრიმინაციული მექანიზმები არასაკმარისი აღმოჩნდა. ამიტომ, დღის წესრიგში დადგა კომპლექსური ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შემუშავების საკითხი. გარდა ამისა, სრულყოფილი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღება ევროკავშირთან ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებაა. ევროპული კომისიის მიერ ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოსათვის მომზადებულ საქართველოსთან ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პირველი პროგრესის ანგარიშში, რომელიც 2013 წლის 15 ნოემბერს გამოქვეყნდა, პირდაპირ ჩაიწერა რეკომენდაცია ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შესახებ.[1]

„კოალიცია თანასწორობისათვის“ ანგარიში ასახავს 2014 წლის მაისიდან 2015 წლის 1 აპრილამდე ინფორმაციას ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის სრულყოფის და მისი სათანადო იმპლემენტაციის მიზნით განხორციელებული აქტივობების შესახებ. ანგარიშის პირველ თავში დეტალურად იქნება მიმოხილული კოალიციის წევრი ორგანიზაციების მიერ წარმოებული საქმეები. მეორე თავში აღწერილია ის მიღწევები და გამოწვევები, რაც სახალხო დამცველის მიერ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის გამოყენებისას გამოვლინდა. ამავე თავში საუბარია სასამართლო ხელისუფლების მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის იმპლემენტაციის პროცესუალურ თავისებურებებზე და საქმის

1 REPORT FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT AND THE COUNCILFirst Progress Report on the implementation by Georgia of the Action Plan on Visa Liberalisation გვ.24; ევროპული საბჭო; 2013 წელი; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://ec.europa.eu/dgs/home-affairs/what-is-new/news/news/docs/20131115_1st_progress_report_on_the_implementation_by_georgia_of_the_apvl_en.pdf (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

წარმოებაზე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში. ანგარიშის მესამე თავში მოცემულია რეკომენდაციები სახელმწიფო სტრუქტურებისათვის ანტიდისკრიმინაციული ღონისძიებების დახვეწის კუთხით. მეოთხე თავში განხილულია ინფორმაცია კოალიციის შესახებ.

ანგარიში მომზადებულია „კოალიცია თანასწორობისთვის" წევრი ორგანიზაციების მიერ სახალხო დამცველის აპარატში წარდგენილი საჩივრების, სასამართლოებში შეტანილი სარჩელების, სახალხო დამცველისა და საერთო სასამართლოების მიერ მიღებული საბოლოო და შუალედური გადაწყვეტილებების, მოქმედი კანონმდებლობის, ასევე საჯარო ინფორმაციის სახით სახალხო დამცველის აპარატიდან გამოთხოვილი მასალების ანალიზის საფუძველზე.

ანგარიშში პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, ზოგიერთი მომჩივანის ვინაობა გადმოცემულია ინიციალებით (სახელისა და გვარის პირველი ასოთი). სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის თავში მომჩივანების სახელები და გვარები შეცვლილია. პოლიტიკური შეხედულებების გამო ყველა მომჩივანმა თანხმობა გამოთქვა საკუთარი ვინაობის გამჟღავნებაზე. ასეთივე ნება გამოხატეს ეთნიკური უმცირესობისა და მოქალაქეობის თავში მითითებულმა ზოგიერთმა მომჩივანმაც.

მომდევნო თავში დისკრიმინაციის ნიშნების მიხედვით აღწერილი იქნება კოალიციის წევრი თითოეული ორგანიზაციის მიერ სახალხო დამცველის აპარატში, საერთო სასამართლოში და სხვა სახელმწიფო ორგანოში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონის საფუძველზე წარმოებული საქმეები.

1.1. რასა

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით რასისა და კანის ფერის ნიშნით დისკრიმინაცია პირდაპირ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, რასა კლასიკურ ნიშანს წარმოადგენს. რასის ნიშნით დიფერენცირების შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გამოიყენებს „მკაცრი შეფასების" ტესტს (მოპასუხემ უნდა დაასაბუთოს, რომ დიფერენცირება ემსახურება მწვავე და დაუძლეველი სახელმწიფო ინტერესის დაკმაყოფილებას), თუნდაც არსებითად თანასწორთა შორის განსხვავებული მოპყრობის ინტენსივობა მაღალი არ იყოს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლსა და მე-12 დამატებითი ოქმის პირველ მუხლშიც რასისა და კანის ფერის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვა პირდაპირ არის გათვალისწინებული. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებით გამოყო რასის ნიშანი. საქმეში „ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ" ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რასის ნიშნით დისკრიმინაცია მიიჩნია „განსაკუთრებით შემაშფოთებელი" დისკრიმინაციის სახედ.[2] ამის გამო, თუკი განსხვავებული მოპყრობა ხდება ამ ნიშნით, სახელმწიფოს შეფასების ზღვარი ვიწროა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთმანეთისაგან განასხვავა რასობრივი და ეთნიკური ნიშანი. ევროპულმა სასამართლომ რასასთან დაკავშირებით საქმეში „სედჩი და ფინჩი ბოსნია-ჰერცოგოვინის წინააღმდეგ" განაცხადა: „რასის იდეა ეფუძნება ადამიანების ბიოლოგიური ნიშნით განსხვავებას. რასის ნიშნით სხვადასხვა ჯგუფებად ადამიანების კლასიფიკაცია ხდება ისეთი მორფოლოგიური თავისებურების გათვალისწინებით, როგორიცაა კანის ფერი და სახის აგებულება."[3]

2 „ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ", 145-ე პარაგრაფი; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო; 2005 წლის 6 ივლისი; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-69630 (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

3 „სედჩი და ფინჩი ბოსნია-ჰერცოგოვინას წინააღმდეგ"; 43-ე პარაგრაფი; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო; 2009 წლის 22 დეკემბერი; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-96491 (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

„რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ გაეროს კონვენციის რატიფიცირება საქართველომ 1999 წლის 16 აპრილს მოახდინა. აღნიშნული კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკისრება ვალდებულება, ხელი არ შეუწყოს, არ დაიცვას, მხარი არ დაუჭიროს რომელიმე პირის ან ორგანიზაციის მიმართ განხორციელებულ რასობრივ დისკრიმინაციას.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი რასას, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ნიშანს პირდაპირ ითვალისწინებს.

ა.ჩ. სუპერმარკეტ „სმარტისა“ და რესტორან „მაკდონალდსის“ წინააღმდეგ [4]

საქმე ეხება შავკანიანი მამაკაცის ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას საზოგადოებრივი კვების ორ სხვადასხვა ობიექტში რასისა და კანის ფერის გამო.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: ბრიტანეთის შავკანიანი მოქალაქე, ა.ჩ მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა სუპერმარკეტ „სმარტში.“ ა.ჩ-ს მისამართით უცნობმა მამაკაცმა დაიწყო გინება. ა.ჩ-ს ქართველი მეუღლე მივიდა უცნობ მამაკაცთან და ჰკითხა მიზეზი, თუ რატომ იგინებოდა. უცნობმა მამაკაცმა უპასუხა: „ამ მაიმუნთან რას აკეთებ?“ და გინება მამაკაცმა გააგრძელა. ა.ჩ-მა უცნობ მამაკაცს ჰკითხა, თუ რა პრობლემა ჰქონდა მასთან. უცნობმა მამაკაცმა ა.ჩ-ის მეუღლეს მიმართა, რომ ქმრისთვის ეთარგმნა, რომ გარეთ გაჰყოლოდა საჩხუბრად. უცნობი მამაკაცი მიუახლოვდა ა.ჩ-ს და სახესთან ხელი მოუქნია. ეს ინციდენტი „სმარტის“ დაცვის თანამშრომლების თანდასწრებით ხდებოდა, რომელთაც ამ ფაქტთან დაკავშირებით არავითარი რეაგირება არ მოუხდენიათ და მამაკაცის აგრესიული ქცევა არ აღუკვეთავთ. დაახლოებით 35 წლის მამაკაცი ა.ჩ-ის მეუღლეს ეუბნებოდა, მამამისი რომ ყოფილიყო, შავკანიანთან მის ურთიერთობას უკრძალავდა.

ა.ჩ. (რომელიც ცეკვის მასწავლებელია) თავის ქართველ სტუდენტთან ერთად იმყოფებოდა რესტორან „მაკდონალდსში.“ რესტორნის ორმა ქართველმა ვიზიტორმა ა.ჩ.-ს მათგან მოშორებით დაჯდომა მოსთხოვა. ერთ-ერთმა ქართველმა, სიტყვიერთან ერთად, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ბრიტანეთის მოქალაქეს (მაისურზე ხელით შეეხო). ადგილზე მოვიდა პოლიცია, რომელსაც ა.ჩ-მ განუცხადა, რომ მას არ სურდა პრობლემები, რაც პოლიციამ ისე გაიგო, თითქოს ბრიტანეთის მოქალაქეს არ სურდა რეაგირება აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით. „მაკდონალდსის“ დაცვამ არ აღკვეთა ორი ქართველი ვიზიტორის რასისტული ხასიათის ქცევები ა.ჩ-ის მიმართ.

სამართლებრივი დასაბუთება: მომჩივანს მიაჩნია, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი ვრცელდება კერძო დაწესებულებებზე, მათ შორის, „მაკდონალდსა“ და „სმარტზე“. ამ კვების ობიექტების დაცვის თანამშრომლები ვალდებულნი იყვნენ სათანადო რეაგირება მოეხდინათ ა.ჩ. მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობაზე, რაც არ გააკეთეს.

მოთხოვნა: სახალხო დამცველს ეთხოვა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით დადგენილი სათანადო ზომების გამოყენება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

შედეგი: სახალხო დამცველის აპარატიდან გამოთხოვილი ინფორმაციით ირკვევა, რომ სახალხო დამცველმა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გამოითხოვა ინფორმაცია, თუმცა, კვლავ მიმდინარეობს საქმის შესწავლა, რადგან მტკიცებულებები კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად არასაკმარისია.

4 განცხადება მოამზადა საიამ.

1.2. ეთნიკური კუთვნილება

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, იკრძალება ეროვნული ნიშნით დისკრიმინაცია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ ჰქონია შესაძლებლობა, ემსჯელა აღნიშნული ნიშნით დისკრიმინაციის თაობაზე. ამის მიუხედავად, საქმეზე „ავთანდილ კახნიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" მიღებულ გადაწყვეტილებაში[5] საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ მოქალაქეობის ნიშანი არ იყო საქართველოს კონსტიტუციით პირდაპირ გათვალისწინებული. საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარმა მიდგომამ განაპირობა ის, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიზნებისათვის ეთნიკური კუთვნილება, შესაძლოა, ეროვნულ კუთვნილებას დაემთხვეს. ნებისმიერ შემთხვევაში კონსტიტუციის მე-14 მუხლი პირდაპირ მიუთითებს, როგორც ეთნიკური, ისე ეროვნული კუთვნილების მიუხედავად თანასწორობაზე. შესაბამისად, ენობრივად და კულტურულად უმრავლესობისაგან განსხვავებული საქართველოს მოქალაქეები შეიძლება დაცულნი იყვნენ როგორც კონსტიტუციაში ნახსენები ტერმინით „ეთნიკური," ისე „ეროვნული" კუთვნილებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი და მე-12 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების გამო. საქმეში „სედჩი და ფინჩი ბოსნია-ჰერცოგოვინის წინააღმდეგ" მიღებულ გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადამიანის ეთნიკური კუთვნილება ასე განმარტა: „ეთნიკურობა არის სოციალური ნიშანი, რომლის საფუძველზეც გაერთიანებულ პირებს ახასიათებთ ისეთი თავისებურებები, როგორიცაა საერთო მოქალაქეობა (ეროვნულობა), რელიგია, მრწამსი, ენა ან კულტურა და ტრადიციები. ეთნიკური ნიშნით ადამიანის დისკრიმინაცია რასობრივი დისკრიმინაციის შემადგენელი ნაწილია."[6]

რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის პირველ მუხლში აღნიშნულია: „რასობრივი დისკრიმინაცია" აღნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამორიცხვას, შეზღუდვას ან უპირატესობის მინიჭებას, მათ შორის, ეთნიკური კუთვნილების ნიშნით.

ეროვნულ უმცირესობათა ჩარჩო კონვენცია საქართველოსთან მიმართებაში ძალაშია 2006 წლის 1 აპრილიდან. ამ კონვენციის მე-5 მუხლით სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, დაიცვას ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა განსხვავებული კულტურული მემკვიდრეობა, ენა, რელიგია და ტრადიციები (კონვენციის განმარტებით ანგარიშში აღნიშნულია, რომ კულტურული, ლინგვისტური და რელიგიური სხვაობის არსებობა ყოველთვის არ გულისხმობს იმას, რომ სახეზეა ეროვნული უმცირესობა[7]).

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონის პირველ მუხლში პირდაპირ არის გათვალისწინებული ეროვნული და ეთნიკური კუთვნილების ნიშანი.

---

5 „ავთანდილ კახნიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; #1/4/535 გადაწყვეტილების თავი II; მე-12 პარაგრაფი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო; 2013 წლის 6 აგვისტო; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=804&action=show (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

6 „სედჩი და ფინჩი ბოსნია-ჰერცოგოვინას წინააღმდეგ"; 43-ე პარაგრაფი; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო; 2005 წლის 6 ივლისი; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-96491 (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

7 ევროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის განმარტებითი მემორანდუმი; ევროპის საბჭო; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://conventions.coe.int/Treaty/EN/Reports/Html/157.htm (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

არინა გრიგორიანი ნინო ჯღარკავას წინააღმდეგ[8]

ეს საქმე ეხება 100%-იანი სახელმწიფო წილის მქონე საწარმოში დასაქმებული პირის მიერ საქართველოს ეთნიკური სომეხი მოქალაქის მიმართ სიძულვილის ენის გამოყენებას.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: მოქალაქე კარინა გრიგორიანმა სახალხო დამცველს მიმართა განცხადებით, რომელსაც თან ერთვოდა ნავთობისა და გაზის კორპორაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის, ნინო ჯღარკავას მიერ სოციალურ ქსელ ფეისბუქზე გაკეთებული პოსტების ასლები. ნინო ჯღარკავა აცხადებდა, რომ თუ კარინა გრიგორიანი არ შეწყვეტდა პრემიერ-მინისტრის სიმამრის, თამაზ თამაზაშვილის მიმართ კრიტიკული პოსტების გაკეთებას, ძალით ჩასვამდა „ერევნის მატარებელში“ და სომხეთში გაუშვებდა. ფეისბუქზე გამოქვეყნებულ სხვა სტატუსში ნინო ჯღარკავა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა იმას, რომ საქართველოს მოქალაქე ეთნიკურ სომეხს, სომხეთზე მეტად საქართველო ჰყვარებოდა. ნინო ჯღარკავას თქმით, ასეთი ადამიანი არც საქართველოს „გამოადგებოდა“ და არც – სომხეთს.

სამართლებრივი დასაბუთება: მომჩივანს მიაჩნდა, რომ დარღვეული იყო „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის პირველი მუხლი, მეორე მუხლის მე-2 პუნქტი, მესამე და მეოთხე მუხლები.“

მოთხოვნა: მომჩივანი ითხოვდა, სახალხო დამცველს რეკომენდაციით მიემართა საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ხელმძღვანელობისათვის, დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრებინა ნინო ჯღარკავასთვის.

შედეგი: სახალხო დამცველმა აღნიშნული განცხადება წარმოებაში არ მიიღო. სახალხო დამცველის #04-11/11159 წერილში აღნიშნულია: „ამ კანონის (“დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი) მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

ზემოთ მოყვანილი ნორმების შესაბამისად, იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის არსებობა/არარსებობაზე, აუცილებელია არსებობდეს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენების ან არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფი პირების თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენების ვარაუდის საფუძველი.“

სახალხო დამცველის აპარატიდან გაგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ კარინა გრიგორიანის განცხადებაში მოტანილი ფაქტი არ ექცეოდა დისკრიმინაციული მოპყრობის კანონისმიერ განსაზღვრებაში. ამავე წერილში მითითებულია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომელიც იცავს ადამიანის პატივისა და ღირსების უფლებას. სახალხო დამცველის აპარატიდან კარინა გრიგორიანს განემარტა, რომ პატივისა და ღირსების შელახვის შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის უნდა მიემართა.

8 განცხადება მოამზადა საიამ.

1.3. მოქალაქეობა

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მოქალაქეობის ნიშანი.[9] ამის მიუხედავად, მე-14 მუხლი სახელმწიფოზე მაშინაც ვრცელდება, როდესაც დიფერენცირება ხდება კონსტიტუციის მე-14 მუხლით გაუთვალისწინებელი ნიშნის საფუძველზე.[10] მოქალაქეობის ნიშნით დიფერენცირების შემთხვევაში სახელმწიფო მკაცრ ტესტს გამოიყენებს მაშინ, როდესაც დიფერენცირების ინტენსივობა მაღალია.[11] იმ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქეობის ნიშნით დიფერენცირებული პირები ერთმანეთს მკვეთრად არ შორდებიან სამართლებრივ ურთიერთობაში თანაბრად მონაწილეობის შესაძლებლობისაგან, საკონსტიტუციო სასამართლო რაციონალური კავშირის ტესტს იყენებს.[12]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლით და მე-12 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას ეროვნული წარმოშობის ნიშნით. საქმეში „გაიგუსუზი ავსტრიის წინააღმდეგ" მოპასუხე სახელმწიფომ სოციალური დახმარების გაცემაზე მომჩივანს უარი უთხრა იმის გამო, რომ ის არა ავსტრიის, არამედ თურქეთის მოქალაქე იყო. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ დიფერენცირების ნიშანი სწორედაც რომ „ეროვნული წარმოშობა" (სხვა ქვეყნის მოქალაქეობა)[13] იყო. აღნიშნულ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან კავშირში. ევროპული სასამართლოს თქმით, სახელმწიფოს მოეთხოვება საკმაოდ წონადი არგუმენტის წარმოდგენა იმისათვის, რომ გაამართლოს განსხვავებული მოპყრობა მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეობრივ კუთვნილებაზე დაყრდნობით.[14]

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის პირველ მუხლში აკრძალულია დისკრიმინაცია მოქალაქეობის ნიშნით. გარდა ამისა, არსებობს **„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" კანონი,** რომელიც დამატებით განამტკიცებს უცხოელთა უფლებრივ მდგომარეობას. აღნიშნული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში უცხოელს აქვს ისეთივე უფლებები და თავისუფლებები, როგორიც – საქართველოს მოქალაქეს და აკისრია ისეთივე მოვალეობები, როგორიც – საქართველოს მოქალაქეს, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საქართველოში ყველა უცხოელი თანასწორია კანონის წინაშე, წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასის, ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, საქმიანობის სფეროს და სხვა გარემოებების მიუხედავად."

---

9 „ავთანდილ კახნიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", #1/4/535; გადაწყვეტილების თავი II; მე-12 პარაგრაფი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო; 2013 წლის 6 აგვისტო. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=804&action=show (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

10 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები" და „საქართველოს კონსერვატიული პარტია" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; #1/1/493 გადაწყვეტილების თავი; II მე-4 პუნქტი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2010 წლის 27 დეკემბერი; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=624&action=show ნანახია 2015 წლის 1 ივნისს

11 „რუსეთის მოქალაქე ოგანეს დარბინიანი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; გადაწყვეტილების თავი II. 51-ე პარაგრაფი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო; 2014 წლის 12 სექტემბერი; http://constcourt.ge/index.php?lang_id=-GEO&sec_id=22&id=865&action=show (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

12 „ავთანდილ კახნიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"; #1/4/535 გადაწყვეტილების თავი II, მე-14 პარაგრაფი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2013 წლის 6 აგვისტო; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=804&action=show ნანახია 2015 წლის 1 ივნისს

13 „გაიგუსუზი ავსტრიის წინააღმდეგ"; 41-ე პარაგრაფი; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო; 1996 წლის 16 დეკემბერი; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-58060 (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

14 „გაიგუსუზი ავსტრიის წინააღმდეგ"; 42-ე პარაგრაფი; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. 1996 წლის 16 დეკემბერი; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-58060 (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

თამარ ჯავახაძე სოციალური მომსახურების სააგენტოს წინააღმდეგ [15]

საქმე ეხება ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირის უფლებას, არ შეუწყდეს პენსიის გაცემა საქართველოში.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: თამარ ჯავახაძეს გააჩნია ორმაგი მოქალაქეობა – ერთდროულად არის რუსეთისა და საქართველოს მოქალაქე. 2011 წლის პირველ აპრილს მას პენსია შეუწყდა. ამის მიზეზად სოციალური მომსახურების სააგენტომ მიუთითა „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის #46/ნ ბრძანების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტზე, რომელიც არ ითვალისწინებდა პენსიის გაცემას ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისათვის.

სამართლებრივი დასაბუთება: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის #46/ნ ბრძანების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი თამარ ჯავახაძემ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა. განმცხადებელი სარჩელში მიუთითებდა, რომ მისი დისკრიმინაცია მოქალაქეობის ნიშნით ხდებოდა და ამით კონსტიტუციის მე-14 მუხლი ირღვეოდა. საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო სარჩელი არსებითად განსახილველად იმიტომ, რომ სადავო ნორმა, რაც სოციალური მომსახურების სააგენტომ გამოიყენა თამარ ჯავახაძის წინააღმდეგ, არ არეგულირებდა დანიშნული პენსიის შეწყვეტის საკითხს. კერძოდ, ზემოხსენებულ მუხლში მითითებული იყო შემდეგი: „პენსიის დანიშვნის მოთხოვნისას, უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა, დამატებით უნდა წარადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც ითვლება.“ საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, თამარ ჯავახაძეს არასწორად შეუწყდა პენსიის მიღება გასაჩივრებული ნორმის საფუძველზე, ვინაიდან ეს ნორმა არეგულირებდა პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის საფუძველს და არა უკვე დანიშნული პენსიის შეწყვეტის შემთხვევას. საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინების მიღების შემდეგ საიამ თამარ ჯავახაძის სახელით მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს. თავისი პოზიციის დასასაბუთებლად თამარ ჯავახაძე მიუთითებდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მინისტრის ბრძანების განმარტებაზე, ასევე დისკრიმინაციის აკრძალვაზე და თანასწორობის უფლებაზე.

მოთხოვნა: მომჩივანი ითხოვდა პენსიის აღდგენას.

შედეგი: 2014 წლის 10 სექტემბერს სოციალური მომსახურების სააგენტომ თამარ ჯავახაძის განცხადება დააკმაყოფილა და პენსია აღუდგინა.

15 საქმე მოამზადა საიამ.

საია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ

საქმე ეხება ქალაქ ბათუმის საკრებულოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტს, რომლითაც საქართველოს მოქალაქეებისა და უცხოელებისათვის ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ვიზიტისათვის განსხვავებული ტარიფია დაწესებული.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 23 დეკემბრის #309 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე #76 განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ბათუმის ბოტანიკური ბაღის დათვალიერების საფასური საქართველოს მოქალაქეებისათვის განისაზღვრა 3 (სამი) ლარით, სხვა ქვეყნის მოქალაქეებისათვის – 8 (რვა) ლარით. 2015 წლის 13 მარტს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს ქალაქ ბათუმის საკრებულოს წინააღმდეგ.

სამართლებრივი დასაბუთება: აღნიშნული სამართლებრივი აქტი დისკრიმინაციულია, ვინაიდან განსხვავებულ მოპყრობას არა აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება. დიფერენცირების შეფასებისას სახალხო დამცველმა უნდა გამოიყენოს მკაცრი შეფასების ტესტის მოთხოვნა, ვინაიდან საქართველოს მოქალაქეებისა და უცხოელების მიმართ დადგენილი ტარიფი მნიშვნელოვნად განსხვავებულია და შესაბამისად, უცხოელს არა აქვს შესაძლებლობა, შეცვალოს ის პირობები, რამაც თანასწორთა შორის განსხვავებული მოპყრობა წარმოშვა. თუკი ამ სატარიფო პოლიტიკის მიზანი მეტი შემოსავლის მიღებაა, ეს მწვავე და დაუძლეველი სახელმწიფო ინტერესი არ არის. გარდა ამისა, დიფერენცირება, შესაძლოა, არ აკმაყოფილებდეს რაციონალური კავშირის ტესტის მოთხოვნასაც, თუკი დიფერენცირებას საფუძვლად უდევს არასწორი შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ უცხოელები, საქართველოს მოქალაქეებთან შედარებით, მატერიალურად უკეთ არიან უზრუნველყოფილი, შესაბამისად, უცხოელებს, საქართველოს მოქალაქეებთან შედარებით, მეტი თანხის გაღების შესაძლებლობა აქვთ კულტურული და რეკრეაციული ობიექტებით სარგებლობისას. ეს არის წინასწარ ჩამოყალიბებული, სტერეოტიპული შეხედულება, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ობიექტურ დასაბუთებასა და რეალისტურობას. მატერიალურად შეძლებული და ხელმოკლე პირები, შესაძლოა, იყვნენ როგორც საქართველოს მოქალაქეები, ისე უცხოელებიც.

მოთხოვნა: სახალხო დამცველის მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის რეკომენდაციით მიმართვა #76-ე განკარგულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის მიზნით.

შედეგი: ჯერჯერობით უცნობია, დაიწყო თუ არა სახალხო დამცველმა ამ საკითხის შესწავლა.

ა.ლ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ[16]

საქმე ეხება ორმაგი მოქალაქეობის მქონე დევნილის დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფას.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: „ა.ლ. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირია, რომელსაც უცხო ქვეყნის მოქალაქეობასთან ერთად მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობაც. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მან შეავსო სპეციალური განაცხადი, რაც დევნილი ოჯახის საცხოვრებლით დაკმაყოფილების წინაპირობაა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ ა.ლ.-ს 2015 წლის 18 თებერვლის #01-02/08/4191 წერილით აცნობა, რომ მისი განაცხადი დარჩა განუხილველი, რადგან მას უცხო ქვეყნის მოქალაქეობასთან ერთად აქვს საქართველოს მოქალაქეობაც. 2015 წლის 13 მარტს საიამ ა.ლ-ს სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში. საქმეში მოპასუხეებად მითითებულნი არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო და საქართველოს მთავრობა.

სამართლებრივი დასაბუთება: იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2015-2016 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 თებერვალის #127 განკარგულება, რომელიც სხვა ქვეყნის მოქალაქე (ასევე ორმაგი მოქალაქეობის მქონე) დევნილს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან, საცხოვრებლის მიმღები პირთა წრიდან გამორიცხავს, დისკრიმინაციულია. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მისი დისკრიმინაცია მოქალაქეობის ნიშნით განხორციელდა. დიფერენცირება უნდა შეფასდეს მკაცრი ტესტით, ვინაიდან ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი მთლიანად გამორიცხულია სამართლებრივი ურთიერთობიდან. მთავრობის ზემოხსენებული ნორმატიული აქტი არ პასუხობს მწვავე სახელმწიფო ინტერესის მოთხოვნას, ვინაიდან ასეთად ვერ ჩაითვლება საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის ინტერესი, ასევე ის ადმინისტრაციული სირთულე, რაც დაკავშირებულია იმ ინფორმაციის გადამოწმებასთან, გააჩნია თუ არა პირს საცხოვრებელი ადგილი თავისი მეორე მოქალაქეობის სახელმწიფოში.

მოთხოვნა: მთავრობის 2015 წლის 4 თებერვალის #127 განკარგულების ბათილად ცნობა და საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო.

16 საქმე მოამზადა საიამ.

1.4. სქესი

ადამიანის დისკრიმინაცია მისი სქესისა და გენდერის მიხედვით დაუშვებელია, როგორც საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით, ასევე საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულო საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი პირდაპირ მიუთითებს სქესს, როგორც დისკრიმინაციის საფუძველს. შეიძლება ითქვას, რომ სქესი დისკრიმინაციის კლასიკური ნიშანია.

გაეროს 1979 წლის კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ შეეხება კონკრეტულად დისკრიმინაციას სქესის ნიშნით.

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლი ითვალისწინებს სქესს, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ნიშანს. დისკრიმინაციას სქესის ნიშნით მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ევროკავშირის ადამიანის ძირითად უფლებათა ქარტიაში.

კავშირი „საფარი“ საქართველოს ბანკის წინააღმდეგ „ქმარკომატის“ საქმე

საქმე ეხება საქართველოს ბანკის მხრიდან სექსისტური ხასიათის და დისკრიმინაციული შინაარსის რეკლამის განთავსებას ფეისბუქზე.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: 2014 წლის 23 სექტემბერს საქართველოს ბანკმა სოციალურ ქსელში თავის ოფიციალურ გვერდზე გამოაქვეყნა რეკლამა სახელწოდებით „ქმარკომატი“, სადაც ქალი მუდმივად სთხოვს მამაკაცს თანხას – ჯერ თხოვს 100 ლარს, შემდეგ კიდევ 20 ლარს და ბოლოს აღმოჩნდება, რომ მამაკაცი საქართველოს ბანკის ბანკომატს განასახიერებს. ეს რეკლამა რამდენიმე ათასმა ადამიანმა ნახა.

საქმის სამართლებრივი დასაბუთება: განმცხადებელი მიიჩნევს, რომ აღნიშნული რეკლამა შეიცავს სტერეოტიპს, რომ ქალი მუდმივად მამაკაცის ხელფასზე ცხოვრობს და არ აქვს უნარი, თვითონ გამოიმუშაოს ფული. რეკლამის სახელწოდებაც „ქმარკომატი“ დისკრიმინაციული და სექსისტური შინაარსისაა. დღეს სოციალური ქსელის გავლენა ადამიანებზე სულ უფრო და უფრო მზარდია, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სოციალურ ქსელში განთავსებული მასალა არ იყოს დისკრიმინაციული შინაარსისა. რეკლამაში კაცი, ქალისგან განსხვავებით, წარმოჩენილია სუბიექტად, რომელსაც შეუძლია შრომა და ფულის გამომუშავება. შესაბამისად, აღნიშნული რეკლამა დისკრიმინაციულია და ეწინააღმდეგება დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მეორე მუხლის პირველ ნაწილს. ქალთა წინააღმდეგ ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (რომლის ხელმომწერი მხარე არის საქართველო) პირველი მუხლის მიხედვით, ქალების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობად ჩაითვლება ნებისმიერი განსხვავება, გამორიცხვა თუ შეზღუდვა, რაც დაკავშირებულია სქესთან და ამცირებს ან აკნინებს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ სოციალურ კულტურულ თუ სხვა სფეროში. აღნიშნული განმარტების მიზანია, რომ კონვენციით მოცული იყოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, მათ შორის ქალის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენების არსებობა. შესაბამისად, საქართველოს კანონისა და კონვენციით განსაზღვრული დისკრიმინაციის განმარტებით, უნდა მივიჩნიოთ, რომ დისკრიმინაციაა, როდესაც ქალის შესახებ სოციალურ-სტერეოტიპული წარმოდგენა იქმნება და

ქალი წარმოჩენილია გარკვეული ფუნქციის და ობიექტის მატარებელ არსებად, რომელიც მამაკაცის თანასწორი არ არის.

მოთხოვნა: განმცხადებელი თხოვს სახალხო დამცველს, დაადგინოს დისკრიმინაციის ფაქტი და აღიაროს საქართველოს ბანკის რეკლამა „ქმარკომატი" სექსისტური და დისკრიმინაციული ხასიათის შემცველ პროდუქციად.

შედეგი: საქართველოს სახალხო დამცველმა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად მოამზადა ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე. სახალხო დამცველი მოუწოდებს სს „საქართველოს ბანკს", მომავალში თავი შეიკავოს მსგავსი ხასიათის სექსისტური შინაარსის შემცველი სარეკლამო რგოლების დამზადება-გავრცელებისგან და სარეკლამო რგოლების მომზადების დროს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ქალის ღირსებისადმი პატივისცემას და მის წარმოჩენას მამაკაცის თანასწორად. სახალხო დამცველს ასევე მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია სს „საქართველოს ბანკში" საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამშრომლებისა და სარეკლამო რგოლებზე პასუხისმგებელი პირებისთვის გენდერული თანასწორობის შესახებ ტრენინგების ჩატარება.

კავშირი „საფარი" ტელეკომპანია „ტაბულას" წინააღმდეგ, ქალის სხეულზე განთავსებული სუში, გადაცემა „რესტორანი".

საქმე ეხება ტელეკომპანია „ტაბულას" მხრიდან ქალის სავარაუდო დისკრიმინაციის პრაქტიკას, რაც გამოიხატა გადაცემა „რესტორანის" პრომოში ქალის შიშველ სხეულზე განთავსებული სუშის ჩვენებით.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: 2014 წლის აპრილში, ტელეკომპანია „ტაბულას" ეთერში გავიდა გადაცემა „რესტორანის" რეკლამა.[17] აღნიშნულ რეკლამაში ნახევარი წუთის განმავლობაში ჩანდა ქალის სრულიად შიშველ სხეულზე განთავსებული საკვები პროდუქტი.

საქმის სამართლებრივი დასაბუთება: დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს: „პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველ მუხლში მითითებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით". როგორც ზემოთ ("ქმარკომატის" საქმეში) აღვნიშნეთ, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის მიხედვით, ქალების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობად ჩაითვლება ნებისმიერი განსხვავება, გამორიცხვა თუ შეზღუდვა, რაც დაკავშირებულია სქესთან და, რომელიც ამცირებს ან აკნინებს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას უფლებაუნარიანობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ სოციალურ კულტურულ თუ სხვა სფეროში. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ საერთაშორისო გამოცდილება ქალთა მიმართ სტერეოტიპული როლების მიკუთვნების შესახებ. 1995

17 გადაცემა „რესტორანის" პრომო; ტელეკომპანია „ტაბულა"; 2014 წელი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.youtube.com/watch?v=i3hnCaGNPv8 (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

წელს ქალთა უფლებების დაცვის შესახებ კონფერენციაზე მიღებულ იქნა ე.წ. პეკინის პლატფორმა, რომელიც მიუთითებს, რომ მედიამ უნდა უზრუნველყოს არასტერეოტიპული ქალის როლის წარმოჩენა ტელევიზიაში. არ უნდა იქნას გაშვებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ქალი არის მხოლოდ სექსუალური ობიექტი. მედიამ მხარი უნდა დაუჭიროს სექსისტური რეკლამების აკრძალვის შესახებ ღონისძიებებს.[18] 2002 წელს ევროპის საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო დოკუმენტი სახელწოდებით „ქალის როლი მედიაში", სადაც მითითებულია, რომ უმრავლეს შემთხვევაში ქალი მედიაში წარმოდგენილია, როგორც სექსის ობიექტი ან ოჯახთან დაკავშირებული არსება, რაც გენდერული დისკრიმინაციისა და სტერეოტიპების შექმნის წყაროა.

მოთხოვნა: განმცხადებელი თხოვს სახალხო დამცველს, მიიჩნიოს ტელეკომპანია „ტაბულას" ეთერში გასული გადაცემა „რესტორანის" რეკლამა დისკრიმინაციული და სექსისტური ხასიათის შინაარსის მქონე პროდუქციად.

შედეგი: სახალხო დამცველმა საქმე განსახილველად მიიღო, თუმცა, ჯერჯერობით გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

ბაბუცა პატარაია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინააღმდეგ, „ოჯახის უფროსი".

საქმე ეხება 2014 წლის 5-19 ნოემბრამდე ჩატარებულ მოსახლეობის საყოველთაო აღწერას, როდესაც რეგისტრატორმა, ბაბუცა პატარაიას დაუსვა კითხვა ოჯახის უფროსის შესახებ. ეს კითხვა მასობრივად ისმებოდა აღწერის პერიოდში და ძირითადად მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს უსვამდნენ.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: 2014 წლის 5-დან 19 ნოემბრამდე საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს მასშტაბით განახორციელა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. „საქსტატის" თანამშრომლები კარდაკარ გამოკითხვის გზით აგროვებდნენ საჭირო ინფორმაციას, როგორიცაა ოჯახის ყველა წევრის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და სამუშაო ადგილი. ბევრ შემთხვევაში ოჯახში ყველაზე ინფორმირებული პირის გამოვლენის ნაცვლად, საქსტატის თანამშრომლები/ საქსტატის მიერ დაქირავებული პირები გამოკითხვას „ოჯახის უფროსის" გამოვლენით იწყებდნენ. ოჯახის უფროსში კი ისინი კაცს მოიაზრებდნენ. ეს დისკრიმინაციული დამოკიდებულება უამრავმა ადამიანმა გააპროტესტა, ნაწილმა სოციალური ქსელების საშუალებით და ნაწილმა „საქსტატში" დარეკვით გამოხატა პროტესტი. საზოგადოების აღშფოთება იმ დონეზე მივიდა, რომ „საქსტატის" დირექტორს მერი დაუშვილს მოუწია საჯარო განმარტების გაკეთება, თუ რატომ სვამდნენ მსგავს კითხვას ოჯახში აღწერისას მისული თანამშრომლები. 2014 წლის 9 ნოემბერს, დღის პირველ ნახევარში აღწერის ჩატარების მიზნით „საქსტატის" თანამშრომელი ეწვია განმცხადებელს, მოქალაქე ბაბუცა პატარაიას, რეგისტრატორი ესაუბრა მას. პირველივე კითხვა ეხებოდა ოჯახის უფროსს, კერძოდ იკითხა ოჯახის უფროსის სახელი და გვარი, მას შემდეგ რაც მოქალაქე ბაბუცა პატარაიამ რეგისტრატორს ჰკითხა, თუ რას გულისხმობდა ოჯახის უფროსში, რეგისტრატორმა იკითხა ბაბუცა პატარაიას მეუღლის სახელი და გვარი.

18 პეკინის მოქმედების პლატფორმა; გაერთიანებული ერების ორგანიზაცია; 1995 წელი. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.un.org/womenwatch/daw/beijing/pdf/BDPfA%20E.pdf (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

საქმის სამართლებრივი დასაბუთება: გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი კომენტარების მიხედვით, ტრადიციული დამოკიდებულებები, რომლის მიხედვითაც ხდება სქესთა სუბორდინაცია, არ აძლევს ქალს საშუალებას სრულად ისარგებლოს საკუთარი უფლებებით და თავისუფლებებით. ამგვარი სტერეოტიპები ქმნის დისკრიმინაციულ გარემოს. აღნიშნული კომიტეტის 21-ე რეკომენდაცია ყურადღებას ამახვილებს დაქორწინებული ქალების უფლებებზე. რეკომენდაციაში მითითებულია, რომ ხშირად ოჯახის უფროსად და გადაწყვეტილების მიმღებ პირებად ითვლებიან მამაკაცები, რაც იწვევს თანასწორობის პრინციპის უხეშ დარღვევას. „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის“ კონვენციის მე-16 მუხლი ითვალისწინებს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრას ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობებში. იგი განამტკიცებს მეუღლეთა თანაბარ უფლება-მოვალეობებს. კომიტეტმა 21-ე რეკომენდაციით მოუწოდა კონვენციის ხელმომწერ მხარეებს გაეუქმებინათ მე-16 მუხლზე გაკეთებული დათქმები მიუხედავად ხელმომწერი მხარეების ისტორიული თუ კულტურული განსხვავებებისა. შესაბამისად, გაეროს კომიტეტი მიიჩნევს, რომ ოჯახში უფროსის გამოყოფა და სუბორდინაციის დაწესება დისკრიმინაციულია.[19] საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლი განმარტავს, რომ ქორწინება ემყარება უფლებრივ თანასწორობას და ნებაყოფლობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის არაერთი მუხლი განამტკიცებს მეუღლეების თანასწორობის პრინციპს. პირველ რიგში, აღსანიშნავია ზოგადი პრინციპები, მათ შორის, კონკრეტული ნორმიდან გამომდინარე, თანასწორობის პრინციპი. კოდექსის 1152-ე მუხლი განამტკიცებს ზოგად პრინციპს, რომლის თანახმად, საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობანი.[20]

ქალთა წინააღმდეგ ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის პირველი მუხლი განმარტავს, რომ დისკრიმინაციულ მოპყრობად ქალების წინააღმდეგ მიიჩნევა ნებისმიერი განსხვავება, გამორიცხვა თუ შეზღუდვა, რაც დაკავშირებულია სქესთან და ამცირებს ან აკნინებს ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ კულტურულ თუ სხვა სფეროში.[21] ტერმინი „ოჯახის უფროსი“ აკნინებს ქალის როლს და წარმოაჩენს მას როგორც მეორეხარისხოვან სუბიექტს, რომელიც არის მამაკაცის – ოჯახის უფროსის დაქვემდებარებაში. აღნიშნული ტერმინი აძლიერებს სტერეოტიპს, რომ ქალი მამაკაცის მორჩილი უნდა იყოს.

მოთხოვნა: განმცხადებელი თხოვს სახალხო დამცველს, შეისწავლოს აღნიშნული დისკრიმინაციის აქტი – „საქსტატის“ მიერ ტერმინის „ოჯახის უფროსი“ გამოყენება საყოველთაო აღწერაში; მიიჩნიოს აღნიშნული პრაქტიკა დისკრიმინაციულად და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება – გამოსცეს რეკომენდაცია „საქსტატის“ მიმართ, რათა „საქსტატმა“ დისკრიმინაციული ტერმინი – „ოჯახის უფროსი“ მომავალში აღარ გამოიყენოს.

შედეგი: სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა საქმე წარმოებაში მიიღო და განხილვის პროცესშია, თუმცა, გადაწყვეტილება ამ დრომდე არ არის მიღებული.

19 ზოგადი რეკომენდაცია #19; ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი; 1992 წელი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/recomm.htm#recom19 (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

20 კონსტიტუციის 36-ე მუხლის კომენტარი, „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი“, 2012 წელი; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://constcentre.ge/ka/comments/60/muxli-36 (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

21 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის პირველი მუხლი; გაერო; 1979 წელი; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.ohchr.org/Documents/ProfessionalInterest/cedaw.pdf (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

1.5. ორსულობა

ორსულობის გამო ქალის დისკრიმინაცია როგორც საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით, ასევე საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულო საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

საქართველოს კონსტიტუცია, კერძოდ კი მე-14 მუხლი, დისკრიმინაციის საფუძვლების ჩამოთვლისას ორსულობას სიტყვა-სიტყვით არ მიუთითებს, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ეს მუხლი ვიწროდ უნდა განიმარტოს. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" ასევე არ მიუთითებს ორსულობას, როგორც დისკრიმინაციის ნიშანს, თუმცა, კანონის პირველ მუხლში ნათქვამია, რომ დისკრიმინაცია შეიძლება სხვა ნებისმიერი საფუძვლით მოხდეს.

გაეროს კონვენცია „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" ითვალისწინებს ორსულობის გამო დისკრიმინაციის აკრძალვას. კერძოდ 11-ე მუხლის მეორე ნაწილის ა) ქვეპუნქტის მიხედვით „გათხოვების ან დედობის გამო ქალთა მიმართ დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და მათთვის შრომის ეფექტიანი უფლების გარანტირების მიზნით მონაწილე სახელმწიფოები იღებენ საჭირო ზომებს, რათა: ა)სანქციების გამოყენების მუქარით აიკრძალოს სამუშაოდან დათხოვნა იმის გამო, რომ ქალი იღებს შვებულებას ორსულობის და მშობიარობის მიზნით ან სამსახურიდან დათხოვნის გზით დისკრიმინაცია ხორციელდება ქალის ოჯახური მდგომარეობის გამო.

ნ.ლ. ოზურგეთის ერთ-ერთი ბაღის წინააღმდეგ[22]

საქმე ეხება ოზურგეთის ერთ-ერთ ბაღში დისკრიმინაციის ფაქტს, როდესაც 7 თვის ორსულ ნ.ლ-ს დამსაქმებელმა ხელშეკრულება ორსულობის გამო აღარ გაუგრძელა.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: ნ.ლ 2012 წლიდან 2014 წლის სექტემბრამდე მუშაობდა ოზურგეთის ერთ-ერთ სააღმზრდელო დაწესებულებაში. ამ დროის მანძილზე მოსარჩელეს ორჯერ გაუგრძელეს ხელშეკრულება. 2014 წლის 3 იანვარს კი ნ.ლ დაწინაურდა და დაინიშნა მენეჯერის მოადგილის თანამდებობაზე. 2014 წლის თებერვალში მოსარჩელისთვის ცნობილი გახდა, რომ ორსულად იყო და სავარაუდოდ, 2014 წლის ოქტომბერში იმშობიარებდა. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელეს კანონმდებლობით გარანტირებული ჰქონდა ორსულობის გამო შვებულების აღების შესაძლებლობა, მას ეს უფლება არ გამოუყენებია. ნ.ლ. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მომენტში იმყოფებოდა ორსულობის მე-7 თვეში. 2014 წლის სექტემბერში მოსარჩელისთვის ცნობილი გახდა, რომ სააღმზრდელო დაწესებულებაში ხელმძღვანელობა შეიცვალა. 2014 წლის 9 სექტემბერს მოსარჩელესა და ახალ ხელმძღვანელს შორის შედგა საუბარი, ხელმძღვანელმა მოსარჩელეს პირდაპირ განუცხადა, რომ შრომითი ხელშეკრულება ორსულობის გამო ვეღარ გაუგრძელდებოდა. ხელმძღვანელის თქმით, თანამშრომლისათვის დეკრეტული შვებულების მიცემა არანაირად არ შედიოდა სააღმზრდელო დაწესებულების ინტერესებში. იმისათვის, რომ ნ.ლ-ს უკანონოდ გათავისუფლება მოეთავსებინათ სამართლებრივ ჩარჩოებში, მოსარჩელის დაკავებულ პოზიციას შეეცვალა სახელწოდება, რეალურად კი, არანაირ ცვლილებას არ ჰქონია ადგილი. რამდენიმე ათეული თანამშრომლიდან მხოლოდ მოსარჩელე გაათავისუფლეს.

საქმის სამართლებრივი დასაბუთება: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363-ე სეკუნდა მუხლის პირველი ნაწილით „ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად

22 საქმე მოამზადა კავშირმა „საფარმა".

მიიჩნევს, უფლება აქვს სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა. მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მეორე ნაწილი, რომლიც კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას. პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლების სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ორსულობის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევაში არ არსებობს კომპარატორი ანუ პირთა ჯგუფი, რომელთან შედარებითაც დადგინდება არახელსაყრელი მოპყრობა, ვინაიდან ორსულობა არის მდგომარეობა, რომლის მსგავსიც სხვა არ არსებობს. ნ.ლ.-ს მიმართ ადგილი ჰქონდა პირდაპირი სახის დისკრიმინაციას ორსულობის ნიშნით. პირდაპირი დისკრიმინაცია გამოხატული იყო მასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტით მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მოსარჩელე ორსულად იყო და მშობიარობის შემდეგ მისთვის დეკრეტული შვებულება უნდა მიეცათ შესაბამისი ანაზღაურებით. დისკრიმინაციის ფაქტით ნ.ლ.-ს წაერთვა შრომისა და დეკრეტული შვებულების აღების უფლება.

მოთხოვნა: მოსარჩელემ მოითხოვა, მოპასუხეს დაევალოს მოსარჩელის აღდგენა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტამდე არსებულ თანამდებობაზე. ასევე მოსარჩელემ მოითხოვა მისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის 1500 ლარის ოდენობით ანაზღაურება. (2014 წლის 3 იანვარს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მიხედვით ნალ.-ს ყოველთვიური სარგო შეადგენდა 250 ლარს. საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ორსულობის გამო შვებულების პერიოდში ანაზღაურდება 183 დღე (6 თვე). შესაბამისად, მოსარჩელე სამსახურიდან რომ არ გაეთავისუფლებინათ, ის მინიმუმ 6 თვის დეკრეტული შვებულების ანაზღაურებას მიიღებდა ყოველთვიური 250 ლარის ოდენობით, რაც ჯამში 1500 ლარია).

შედეგი: მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმდა მორიგების აქტი, რომლის მიხედვითაც მოპასუხემ აიღო ვალდებულება, დაესაქმებინა ნ.ლ. დამხმარე თანამშრომლად 2015 წლის 1 აპრილიდან და ასევე აენაზღაურებინა მისთვის 4 თვის გაცდენილი ხელფასის ოდენობა.

1.6. სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლით ადამიანი დაცულია დისკრიმინაციული მოპყრობისაგან სექსუალური ორიენტაციის ნიშნით.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი და მეორე მუხლი კრძალავს ისეთ მოპყრობას, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას (მოცემულ შემთხვევაში, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება) რაიმე ნიშნით, მათ შორის სექსუალური ორიენტაციის გამო, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს, თუ ასეთი მოპყრობა არ ემსახურება კანონით განსაზღვრულ მიზანს, არა აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალება არ არის თანაზომიერი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, ადგილი ექნება დისკრიმინაციას. ამავე მუხლის მე-6 პუნქტი ადგენს, რომ დისკრიმინაცია შეიძლება არსებობდეს, მიუხედავად იმისა, პირს რეალურად ახასიათებს თუ არა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი.

გიორგი კაპანაძე (მომჩივანის სახელი შეცვლილია) მართლმადიდებელი სასულიერო პირის წინააღმდეგ[23]

მოცემული საქმე ეხება მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი სასულიერო პირის მხრიდან ეკლესიის მსახურის მიმართ სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტს, რომლის შედეგად მას არ მიეცა შესაძლებლობა, კონკრეტულ ეკლესიაში სტიქაროსნის სტატუსით ემსახურა.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს ერთ-ერთი მართლმადიდებლური ტაძრის სასულიერო პირის მხრიდან ხდებოდა გიორგი კაპანაძის შევიწროვება, ის ტაძრის მსახურებსა და მრევლს შორის ავრცელებდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გიორგი კაპანაძე ჰომოსექსუალი იყო, რითაც მის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას ქმნიდა. ამის შემდეგ გიორგი კაპანაძეს აეკრძალა ტაძარში სტიქაროსნის მოვალეობების შესრულება, კაპანაძე ინფორმაციას ჰომოსექსუალური ორიენტაციის შესახებ უარყოფს, ამბობს, რომ მისთვის ეკლესიური ცხოვრება და მნათედ მსახურება ტაძარში ძალიან მნიშვნელოვანია.

სამართლებრივი დასაბუთება: საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს ... აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლენა არ ლახავს სხვათა ინტერესებს. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-18 მუხლის მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს რელიგიის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას, როგორც პერსონალურად, ასევე სხვებთან ერთად რელიგიურ და რიტუალურ წეს-ჩვეულებათა აღსრულებაში მონაწილეობის შესაძლებლობას.

რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება შინაგან და გარეგან ასპექტებს გულისხმობს. შინაგანი ასპექტები ეხება ადამიანის შესაძლებლობას, თავად ჩამოაყალიბოს და განსაზღვროს თავისი, როგორც რელიგიური ისე არარელიგიური რწმენა. რელიგიის თავისუფლების გარეგანი ასპექტები მოიცავს ინდივიდის რწმენის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების საჯაროდ გაცხადებას. ასეთად ჩაითვლება, მაგალითად, საეკლესიო მსახურებაში მონაწილეობის მიღების გადაწყვეტილება. ამგვარად, საეკლესიო მსახურებაში სტიქაროსნის სტატუსით მონაწილეობა წარმოადგენს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებით სარგებლობის შესაძლებლობას.

კონსტიტუციური შეთანხმების პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ეკლესია თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმებით. საქართველოს კონსტიტუციით, ამ შეთანხმებითა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საეკლესიო (კანონიკური) სამართლით არ არის დადგენილი წესები თუ კრიტერიუმები, როდის შეიძლება სტიქაროსნად მსახურებაზე უარის თქმა ან რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანი, რომ მას სტიქაროსნად მოვალეობების შესრულება შეეძლოს. ამ საკითხებს თითოეული ეკლესიის წინამძღვარი თავად წყვეტს. სასულიერო პირი ამ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს უნდა დაემორჩილოს.

მოთხოვნა: გიორგი კაპანაძემ 2014 წლის 18 ოქტომბერს მიმართა სახალხო დამცველს განცხადებით, რომლითაც ითხოვს თავის მშობლიურ ქალაქში, ეკლესიაში სტიქაროსნად მსახურების უფლების რეალიზებას.

23 საქმე მოამზადა „იდენტობამ“.

შედეგი: სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა საქართველოს საპატრიარქოსთან მედიაციის პროცესი წარმართა, თუმცა, უშედეგოდ. 2015 წლის 20 თებერვალს გიორგი კაპანაძის საქმეში ჩაერთო ორგანიზაცია „იდენტობა." ამ უკანასკნელმა მოითხოვა გიორგი კაპანაძის საქმის გადაცემა თანასწორობის დეპარატმენტისათვის, რაც დაკმაყოფილდა.

შოთა კიკნაძე (მომჩივანის სახელი შეცვლილია) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ოთარ ღუდუშაურის სახელობის კლინიკის ფსიქიატრიული განყოფილების და ტაქსის მძღოლის წინააღმდეგ[24]

საქმე ეხება მსმ (მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცთან) სექსმუშაკის მიმართ საპატრულო პოლიციის, სამედიცინო მუშაკების, პოლიციის განყოფილების გამომძიებლის, ტაქსის მძღოლის მხრიდან არასათანადო მოპყრობას.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: 2014 წლის 12 ოქტომბერს ღამის დაახლოებით ორ საათზე შოთა კიკნაძე, რომელიც ტრანსგენდერი ქალი[25] და, ამავდროულად, სექსმუშაკია, იმყოფებოდა ქალაქ თბილისში გმირთა მოედნის მიმდებარე ცირკის ტერიტორიაზე. იქ ღამის საათებში სექსმუშაკები დგანან ან გადაადგილდებიან ხოლმე. ეს ტერიტორია ასევე ცნობილია, როგორც გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, მსმ ჯგუფის წარმომადგენლების სოციალიზაციის ადგილი. შოთა კიკნაძის სიახლოვეს საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის მანქანა გაჩერდა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა შოთა კიკნაძეს ცირკის მიმდებარე ტერიტორიის დატოვება მოთხოვეს, ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დაჯარიმებით დაემუქრნენ.[26] ორგანიზაცია „იდენტობამ" ჩაატარა თვისობრივი კვლევა თბილისში მსმ სექსმუშაკთა უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელმაც აჩვენა, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან სექსმუშაკებისთვის გადაადგილების შეზღუდვამ 2014 წლის ზაფხულის პერიოდიდან სისტემურ ხასიათი მიიღო. „იდენტობა" თვლის, რომ პოლიციის მიერ სექს-მუშაკების მიმართ გამოყენებული ღონისძიებები არ ემსახურება რაიმე ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. იმ შემთხვევებშიც კი, თუკი ასეთი მიზანი არსებობს, საეჭვოა, პოლიციის მიერ გამოყენებული შემზღუდველი ღონისძიებები ამ მიზნის მიღწევის პროპორციული იყოს.[27]

შოთა კიკნაძემ უარი თქვა ტერიტორიის დატოვებაზე, რასაც სამართალდამცავების მხრიდან მის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფა მოჰყვა, რაც გამოიხატებოდა ჰომოფობიურ გამონათქვამებში. მაგალითად, ერთ-ერთმა სამართალდამცავმა აგრესიული ტონით უთხრა შოთა კიკნაძეს: „აქ

24 საქმე მომზადებულია „იდენტობის" მიერ.

25 ბიოლოგიურად მამაკაცი, რომელიც საკუთარ თავს საპირისპირო სქესის წარმომადგენლად, ქალად აღიქვამს. მოცემულ შემთხვევაში ტრანზიცია გამოიხატება საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებით, ქალისთვის განკუთვნილი ტანისამოსის ჩაცმასა და ტარებაში, გენდერული როლების შესრულებაში და ა. შ.).

26 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173ე მუხლის მიხედვით იკრძალება სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, რაც ამავე მუხლის თანახმად გამოიწვევს დაჯარიმებას 250 ლარიდან 2000 ლარამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

27 მსმ სექსმუშაკთა უფლებრივი მდგომარეობა; კვლევა, ნინო ბოლქვაძე; იდენტობა 2014 წელი, ხელმისაწვდომია: https://identoba.files.wordpress.com/2015/02/e1839be183a1e1839be183a1e18394e183a5e183a1e1839be183a3e1 83a8e18390e18399e18397e18390-e183a3e183a4e1839ae18394e18391e183a0e18398e18395.pdf

პიდარასტების ადგილი არ არის!“. ემოციური აღელვების ნიადაგზე შოთა კიკნაძემ ცუდად იგრძნო თავი და სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოიძახა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომლებმა შოთა კიკნაძეს მისცეს დამამშვიდებელი მედიკამენტი. სასწრაფო დახმარების ექიმმა, შოთა კიკნაძის თანდასწრებით ხმამაღლა სხვა ექიმებსა და სამართალდამცავებს მიმართა: „ერთი ამას შეხედე, რას ჰგავს! კაცია თუ ქალი?“.

სამართალდამცავების მოთხოვნით შოთა კიკნაძე სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანამ გადაიყვანა ღუდუშაურის სახელობის კლინიკის ფსიქიატრიულ განყოფილებაში, სადაც მას მოთხოვეს მკურნალობაზე თანხმობის დოკუმენტზე ხელის მოწერა, რაც კიკნაძემ არ გააკეთა. ამის შემდეგ სამედიცინო მუშაკმა შოთა კიკნაძეს უხეშად მოკიდა ტანსაცმელზე ხელი, იძულებით მიიყვანა განყოფილების მთავარ გასასვლელ კარებამდე და წიხლი ამოარტყა. აღნიშნულთან დაკავშირებით შოთა კიკნაძემ ინცინდენტის დასრულებისთანავე დარეკა 112-ში, დააფიქსირა მომხდარი ფაქტი და გამოიძახა საპატრულო პოლიცია. ადგილზე მოსულ სამართალდამცავებისთვის ახსნაგანმარტების მიცემის შემდეგ მან დიდუბეჩუღურეთის პოლიციის სამმართველოს I განყოფილებაში ასევე გააკეთა ახსნა-განმარტება ზემოაღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით. პოლიციის შენობიდან გამოსულმა შოთა კიკნაძემ და მასთან ერთად მყოფმა „იდენტობის“ თანამშრომელმა გააჩერეს ტაქსი. შოთა კიკნაძე მძღოლს შეუთანხმდა დანიშნულების ადგილსა და ფასზე. მანქანის უკანა სალონში დაჯდა „იდენტობის“ თანამშრომელი, მძღოლის გვერდით შოთა კიკნაძემ დააპირა დაჯდომა. მძღოლი დააკვირდა მგზავრს და მიხვდა, რომ შოთა კიკნაძე ქალის კაბაში ჩაცმული ბიოლოგიური მამაკაცი იყო. ამის შემდეგ მძღოლმა განაცხადა, რომ არსად წასვლას არ აპირებდა. მძღოლმა მგზავრებს მანქანის დატოვება მოსთხოვა. მგზავრებმა შეასრულეს მძღოლის მოთხოვნა.

სამართლებრივი დასაბუთება: საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის უფლება“, რაც გულისხმობს იმასაც, რომ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად გადაადგილდებოდეს საჯარო სივრცეში. კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით დაუშვებელია ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლიც კრძალავს ადამიანის მიმართ დამამცირებელ მოპყრობას. აღნიშნული აკრძალვა აბსოლუტური ხასიათისაა: არ არსებობს ასეთი მოპყრობის დაშვების არც ერთი საფუძველი. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე -18 მუხლის „ზ“ პუნქტით განსაზღვრულია, რომ პოლიცია, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგისათვის საფრთხის თავიდან აცილების ან მათი დარღვევის აღკვეთის მიზნით თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია, პირს რომელიმე ადგილის დატოვება მოთხოვოს და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლაც აუკრძალოს. ამავე კანონის 25-ე მუხლი პოლიციის უფლებამოსილების ფარგლებს ადგენს. მოცემული აკრძალვა შეიძლება დაწესდეს, ხოლო უკვე დაწესებული გაგრძელდეს, მხოლოდ იმ დროით, რაც შეიძლება დასჭირდეს საფრთხის თავიდან აცილებას ან აღმოფხვრას.

მოთხოვნა: შოთა კიკნაძემ სახალხო დამცველს 2014 წლის 18 ოქტომბერს მოსთხოვა მითითებული გარემოებების შესწავლა და სათანადო რეაგირება. 2014 წლის 2 თებერვალს საქმის წარმოებაში ოფიციალურად ჩაერთო ორგანიზაცია „იდენტობა,“ რომელმაც დააზუსტა შოთა კიკნაძის მოთხოვნები და მათი სამართლებრივი დასაბუთება.

შედეგი: სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა 2014 წლის 15 სექტემბერს მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის

დეპარტამენტს, ეცნობებინათ, რა მიზანს ემსახურებოდა ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე სამართალდამცავების მხრიდან სექსმუშაკების მიმართ განხორციელებული ქმედებები, კერძოდ მათთვის გადაადგილების აკრძალვა და რამდენად დაცული იყო სექსუალური უმცირესობების წარომადგენელთა უფლებები, ასევე შსს-ს სახალხო დამცველის აპარატისათვის მოეწოდებინათ ინფორმაცია ჰომოფობიური დამოკიდებულების თავიდან ასარიდებლად სამართალდამცავთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ.

2014 წლის 1 ოქტომბერს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან მიღებული წერილით სახალხო დამცველს ეცნობა, რომ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, კანონმდებლობის შესაბამისად, სისტემატურად ახორციელებდა პრევენციულ ღონისძიებებს თბილისის სარისკო უბნებში, მათ შორის ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამავე წერილის მიხედვით, ჰომოფობიურ დამოკიდებულებებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში 2014 წლის 9 ივლისიდან შსს სსიპ შს აკადემიაში მიმდინარეობდა პატრულინსპექტორთა გადამზადება.

სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა 2015 წლის 7 თებერვალს ასევე გამოითხოვა ინფორმაცია დიდუბეჩუღურეთის პოლიციის სამმართველოს I განყოფილებიდან, რაზეც მათ პასუხი 2015 წლის 5 მარტს გასცეს. აღნიშნული პასუხის მიხედვით, პოლიცია და სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომლები ეხმარებოდნენ შოთა კიკნაძეს, კერძოდ შოთა კიკნაძე ცირკის მიმდებარე ტერიტორიიდან გადაიყვანეს ღუდუშაურის სახელობის კლინიკის ფსიქიატრიულ განყოფილებაში, სადაც შესთავაზეს სამედიცინო მომსახურების მიღება. ამ შეთავაზებაზე შოთა კიკნაძემ უარი განაცხადა. შსს-ს წერილის თანახმად, კლინიკის სანიტარის გასაუბრების ოქმიდან, შოთა კიკნაძის მიმართ არასათანადო მოპყრობა არ დადასტურდა, ვინაიდან შოთა კიკნაძის მიერ მითითებულმა სანიტარმა უარყო წიხლის ამორტყმის ფაქტი. სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა 2015 წლის 18 მარტს დიდუბეჩუღურეთის პოლიციის სამმართველოს I განყოფილებას წერილობით მიმართა და საქმეში არსებული მასალები, მათ შორის გასაუბრების ოქმები გამოითხოვა, რაზეც ჯერ პასუხი არ მიუღიათ.

„იდენტობა“ ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ.

საქმე ეხება ერთი და იმავე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციის მხრიდან საჯარო ლექციის ჩასატარებლად რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენლის დაშვებას, ხოლო ლგბტ იდენტობის მქონე ადამიანების უფლებების დაცვაზე მომუშავე ორგანიზაციის წარმომადგენლისთვის საჯარო ლექციის ჩატარებაზე უარის თქმას.

ფაქტობრივი გარემოებები: 2014 წლის 30 ოქტომბერს ორგანიზაცია „იდენტობამ“ ქ. ქუთაისში მდებარე აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიმართა წერილით, რომლითაც ამავე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებთან შესახვედრად და საჯარო ლექციის ჩასატარებლად 2014 წლის 2 ნოემბრიდან 6 ნოემბრამდე პერიოდისათვის ერთჯერადად, 2 საათით, 25 სტუდენტზე გათვლილი სივრცის (აუდიტორიის) გამოყოფა მოითხოვა. ამ მოთხოვნაზე „იდენტობამ“ მიიღო წერილობითი უარი, რომელიც იმით იყო დასაბუთებული, რომ საჯარო ლექციის ჩასატარებლად სასწავლებელში დასაშვებად საჭირო იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე ეკონომიკის სამინისტროს თანხმობა. თუმცა, ასეთი თანხმობა სასწავლებლის ადმინისტრაციამ არ მოსთხოვა მართლმადიდებელი ეკლესიის ერთერთ სასულიერო პირს, თეოდორე გიგნაძეს, რომელმაც საჯარო ლექცია იმავე სასწავლებელში 2014 წლის 28 ოქტომბერს ჩაატარა.

სამართლებრივი დასაბუთება: საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობას, ხოლო აღნიშნული თავისუფლებით სარგებლობა შეუძლია ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მოთხოვნათა მიხედვით, დაწესებულებები, რომლებიც წარმოადგენენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, დამოუკიდებლად ახორციელებენ იმ საქმიანობას, რისთვისაც არიან შექმნილნი, ხოლო მათზე სახელმწიფოს კონტროლი მკაცრად გაწერილია შესაბამისი კანონმდებლობით. ამავე კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად დადგენილია, თუ რა შემთხვევაში ესაჭიროება სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობა. ეს უკანასკნელი საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ ხდება უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა; სესხის აღება; თავდებობა; ბიუჯეტის განსაზღვრა; თანამშრომელთა მატერიალური წახალისების, საკომუნიკაციო ლიმიტების განსაზღვრა; დასასაქმებელი შტატგარეშე მოსამსახურეების თანამდებობათა დასახელებისა და რაოდენობის განსაზღვრა; ასევე სხვა გადაწყვეტილებები საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს არ სჭირდება სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოსაგან თანხმობა იმისათვის, რათა ორ საათით გამოუყოს აუდიტორია საჯარო ლექციის ჩასატარებლად რომელიმე პირს.

მოთხოვნა: „იდენტობის“ თანამშრომლებმა მიმართეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით, რომლითაც მოითხოვეს ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან „იდენტობის“ მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და მისი შედეგების აღმოფხვრა, კერძოდ ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაევალა „იდენტობის“ თანამშრომლებისთვის საჯარო ლექციის ჩასატარებლად აუდიტორიის გამოყოფა.

შედეგი: საქმე ამჟამად ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია.

მაკა ბერუაშვილი და ანა მეგრელიშვილი (მომჩივანთა სახელები შეცვლილია) კაფე „შანზელიზეს“ წინააღმდეგ.

საქმე ეხება ლგბტ იდენტობის მქონე ადამიანების მიმართ საკვებ ობიექტებში მომუშავე თანამშრომლების მოპყრობას.

ფაქტობრივი გარემოებები: მაკა ბერუაშვილი, ანა მეგრელიშვილი და მათი მეგობრები, დაახლოებით რვა ადამიანი 2014 წლის 6 ოქტომბერს იმყოფებოდნენ გორში, სტალინის ქუჩაზე მდებარე კაფე „შანზელიზეში“. ზოგიერთი მათგანი გარეგნული მახასიათებლების მიხედვით (ჩაცმულობა, ვარცხნილობა და სხვა) იდენტიფიცირებადი იყო, როგორც ლგბტ იდენტობის მქონე ადამიანი. ამასთან, ვინაიდან შეხვედრა ორგანიზაციის ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა, „შანზელიზეს“ მენეჯერს მაკა ბერუაშვილმა სთხოვა ანგარიშფაქტურის „იდენტობის“ სახელზე გადმოგზავნა. მენეჯერმა გამოკითხა

მაკა ბერუაშვილი „იდენტობის“ საქმიანობის თაობაზე და მიიღო ინფორმაცია, რომ ორგანიზაციის მთავარი ფოკუსი ლგბტ იდენტობის მქონე ადამიანების დაცვა იყო. იმ დღეს მაკა ბერუაშვილმა და მისმა მეგობრებმა „შანზელიზეში“ 164.35 ლარი დახარჯეს. სტუმრები მშვიდად საუბრობდნენ ერთმანეთში, არავის აწუხებდნენ. „იდენტობის“ თანამშრომლებს ვახშამი ჯერ არ ჰქონდათ დასრულებული, როდესაც მათ მიუახლოვდა მიმტანი, რომელმაც აგრესიული ტონით განაცხადა: „თქვენი დრო ამოწურულია“. ამის შემდეგ მიმტანმა მაგიდაზე ანგარიში განზრახ უხეშად დააგდო. ვიდრე მიმტანი მათთან მივიდოდა, „შანზელიზეს“ თანამშრომლები კაფეს დარბაზში მოშორებით ერთმანეთში საუბრობდნენ, რა დროსაც იყურებოდნენ განმცხადებლების და მათი სტუმრების მისამართით. მათ თან ახლდათ მენეჯერი, რომელმაც სავარაუდოდ, მიმტანს სტუმრების კაფედან გაშვების მითითება მისცა და შემდგომ კაფედან გავიდა, თუმცა, იქვე კართან იდგა. მაკა ბერუაშვილმა და ანა მეგრელიშვილმა „შანზელიზეს“ თანამშრომლებთან გაასაჩივრეს ასეთი მოპყრობა, უთხრეს, რომ ასეთი მოქმედება დისკრიმინაციული იყო. მომჩივანთა მეგობრებმა თავი უსიამოვნოდ, დამცირებულად იგრძნეს და კაფე დატოვეს.

2015 წლის 21 იანვარს „იდენტობა“ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ატარებდა ლექციას. მაკა ბერუაშვილი და ანა მეგრელიშვილი დღის დაახლოებით 14:00 საათისთვის მივიდნენ „შანზელიზეში“ ყავის დასალევად. კაფეში იმ მომენტისთვის კლიენტები არ იმყოფებოდნენ. განმცხადებლები შევიდნენ თუ არა კაფეში, ერთერთი მიმტანი, რომელსაც მომჩივნები წინა ვიზიტიდან იცნობდნენ, მიუახლოვდა „იდენტობის“ თანამშრომლებს და უთხრა, რომ წყალი კაფეში არ მოდიოდა. მომჩივნებმა შესთავაზეს, რომ გვერდით მაღაზიიდან წყალს თავად მოიტანდნენ, თუმცა, პასუხად მიიღეს, რომ ყავას ისეთი აპარატი ამზადებდა, რომელსაც გამდინარე წყალი სჭირდებოდა. განმცხადებლებმა დატოვეს აღნიშნული კაფე და შევიდნენ „შანზელიზეს“ გვერდით მდებარე კაფე „შარდენში,“ სადაც იკითხეს, ჰქონდათ თუ არა წყალი. „შარდენის“ თანამშრომელმა გაიკვირვა და უპასუხა, რომ წყალი არ შემწყდარა. იმავე დღეს გორში ჩავიდა „იდენტობის“ იურისტი ნინო ბოლქვაძე, რომელსაც ლექცია უნდა წაეკითხა. ნინო ბოლქვაძემ დაურეკა მაკა ბერუაშვილს და შესთავაზა, ერთად მიერთვათ სადილი. ნინო ბოლქვაძე, მაკა ბერუაშვილი და ანა მეგრელიშვილი კაფე „შანზელიზეში“ შევიდნენ. ნინო ბოლქვაძემ შეუკვეთა კერძი, რომელიც მითითებული იყო მენიუში, თუმცა მიმტანმა უთხრა, რომ ასეთი კერძი იმ დღეს არ ჰქონდათ. შემდეგ ნინო ბოლქვაძემ შემწვარი კვერცხი შეუკვეთა და ისევ უარი მიიღო. მენიუდან განმცხადებლებისათვის და ნინო ბოლქვაძისთვის ხელმისაწვდომი აღმოჩნდა ყავა და წვენი. იმ დღეს სამ ადამიანზე დახარჯულმა თანხამ 8 ლარი და 80 თეთრი შეადგინა.

სამართლებრივი გარემოებები: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 329-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება (ოფერტი) ითვლება შეთავაზებულად თუ ამ წინადადებაში, რომელიც მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირისადმი, გამოხატულია, რომ წინადადების მიმცემი (ოფერენტი) თანხმობის (აქცეტის) შემთხვევაში მზადაა შეასრულოს თავისი წინადადება. ამავე კოდექსის 316-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულების ძალით, კრედიტორი უფლებამოსილია მოთხოვოს მოვალეს ვალდებულების შესრულება. სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის მიხედვით, კი ვალდებულების წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს პირდაპირ გათვალისწინებული კანონით, გამომდინარეობდეს ხელშეკრულებიდან, უსაფუძვლო გამდიდრებიდან ან დელიქტიდან. ამავე კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად დათქმულ დროსა და ადგილას. როდესაც კვების ობიექტი სთავაზობს საკუთარ მომსახურებას კლიენტებს, ითვლება, რომ მისი მხრიდან ხელშეკრულების დადება შეთავაზებულია. თუ ხელშეკრულება უკვე დადებულია და არ სრულდება ან არასათანადოდ სრულდება, კრედიტორს აქვს უფლება, მოთხოვოს მოვალეს ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულება.

თიკო ნიშნიანიძე და მარინა სულიაშვილი (მომჩივანთა სახელები შეცვლილია) რესტორან „ვენდის“ წინააღმდეგ [28]

საქმე ეხება დისკრიმინაციულ მოპყრობას საზოგადოებრივი კვების ობიექტში ლესბოსელი წყვილის მიმართ.

ფაქტობრივი გარემოებები: 2014 წლის სექტემბერის დასაწყისში განმცხადებლები იმყოფებოდნენ ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე სწრაფი კვების ობიექტ „ვენდისში“. ისინი შევიდნენ „ვენდისის“ დარბაზში, იყიდეს საკვები და სავარძელზე დასხდნენ. მომჩივნები არიან ლესბოსელი ქალები, რომლებსაც ერთმანეთთან პარტნიორული ურთიერთობა აკავშირებთ და ერთ ოჯახად ცხოვრობენ. იმ დღეს მათი ქცევა არაფრით განსხვავდებოდა ჰეტეროსექსუალი წყვილის ქცევისაგან: ხელჩაკიდებულები ისხდნენ, ერთმა განმცხადებელმა მეორეს თავი მხარზე დაადო. მათ ერთმანეთისთვის არ უკოცნიათ და არ განუხორციელებიათ სექსუალურად პროვოკაციული ქცევა. მომჩივნებთან ერთად „ვენდის“ დარბაზში იმყოფებოდა სავარაუდოდ ოჯახი: დედა, მამა და ბავშვები. მას შემდეგ, რაც აღნიშნულმა პირებმა დატოვეს დარბაზი, მალევე მომჩივნებთან მოვიდნენ დაცვის თანამშრომლები, დაახლოებით 5-6 ადამიანი. მათთან ერთად იყო შუა ხნის ასაკის მამაკაცი, სავარაუდოდ დაცვის სამსახურის უფროსი. დაცვის თანამშრომლები მომჩივნების გარშემო განლაგდნენ. სავარაუდოდ, დაცვის უფროსმა მომჩივნებს განუცხადა: „კამერები ყველაფერს ხედავენ და აფიქსირებენ, ამ რესტორანში ოჯახები დადიან და აქ ასე მოქცევა არ შეიძლება.“ მარიამ სულიაშვილმა ჰკითხა დაცვის სავარაუდო უფროსს, რას აშავებდნენ ისინი, რა იყო მათ ქცევაში განსაკუთრებული ან ბავშვებისთვის საზიანო. ამაზე პასუხი დაცვის თანამშრომლებს არ ჰქონდათ. შემდეგ ისინი ცოტა განზე გადგნენ და ერთმანეთში დაიწყეს საუბარი ხმადაბლა იმგვარად, რომ განმცხადებლებს საუბარი არ ესმოდათ. 10 წუთის შემდეგ დაცვის თანამშრომლები მომჩივანების სიახლოვეს დადიოდნენ. მომჩივანებმა თავი დამცირებულად იგრძნეს და დატოვეს რესტორანი „ვენდისი.“ ერთი თვის შემდეგ მომჩივანები კვლავ ეწვივნენ რესტორან „ვენდისს.“ მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად წყვილი ერთმანეთს არ შეხებია, ისინი დაცვის თანამშრომლების ყურადღების ქვეშ იმყოფებოდნენ. დაცვის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ხელი მიმართა მომჩივნებისაკენ და დაცვის მეორე თანამშრომელს ხმამაღლა უთხრა: „ესენი არიან.“

სამართლებრივი დასაბუთება: საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულია თანასწორობის უფლება. იმავე უფლებას იცავს, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი.

მოთხოვნა: თიკო ნიშნიანიძემ და მარინა სულიაშვილმა სახალხო დამცველს საჩივრით 2015 წლის 20 თებერვალს მიმართეს. მათ მოითხოვეს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული რეკომენდაციის გაცემა.

შედეგი: საჩივარი სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა მიიღო წარმოებაში და 2015 წლის 11 მარტის #133/1891 წერილით განმცხადებლებს შეატყობინა, რომ წერილობით მიმართა სს „ვინჯორჯიას“ და მოითხოვა სწრაფი კვების ობიექტ „ვენდისში“ დამონტაჟებული კამერების ჩანაწერები, რომლებიც მოიცავს 2014 წლის 1 სექტემბრიდან 7 სექტემბრამდე მონაკვეთს. აღნიშნულ წერილზე სს „ვენჯორჯიამ“ სახალხო დამცველის აპარატს უპასუხა 2015 წლის 4 მარტის წერილით, სადაც მიუთითა, რომ ვიდეო მასალის მოწოდება შეუძლებელია, ვინაიდან ვიდეო სათვალთვალო სისტემის ჩანაწერი მოწყობილობა ვერ უზრუნველყოფს ძველი მასალების დაარქივებას.

28 საქმე მოამზადა „იდენტობამ“.

ლევან ბერიანიძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ[29]

საქმე ეხება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების სავარაუდო შეზღუდვას სექსუალური ორიენტაციის, მსმ ჯგუფისადმი კუთვნილების ნიშნით.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: 2012 წლის 11 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს მოქალაქეებმა: ირაკლი ვაჭარაძემ, ლევან ასათიანმა, ბექა ბუჩაშვილმა, ლევან ბერიანიძემ და გოჩა გაბოძემ საკონსტიტუციო სარჩელით. მოსარჩელეები თავს ჰომოსექსუალ ადამიანებად თვლიან და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის იმ ნორმატიული აქტების არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვენ საქართველოს კონსტიტუციის მე14 და მე16 მუხლებთან მიმართებით, რომელიც ჰომოსექსუალის მიმართ აწესებდა სისხლის დონორობის აბსოლუტურ აკრძალვას. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა 2013 წლის 8 ოქტომბერს გამოსცა „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის #241/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ბრძანება #0139/ნ, რომლის მიხედვით, სისხლის დონორობის უფლება ეკრძალებოდათ არა ჰომოსექსუალებს, არამედ მსმ პირს (მამაკაცს, რომელსაც სექსი ჰქონდა მამაკაცთან). მითითებულ ბრძანებაში შესული ცვლილების მიხედვით, ფორმალურად, სისხლის დონაცია აიკრძალა არა სექსუალური ორიენტაციის საფუძვლით, არამედ სექსუალური ქცევის ნიშნით. ამასთან აკრძალვამ შეინარჩუნა სამუდამო ხასიათი. ბრძანების ახალი რედაქციის მიხედვით თუ მამაკაცს ერთხელ მაინც ჰქონია სქესობრივი კავშირი მამაკაცთან, სისხლის დონაცია სამუდამოდ ეკრძალება.

სამართლებრივი დასაბუთება: სექსუალური ქცევის საფუძველზე სისხლის დონორობის აბსოლუტური და სამუდამო აკრძალვა არ შეესაბამება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის #2/1/536 გადაწყვეტილებას, რომლითაც ჰომოსექსუალური ქცევის საფუძველზე მსმ პირის მიმართ სისხლის დონორობის აბსოლუტური აკრძალვა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-14 მუხლს. ამ უკანასკნელით იკრძალება დისკრიმინაცია, მათ შორის, სექსუალური ქცევის ნიშნით. საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოხსენებულ საქმეში ასევე დაადგინა კონსტიტუციის მე-16 მუხლის (პიროვნული განვითარების უფლება) დარღვევა.

მოთხოვნა: სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, რათა საკუთარი ბრძანება შეუსაბამოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. სახალხო დამცველმა გამოიყენოს მორიგების მექანიზმიც.

შედეგი: საქმე მიღებულია წარმოებაში სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის მიერ.

29 საქმე მოამზადა „იდენტობამ“.

თამაზ ხიზანიშვილი (მომჩივანის სახელი და გვარი შეცვლილია) იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ[30]

საქმე ეხება ტრანსგენდერი მამაკაცის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში მდედრობითი სქესის შესახებ ჩანაწერის მამრობითი სქესის შესახებ ჩანაწერით შეცვლას.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: თამაზ ხიზანიშვილი ბიოლოგიური სქესის მიხედვით არის ქალი. ის თავს საპირისპირო სქესის წარმომადგენლად, მამაკაცად აღიქვამს, მამაკაცის გარეგნული ნიშნების შეძენის, შენარჩუნების მიზნით გადის ჰორმონალურ თერაპიას. ვიზუალურად ის მამაკაცს ჰგავს და ასეთად აღიქმება ნაცნობი თუ უცნობი ადამიანების მხრიდან. მას შეცვლილი აქვს დაბადების დროს მინიჭებული სახელი მამაკაცის სახელზე. თამაზ ხიზანიშვილს აქვს სტაბილური სამსახური, ჰყავს ოჯახი, ქალი პარტნიორის სახით. მისი პრობლემა დაკავშირებულია იმასთან, რომ ის ყოველდღიურ ცხოვრებაში იძულებულია გაამჟღავნოს საკუთარი ბიოლოგიური სქესი სხვა პირებთან. აღნიშნულის მიზეზია საიდენტიფიკაციო მონაცემებში მისი ბიოლოგიური სქესის შესახებ ჩანაწერი, სადაც ის მდედრობითი სქესის წარმომადგენლად არის დაფიქსირებული.

სამართლებრივი დასაბუთება: „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონის 78-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების შეტანის საფუძველია სქესის შეცვლა – თუ სქესის შეცვლასთან დაკავშირებით პირს სურს სახელის ან/და გვარის შეცვლა. „სქესის შეცვლა“ აუცილებლად არ უნდა მოიცავდეს ქირურგიულ ოპერაციებს, რადგან ყველა ტრანსგენდერს არ სჭირდება ოპერაცია იმისათვის, რომ თავის გენდერთან მიმართებით თავი კომფორტულად იგრძნოს. ხშირ შემთხვევაში საკმარისია, ქცევის, გარეგნობის, ჩაცმის სტილის შეცვლა, ჰორმონალური თერაპიის ჩატარება და ასე შემდეგ.

მოთხოვნა: თამაზ ხიზანიშვილის შესახებ სამოქალაქო აქტებში არსებული ჩანაწერი, უნდა შეიცვალოს ახალი ჩანაწერით, რომლის მიხედვით ის აღინიშნება როგორც მამრობით სქესის წარმომადგენელი.

შედეგი: განცხადება ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზეა.

1.7. დისკრიმინაცია პოლიტიკური შეხედულების ნიშნით

საქართველოს კონსტიტუცია, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, პოლიტიკურ და სხვა შეხედულებას დაცულ უფლებათა შორის ჩამოთვლის. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სხვა სფეროების მსგავსად, „პოლიტიკური ან სხვა შეხედულება“ თავისთავად არის დაცული კონვენციის მე-10 მუხლიდან გამომდინარე გამოხატვის თავისუფლებითაც.[31]

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი დისკრიმინაციის ერთ-ერთ ნიშანად ასევე ითვალისწინებს „პოლიტიკურ ან სხვა შეხედულებას.“

30 საქმე მოამზადა „იდენტობამ“.

31 სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ; ევროპის საბჭო; გვ. 123\, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016800922ad (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

თეონა ჭალიძე თბილისის ისნის რაიონის გამგეობის წინააღმდეგ [N 3/4308-14][32]

საქმე უკავშირდება თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის ტერიტორიული ერთეულის ნავთლუღის უბნის განყოფილების უფროსის მიმართ განხორციელებულ სავარაუდო დისკრიმინაციულ მოპყრობასა და შევიწროვებას, რაც განმცხადებლის თანამდებობიდან გათავისუფლებაში გამოიხატა.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: განმცხადებელი წარმოადგენს პოლიტიკური გაერთიანების – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერს. განმცხადებელი მუშაობდა თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის ტერიტორიული ერთეულის ნავთლუღის უბნის განყოფილების უფროსად. სავარაუდოდ, მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო, მომჩივანი მიუღებელი აღმოჩნდა ისნის რაიონის გამგეობის ახალი ხელმძღვანელობისთვის, რომელიც გამგეობას სათავეში 2014 წლის ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ჩაუდგა. მართალია, მოხელეების სამსახურებიდან დათხოვნების ამ პერიოდში განვითარებული პრაქტიკისგან განსხვავებით[33], განმცხადებლისთვის არ მოუთხოვიათ თანამდებობის ნებაყოფლობით დატოვების შესახებ განცხადების დაწერა, მაგრამ გამგეობის ხელმძღვანელობა ცდილობდა მისი თანამდებობიდან გათავისუფლებისთვის ყველა წინაპირობის შექმნას.

გამგეობის უშუალო ხელმძღვანელობისაგან განმცხადებელი იღებდა შრომატევად და ფიზიკურად თითქმის შეუსრულებელ დავალებებს, დროის არაგონივრულად ხანმოკლე პერიოდში შესასრულებლად. მათი შეუსრულებლობა ხელსაყრელი მიზეზი უნდა გამხდარიყო განმცხადებლის თანამდებობიდან გათავისუფლებისათვის. თავდაპირველად, შენიშვნის სახით, განმცხადებლის მიმართ დისციპლინური სახდელი გამოიყენეს. თბილისის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 20 ოქტომბრის ბრძანებით კი განმცხადებელი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ბრძანების საფუძვლად მიეთითა მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დასკვნა, რომ განმცხადებელი უხეშად არღვევდა სამსახურებრივ მოვალეობებს.

სამართლებრივი დასაბუთება: განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა განსხვავებულ მოპყრობას პოლიტიკური შეხედულებების ნიშნით. თანამდებობიდან მისი გათავისუფლების ერთადერთი მიზეზი სწორედ მისი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებია. გარდა ამისა, მის მიმართ შენიშვნის გამოცხადება დისციპლინური გადაცდომისათვის წარმოადგენდა გამოხატვის თავისუფლებაში შეჭრას, ვინაიდან აღნიშნულს საფუძვლად დაედო მასმედიის საშუალებებით გაკეთებული სხვადასხვა საჯარო განცხადება დამსაქმებლის მხრიდან განმცხადებლის უფლებების დარღვევის შესახებ. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა აზრის გამოხატვისა და პოლიტიკური შეხედულებების ნიშნით დისკრიმინაციის შედეგად, შრომითი უფლებების დარღვევასა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას.

მოთხოვნა: 2014 წლის 29 ოქტომბერს, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განმცხადებელმა საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა. 2014 წლის 17 ნოემბერს კი, პარალელურად სასამართლოსაც მიმართა და მოითხოვა შენიშვნის გამოცხადებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებების ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა, გაცდენილის ანაზღაურება და დისკრიმინაციული ქმედების დადასტურების შემთხვევაში, მორალური ზიანის სახით 3 000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

32 საქმე მოამზადა „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“.

33 http://www.isfed.ge/main/807/geo/ გვ.7.

შედეგი: სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა საქმის წარმოება შეაჩერა, ვინაიდან განმცხადებელმა პარალელურად სასამართლოს მიმართა. თბილისის საქალაქო სასამართლოში მოცემულ საქმეზე მიმდინარეობს წარმოება.

ირაკლი კვარაცხელია თბილისის მერიის წინააღმდეგ [N 3/3270-14] [34]

საქმე უკავშირდება თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის კრწანისის რაიონული განყოფილების უფროსის მიმართ განხორციელებულ სავარაუდო დისკრიმინაციულ მოპყრობასა და შევიწროვებას, რაც განმცხადებლის თანამდებობიდან გათავისუფლებაში გამოიხატა.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: 2014 წლის ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სათავეში მოსული ახალი უფროსისა და მისი მოადგილის მხრიდან, 2014 წლის 5 აგვისტოდან მოყოლებული, განმცხადებელი დაექვემდებარა სავარაუდო დისკრიმინაციულ შევიწროვებას. 2014 წლის 18 აგვისტოს, იმავე თანამდებობის პირებმა, განმცხადებელი დაიბარეს და განუცხადეს, რომ ვინაიდან იგი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური გუნდს უჭერდა მხარს, უნდა დაეწერა განცხადება თანამდებობის დატოვების შესახებ, რადგან ახალი პოლიტიკური გუნდისთვის ირაკლი კვარაცხელია მიუღებელი კადრი იყო. აღნიშნულზე განმცხადებელმა უარი თქვა. მას განუმარტეს, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა მეთოდით, მაგრამ ის ნებისმიერ შემთხვევაში მაინც დატოვებდა თანამდებობას. 2014 წლის 18 ოქტომბერს, გადაცემა „კურიერის“ მეშვეობით განმცხადებელმა გაასაჯაროვა ფარული აუდიო ჩანაწერები, რომლებიც მის მიმართ განხორციელებულ ზეწოლასა და შევიწროვებას ასახავდა. განმცხადებელმა სატელევიზიო კომენტარში აღნიშნა, რომ მერიაში მიმდინარე მოხელეების გათავისუფლებების პროცესებს თბილისის ვიცე-მერი ხელმძღვანელობდა. 2014 წლის 20 ოქტომბერს, თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურმა დაიწყო სამსახურებრივი შემოწმება და მეორე დღესვე გამოსცა დასკვნა, რომელშიც მითითებული იყო, რომ თბილისის ვიცე-მერის მიმართ გაკეთებული განცხადება წარმოადგენდა ცილისწამებას. შედეგად, შეილახა თბილისის ვიცე-მერის და თბილისის მერიის რეპუტაცია, რაც სამსახურებრივ მოვალეობათა უხეშ დარღვევას წარმოადგენდა. ამ საფუძვლით, 2014 წლის 22 ოქტომბერს, გამოიცა თბილისის მერის ბრძანება განმცხადებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

სამართლებრივი დასაბუთება: განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ მოპყრობასა და შევიწროვებას როგორც პოლიტიკური ნიშნით, ასევე, აზრის საჯაროდ გამოხატვის გამო. განმცხადებლის აზრით, ვიცე-მერის მიმართ გაკეთებული განცხადება, როგორც აზრის გამოხატვა, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ამავე კანონით, განმცხადებელი დაცულია, როგორც მამხილებელი. განმცხადებელმა აღნიშნული საჯარო განცხადებით ხელი შეუწყო აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ საზოგადოების მაღალი ინტერესის დაკმაყოფილებას. ამდენად, ადგილი ჰქონდა აზრის, გამოხატვისა და პოლიტიკური შეხედულებების ნიშნით დისკრიმინაციას, აზრის გამოხატვის თავისუფლების დაუსაბუთებელ შეზღუდვას და შრომითი უფლებების დარღვევას.

34 საქმე მოამზადა „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“.

მოთხოვნა: 2014 წლის 10 ნოემბერს, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განმცხადებელმა საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა. 2014 წლის 20 ნოემბერს განმცხადებელმა პარალელურად სარჩელით მიმართა სასამართლოს, შემდეგი მოთხოვნით – თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, თანამდებობაზე აღდგენა, განაცდურის ხელფასის ანაზღაურება და დისკრიმინაციული ქმედების დადასტურების შემთხვევაში, მორალური ზიანის სახით 5 000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

შედეგი: სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა საქმის წარმოება შეაჩერა, ვინაიდან განმცხადებელმა პარალელურად სასამართლოს მიმართა. სასამართლოში მოცემულ საქმეზე მიმდინარეობს წარმოება.

შალვა გოგოლაძე ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ [14678481–3/151-14][35]

საქმე ეხება ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მიმართ განხორციელებულ სავარაუდო დისკრიმინაციულ ქმედებას. განმცხადებელი მითითებული თანამდებობიდან 2014 წლის 21 ნოემბერს, საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე გადააყენეს.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: განმცხადებელი პოლიტიკური გაერთიანების – „თავისუფალი დემოკრატების“ წევრია. მას შემდეგ, რაც 2014 წლის 5 ნოემბერს, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა, ირაკლი ალასანიამ, მასმედიის საშუალებებით კოალიცია „ქართული ოცნების“ დატოვების შესახებ განაცხადა, 2014 წლის 18 ნოემბერს, ქალაქ ახალციხის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა რიგგარეშე სხდომის მოწვევა მოითხოვეს. აღნიშნული სხდომის მოწვევა საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული სავალდებულო დასაბუთების გარეშე, რეგლამენტის იმპერატიული მოთხოვნების დარღვევით განხორციელდა. რიგგარეშე სხდომის მოწვევის დღის წესრიგში ერთადერთ საკითხად განმცხადებლის თანამდებობიდან გადაყენება იყო განსაზღვრული. მიუხედავად მითითებული დარღვევისა, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ ხსენებული მოთხოვნა დაკმაყოფილდა და 2014 წლის 21 ნოემბერს გაიმართა შესაბამისი სხდომა. ხმათა უმრავლესობით (10 ხმა 5-ის წინააღმდეგ) განმცხადებელი გადააყენეს თანამდებობიდან. 2014 წლის დეკემბერში კი განმცხადებელმა პოლიტიკური ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის გამო ახალციხის რაიონულ სასამართლოს მიმართა.

სამართლებრივი დასაბუთება: განმცხადებელი მიიჩნევს, რომ დაექვემდებარა დისკრიმინაციულ მოპყრობას პოლიტიკური კუთვნილების ნიშნით. ახალციხის საკრებულომ იგი რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურის დარღვევით გადააყენა თანამდებობიდან, ვინაიდან რიგგარეშე სხდომის მოწვევისას არ მიუთითეს სხდომის მოწვევის აუცილებლობის დასაბუთების შესახებ. გარდა ამისა, მოცემულ საქმეში არსებული მოვლენების განვითარების ურთიერთკავშირი აშკარად მიუთითებდა მის მიმართ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციულ მოპყრობაზე. თანამდებობიდან მისი გადაყენების ერთადერთი საფუძველი სწორედ ის გახდა, რომ პარტია „თავისუფალი დემოკრატები“ გამოეყო უმრავლესობას და ოპოზიციაში გადავიდა. ამის გამო, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“

35 საქმე მოამზადა „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“.

წარმომადგენლებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ერთ-ერთ წამყვან თანამდებობაზე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის ყოფნა. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს, წარმოადგენს დისკრიმინაციულ ქმედებას, რაც საბოლოოდ მის შრომით უფლებებს არღვევს.

მოთხოვნა: 2014 წლის დეკემბერში, განმცხადებელმა სარჩელით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს. მან მოითხოვა თანამდებობიდან გადაყენების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა, გაცდენილის ანაზღაურება და დისკრიმინაციული ქმედების დადასტურების შემთხვევაში, მორალური ზიანის სახით, მოპასუხისათვის 3 000 ლარის დაკისრება.

შედეგი: ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა განმცხადებლის სასარჩელო მოთხოვნები და იგი თანამდებობაზე აღადგინეს, თანამდებობიდან გადაყენების შესახებ შესაბამისი ბრძანება ბათილად ცნეს, თუმცა დისკრიმინაციული მოპყრობის გამო მორალური ზიანის მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. იგეგმება გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრება.

სალომე ზაქარიაძე და სოფიო ასამბაძე ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინააღმდეგ[N 3-106/15][36]

საქმე ეხება ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2014 წლის დეკემბერი – 2015 წლის იანვრის პერიოდში ჩატარებულ საჯარო მოხელეთა კონკურსს, როდესაც კანდიდატების შერჩევის პროცესში კომისიის მხრიდან ადგილი ჰქონდა პოლიტიკური ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციულ მოპყრობას განმცხადებლების მიმართ.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: ერთ-ერთი განმცხადებელი პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი დემოკრატების“ წევრია, ხოლო მეორე – დამოუკიდებელ კანდიდატად იყრიდა კენჭს 2014 წლის ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. ორივე განმცხადებელმა კონკურსის ტესტირების ეტაპზე მაღალი შედეგები აჩვენა. განმცხადებლებმა გასაუბრების ეტაპიც გაიარეს, თუმცა, მათ მიერ შერჩეულ ვაკანსიებზე საბოლოოდ გამარჯვებულად კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები გამოცხადდნენ. აგრეთვე, განმცხადებლების მითითებით, კონკურსში გამარჯვებული პირები ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოში დასაქმებული სხვადასხვა პირების ნათესავები არიან. განმცხადებლები აგრეთვე მიუთითებენ კონკურსის პროცესში გამოვლენილ სხვადასხვა დარღვევებზე, მაგალითად, ზოგიერთ ვაკანსიაზე ისე გამოცხადდნენ გამარჯვებულები, რომ გასაუბრების ეტაპი საერთოდ არ გაუვლიათ.

სამართლებრივი დასაბუთება: განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ საკონკურსო კომისიის მხრიდან ადგილი ჰქონდა მათ მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას პოლიტიკური კუთვნილების, ასევე, ნათესაური ნიშნით. საკონკურსო კომისიის მხრიდან კონკურსის ჩატარების პროცესში დარღვეული იყო საჯაროობისა და მიუკერძოებლობის პრინციპები.

36 საქმე მოამზადა „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“.

მოთხოვნა: 2015 წლის 23 თებერვალს, ორივე განმცხადებელმა სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს. დისკრიმინაციული მოპყრობის დადასტურების შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნაა დისკრიმინაციული ქმედების შედეგების აღმოფხვრა, რაც გამოიხატება შემდეგში: შესაბამის ვაკანსიებზე კონკურსის შედეგების ნაწილობრივ ბათილობა და მოპასუხისათვის ხელახალი კონკურსის ჩატარების დავალება.

შედეგი: ბათუმის საქალაქო სასამართლოში მოცემულ საქმეზე მიმდინარეობს წარმოება.

ირაკლი ჯიქია შპს „ჰერმესის“ წინააღმდეგ [N 2/20377-2014] [37]

საქმე უკავშირდება 2014 წლის ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, თბილისის მერიის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს-ს ერთ-ერთი განყოფილების უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლებას პოლიტიკური შეხედულების ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის შედეგად.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: საწარმოში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ, 2014 წლის ოქტომბერში ირაკლი ჯიქია რეორგანიზაციის მოტივით გაათავისუფლეს თანამდებობიდან. ხსენებულ თანამდებობას განმცხადებელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდიდან მოყოლებული იკავებდა. 2014 წლის ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, საწარმოს სათავეში მოსული ახალი ხელმძღვანელობისათვის განმცხადებელი სავარაუდოდ მიუღებელი კადრი აღმოჩნდა, ვინაიდან ის დამსაქმებელმა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ გააიგივა და შეუქმნა თანამდებობიდან გათავისუფლების პირობები.

საყურადღებოა, რომ საწარმოში განხორციელდა რეორგანიზაცია, თუმცა, განმცხადებლის თანამდებობას მხოლოდ ფორმალურად შეეცვალა დასახელება. თანამდებობის ფუნქცია-მოვალეობები კი არსებითად იგივე დარჩა. აგრეთვე, საგულისხმოა, რომ საწარმოში სხვა თანამდებობებსაც შეეცვალა ფორმალურად სახელწოდება, თუმცა ამ პოზიციებზე მომუშავე დანარჩენი თანამშრომლებიდან მხოლოდ განმცხადებელი გაათავისუფლეს.

სამართლებრივი დასაბუთება: განმცხადებელი მიიჩნევს, რომ დამსაქმებლის მხრიდან დაექვემდებარა დისკრიმინაციულ მოპყრობას პოლიტიკური შეხედულების ნიშნით. ის გარემოება, რომ თანამდებობას ფორმალურად სახელწოდება შეეცვალა, არ იყო საკმარისი საფუძველი პირის თანამდებობიდან გასათავისუფლებლად, ვინაიდან კონკრეტული პოზიციის უფლებამოსილებები არსებითად არ შეცვლილა. დამსაქმებელმა არც ის გამოიკვლია, თუ რამდენად შეძლებდა დასაქმებული სახელწოდებაშეცვლილ თანამდებობაზე მუშაობის გაგრძელებას, მისი გამოცდილებისა და უნარების შესაბამისად. ამდენად, საქმეში არსებული გარემოებები მიუთითებს დამსაქმებლის მხრიდან უფლებამოსილების არამართლზომიერად გამოყენებაზე, რაც დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდის საფუძველს იძლევა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე სარწმუნოდ არ მიიჩნია სახელმწიფოს არგუმენტი, რომ განმცხადებლის (საჯარო სამსახურში დასაქმებულის) თანამდებობიდან გათავისუფლება წარმოადგენდა თანამდებობის ფუნქციური ცვლილებებით გამოწვეულ აუცილებელ

37 საქმე მოამზადა „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“.

შედეგს. არ დასტურდებოდა, რომ ძველი თანამდებობის ფუნქციებმა არსებობა შეწყვიტა. ეროვნული ხელისუფლების წინაშე არ იდგა საკითხი, თუ რამდენად შეძლებდა განმცხადებელი ახალ თანამდებობაზე მუშაობის გაგრძელებას, ასევე, არ დასმულა საკითხი განმცხადებლის პროფესიული დამსახურების შესახებ. ევროსასამართლომ რამდენიმე მუხლის დარღვევა დაადგინა.[38]

მოთხოვნა: 2014 წლის 20 ნოემბერს, განმცხადებელმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, იმავე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა და გაცდენილის ანაზღაურება. მოგვიანებით, სასარჩელო მოთხოვნას დაემატა მოპასუხისათვის დისკრიმინაციული ქმედების დადასტურების შემთხვევაში მორალური ზიანისათვის ანაზღაურების დაკისრება 3 000 ლარის ოდენობით.

შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოში მოცემულ საქმეზე მიმდინარეობს წარმოება.

1.8. რელიგია

ეროვნული კანონმდებლობა და საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულო ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებები რელიგიური კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციას კრძალავს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ დისკრიმინაციის საფუძვლებს შორის პირდაპირ არის მითითებული რელიგიური კუთვნილება, რის გამოც ის დისკრიმინაციის კლასიკურ ნიშანად ითვლება.

რელიგიური კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციას კრძალავს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-2 და 26-ე მუხლები, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი და მე-12 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი რელიგიურ კუთვნილებას, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ნიშანს პირდაპირ ითვალისწინებს.

ქობულეთის მუსლიმ მოსწავლეთა პანსიონის საქმე [39]

საქმე ეხება დომინანტი რელიგიური ჯგუფის მხრიდან მუსლიმი მოსწავლეებისთვის განკუთვნილი პანსიონის გახსნისა და შემდგომი ფუნქციონირებისთვის დისკრიმინაციულ ხელშეშლას, რასაც ადგილი ჰქონდა ფიზიკური პირების მხრიდან და რაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არაეფექტური პრევენციული პოლიტიკის პირობებში ანგარიშის შედგენის დრომდე არ არის აღმოფხვრილი.

38 „ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ“ (BAKA v. HUNGARY ევროსასამართლოს გადაწყვეტილება), განაცხადი no. 20261/12, 27 მაისი 2014, § 95. ხელმისაწვდომია „ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ“ (BAKA v. HUNGARY) (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

39 საქმის ფარგლებში განცხადება მოამზადა „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC)“. საქმე ჰოლანდიის საელჩოს მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „ტოლერანტობის, რელიგიის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში მომზადდა. დამატებითი ინფორმაცია პროექტის შესახებ ხელმისაწვდომია ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის ვებგვერდზე: http://emc.org.ge/2014/06/01/tolerantobis-religiis-tavisuflebisa-da-adamianis-uflebebata-dacvis-xelshewyoba/, (ნანახია 2015 წლის 6 მარტს).

საქმესთან ფაქტობრივი გარემოებები: 2014 წლის 10 სექტემბერს, ქობულეთში, ლერმონტოვის ქუჩა N13-ში შეკრებილმა ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა (რომლებიც თავს მართლმადიდებელ მრევლს მიაკუთვნებენ) მუსლიმი მოსწავლეებისთვის განკუთვნილი პანსიონატის გახსნისა და ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის მოტივით, პანსიონთან ღორი დაკლეს და ცხოველის თავი შენობის კარზე მიაჭედეს. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ, დომინანტი რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები ადგილზე მუდმივად მორიგეობდნენ და მუსლიმ თემს გადაადგილებისა და პანსიონის გახსნის შესაძლებლობას არ აძლევდნენ. იქვე პოლიციასაც მუდმივი მეთვალყურეობა ჰქონდა დაწესებული. თუმცა, ის მხოლოდ პასიური დამკვირვებლის როლით შემოიფარგლებოდა, არ აღკვეთდა გამოვლენილ სამართალდარღვევებს და არ ასრულებდა კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. პანსიონის გახსნა ანგარიშის შედგენის დრომდე ვერ ხერხდება. დომინანტი რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები საკუთარ განცხადებებსა და ქცევაში ღიად ავლენდნენ ისლამოფობიურ და თურქოფობიურ დამოკიდებულებებს.

სამართლებრივი დასაბუთება: მოსარჩელეები მიიჩნევენ, რომ მათ მიმართ ადგილი აქვს დისკრიმინაციული მოპყრობას როგორც კერძო პირების, ისე – ადმინისტრაციული ორგანოს, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან. მოპასუხე ფიზიკურმა პირებმა უშუალოდ განახორციელეს დისკრიმინაციული მოპყრობა, რაც მათი მხრიდან რელიგიური სიძულვილისა და შეუწყნარებლობის მოტივით პანსიონის საქმიანობისათვის ხელის შეშლაში გამოიხატა. მოპასუხეები და მათ მიერ ორგანიზებული ჯგუფი მოსარჩელეებს განგრძობითად არ აძლევენ საკუთრების უფლებითა და მასთან კავშირში გადაადგილების თავისუფლების, განათლების უფლებითა და რელიგიის თავისუფლებით სარგებლობის შესაძლებლობას პანსიონის შენობასთან დაწესებული მორიგეობისა და მუქარის, იძულებისა და აგრესიის გამოვლენის გზით. ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან დისკრიმინაცია ვლინდება კანონით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობაში, პოლიცია დომინანტი რელიგიური ჯგუფის მიერ გამოვლენილ დისკრიმინაციულ მოპყრობას ახალისებს.

მოთხოვნა: 2014 წლის 9 დეკემბერს სასარჩელო განცხადებით ა(ა)იპ „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობა“, კ.კ-ის, ბ. ი-ის და თ. ხ. მოითხოვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და კერძო პირების – ნ.ყ-ის, დ. ყ-ის, ჟ.კ-ისა და ზ. კ-ის მიერ განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას, განგრძობითი დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრას და მორალური ზიანის ანაზღაურებას 1 ლარის ოდენობით. ამასთან, მოსარჩელე მოითხოვს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალოს მუსლიმი მოსწავლეებისათვის განკუთვნილი პანსიონის საქმიანობის აღდგენა, რაც პანსიონის შენობის წინ აღმართული ხელოვნური ბარიკადების მოხსნასა და მოსარჩელეებისა და პანსიონთან დაკავშირებული სხვა პირებისთვის უსაფრთხო გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფაში გამოიხატება, ისევე როგორც მოპასუხეებისა და მათ მიერ ორგანიზებული ჯგუფის მხრიდან მოსარჩელეებისა და მუსლიმი თემის წარმომადგენლების მიმართ პანსიონის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სიტყვიერი შეურაცხყოფის, ასევე მუქარისა და იძულების ფაქტების დაუყოვნებელი აღკვეთა.

შედეგი: ბათუმის საქალაქო სასამართლომ თავდაპირველად სარჩელი წარმოებაში არ მიიღო. თუმცა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმე კვლავ ბათუმის საქალაქო სასამართლოში დაბრუნდა. ამ დროისთვის სარჩელი დასაშვებად არის ცნობილი და სასამართლო საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე გადავიდა.

1.9. შეზღუდული შესაძლებლობა

ეროვნული კანონმდებლობა და საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულო ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებები კრძალავს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ დისკრიმინაციის საფუძვლების ჩამონათვალში შეზღუდული შესაძლებლობა პირდაპირ არ არის მოხსენიებული. საქმეში „ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ[40] აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ „შეზღუდული შესაძლებლობა, როგორც დიფერენცირების შესაძლო ნიშანი, არ არის მოთავსებული კონსტიტუციის მე-14 მუხლის ჩამონათვალში და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც კონსტიტუციის მე-14 მუხლით განსაზღვრული დიფერენცირების კლასიკური ნიშანი“. თუმცა, მოცემულ საქმეში სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებიდან გამომდინარე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შესაძლებელია წარმოადგენენ „სოციალურ ჯგუფს“, რაც, თავის მხრივ, დისკრიმინაციის კლასიკურ ნიშანს წარმოადგენს.[41]

შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის“ მე-2 და მე-5 მუხლების თანახმად კონვენციის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს შეზღუდულ შესაძლებლობას, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ნიშანს.

მ.კ. შპს 'TAXICALLCENTRE'-ის წინააღმდეგ [N2421/15][42]

საქმე ეხება სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებელი სუბიექტის – შპს 'TAXICALLCENTRE' მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ეტლით მოსარგებლე პირის – მ.კ-ს სავარაუდო დისკრიმინაციის პრაქტიკას, რაც დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მომსახურების გაწევაზე უარის თქმით გამოიხატა.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: ეტლით მოსარგებლე მ.კ.-ს, დაახლოებით, 1 წლის მანძილზე (2013 წლის გაზაფხულიდან 2014 წლის შემოდგომამდე) უმეტეს შემთხვევაში (დაახლოებით, 10 გამოძახებიდან 8-ჯერ) სატრანსპორტო მომსახურების მიღებაზე შეზღუდულ შესაძლებლობაზე მითითების შემდეგ, შპს 'TAXICALLCENTRE' ავტომატურად უარს ეუბნებოდა მომსახურების გაწევაზე. თუკი მოსალოდნელი უარის თავიდან ასარიდებლად, განმცხადებლის მხრიდან შეზღუდულ შესაძლებლობაზე ყურადღების გამახვილება მხოლოდ მომსახურების გაწევაზე თანხმობის შემდეგ მოხდებოდა, ოპერატორი შეკვეთას გამოძახების კვადრატში ავტომანქანის არყოფნაზე, გამოძახებების დიდ რაოდენობაზე

40 „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქმე #532-533, 2014, პარაგრაფი 112. იქვე, პარაგრაფი 114. 2014 წელი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=866&action=show (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

41 იქვე, პარაგრაფი 114.

42 საქმე მომზადებულია ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მიერ. საქმე სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტს გადაეცა 2015 წლის 27 თებერვალს.

აპელირებით აუქმებდა ან მიზეზის აუხსნელად წყვეტდა სატელეფონო კავშირს. ასეთ შემთხვევებში, განმცხადებლი ყოველთვის სთავაზობდა, რომ გონივრული დროის განმავლობაში (დაახლოებით 20-30 წუთი) დაელოდებოდა მანქანის გათავისუფლებას, რაზეც ოპერატორი არასდროს თანხმდებოდა და აგრესიულად ასრულებდა საუბარს.

მ.კ.-ს გადაადგილებისას ყოველთვის თან ახლდა დედა, რის გამოც, არასოდეს მას დამატებითი მხარდაჭერა სხვა პირის მხრიდან არ სჭირდებოდა.

სამართლებრივი დასაბუთება: განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა არახელსაყრელ მოპყრობას, კერძოდ, განცხადებაში მითითებულ პერიოდში, ვერ ახერხებდა საჯაროდ შეთავაზებული მომსახურებით სარგებლობას, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლიდა საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული უფლებების რეალიზებაში, მათ შორის, დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის, პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და პირადი ცხოვრების უფლებების განხორციელებაში. პრაქტიკა, რომელსაც ადგილი ჰქონდა განმცხადებლის მიმართ, არასახარბიელო იყო ანალოგიურ სიტუაციაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით (კერძოდ, ნებისმიერ პირთან შედარებით, რომელიც ეტლით არ სარგებლობს). ამგვარი არასახარბიელო მოპყრობა განპირობებული იყო შეზღუდული შესაძლებლობით და არ არსებობდა ამ პრაქტიკის გონივრული და ობიექტური გამართლება.

განმცხადებელი მიუთითებს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციაზე“ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მე-2 ზოგად კომენტარზე, რომელიც მისაწვდომობის ჭრილში აღიარებს როგორც საჯარო, ისე – კერძო დაწესებულებების მიერ საჯაროდ შეთავაზებული მომსახურების დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფის ვალდებულებას. ამასთან, განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა უკიდურეს შემზღუდველ ფორმას, ვინაიდან ტრანსპორტისა და ქალაქის არაადაპტირებულობის გათვალისწინებით, ტაქსი ეტლით მოსარგებლე პირების გადაადგილებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფი ერთადერთი საშუალებაა.

მოთხოვნა: განმცხადებელი სახალხო დამცველს თხოვს, დაადგინოს, რომ მის მიმართ შპს „TAXICALLCENTRE“ მხრიდან ადგილი ჰქონდა განგრძობითი დისკრიმინაციის პრაქტიკას, დისკრიმინაციის მსგავსი შემთხვევების პრევენციის მიზნით შპს „TAXICALLCENTRE“-ს მიმართ მოამზადოს რეკომენდაცია და საკუთარი ინიციატივით მოამზადოს ზოგადი წინადადება ტაქსის მომსახურების მიმწოდებელი სუბიექტების მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხებზე.

შედეგი: სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა საქმე წარმოებაში მიიღო და განხილვის პროცესშია. საქმეზე გადაწყვეტილება ამ დრომდე არ არის მიღებული.

1.10. საცხოვრებელი ადგილი

ეროვნული კანონმდებლობა და საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულო ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებები კრძალავს დისკრიმინაციას საცხოვრებელი ადგილის ნიშნით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ დისკრიმინაციის საფუძვლების ჩამონათვალში საცხოვრებელი ადგილი სიტყვა-სიტყვით არის მოხსენიებული.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების პაქტი საცხოვრებელ ადგილს, როგორც დისკრიმინაციის ნიშანს სიტყვა-სიტყვით არ მოიხსენიებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციების ეგიდით ადამიანის უფლებების სფეროში მომუშავე საზედამხედველო ორგანოების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დისკრიმინაცია, შესაძლოა, საცხოვრებელი ადგილის ნიშნითაც ხორციელდებოდეს. სამოქალაქო, ეკონომიკური და კულტურული უფლებების დაცვის კომიტეტმა მე-20 ზოგად კომენტარში ["დისკრიმინაციის აკრძალვა სამოქალაქო, ეკონომიკური და კულტურული უფლებებით სარგებლობაში"] აღნიშნა, რომ „ცალკეული უფლებებით სარგებლობა და ფარგლები არ უნდა იყოს პირობითი და დამოკიდებული პირის ამჟამინდელ ან ადრე არსებულ საცხოვრებელზე".

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი საცხოვრებელ ადგილს, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ნიშანს პირდაპირ ითვალისწინებს.

სოფლების – ვეძათხევისა და ოქრუანის მაცხოვრებლების საქმე [N. N2260/15][43]

საქმე ეხება სახელმწიფო დაწესებულებების მხრიდან სოფლების – ვეძათხევისა და ოქრუანის მაცხოვრებლების საცხოვრებელი ადგილის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციას. განმცხადებლები საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული უფლებებით სარგებლობას ვერ ახერხებენ, ვინაიდან მათი სოფელი გზის არარსებობის გამო მოწყვეტილია გარესამყაროს.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები: დუშეთის რაიონის სოფელების – ვეძათხევისა და ოქრუანის მოსახლე ოჯახები დაახლოებით 10 წელია სტიქიური უბედურებების გამო სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელ გარემოში ცხოვრობენ. სოფლებში განვითარებულია რთული ხასიათის და ღრმა განლაგების შეუქცევადი მეწყერი. გეოლოგიური დასკვნის თანახმად, სოფლის დაცვის მიზნით გასატარებელი ნებისმიერი მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიება ძალიან ძვირადღირებული იქნება და ამავდროულად, რეალურ შედეგს ვერ გამოიღებს. სოფლამდე მისასვლელი გზა უვარგისია და სოფელი წლის მანძილზე, უმეტესწილად მოწყვეტილია გარესამყაროს. მათი საცხოვრებელი სახლები იმდენად არის დაზიანებული, რომ საცხოვრებლად უვარგისია. გზის არარსებობის გამო, სოფლის მოსახლეობას ხელი არ მიუწვდება სამედიცინო დაწესებულებაზე, აფთიაქზე, საგანმანათლებლო დაწესებულებაზე, საკვებითა და პირველადი მოხმარების ნივთებით სავაჭრო პუნქტებზე, უსაფრთხოების სერვისებზე,

43 სოფელ ვეძათხევისა და ოქრუანის მოსახლეობის განცხადებები სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების გასახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიისა [10 ოჯახისთვის] და სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტისთვის [3 ოჯახი] მოამზადა „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა" (EMC).

კულტურულ ან სოციალურ დაწესებულებებსა და სხვა სერვისებზე. სოფელს არ მიეწოდება ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია კი – შეფერხებით. სოფელში განათლების მიღებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან წვდომის შეუძლებლობის გამო, ბავშვები გახიზნულნი არიან და მშობლები შვილების ნახვას იშვიათად ახერხებენ. შესაბამისად, ვერ მონაწილეობენ მათ აღზრდაში.

სამართლებრივი დასაბუთება: სოფლის მაცხოვრებლების მიმართ ადგილი აქვს არახელსაყრელ მოპყრობას, ვინაიდან მათ ხელი ეშლებათ საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული რიგი უფლებებით სარგებლობაში: კერძოდ, სიცოცხლის, პატივისა და ღირსების, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუვალობის, განათლების, ცხოვრების სათანადო დონითა და სათანადო საცხოვრისით სარგებლობის, ჯანდაცვისა და სხვა უფლებებით სარგებლობაში. ეს ყველაფერი განპირობებულია მომჩივანთა საცხოვრებელი ადგილით. დიფერენცირებულ მოპყრობას ობიექტური გამართლება არ გააჩნია და ამრიგად, წარმოადგენდა დისკრიმინაციას.

მოთხოვნა: განმცხადებლებმა [10 ოჯახი] საცხოვრებელით დაკმაყოფილების მიზნით მიმართეს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების საკითხების მარეგულირებელ კომისიას (შემდგომში კომისია). განმცხადებლებმა, რომელთა მოთხოვნაც არ დაკმაყოფილდა, [3 ოჯახი] მიმართეს საქართველოს სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტს და მოითხოვეს მათ მიმართ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და მისი აღმოფხვრის მიზნით სახელმწიფო დაწესებულებების მიერ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციის მომზადება. სახალხო დამცველს აგრეთვე ეთხოვა გარესამყაროს მოწყვეტილ დასახლებებში მცხოვრები პირების საცხოვრებელი ადგილის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხზე საკუთარი ინიციატივით ზოგადი წინადადების მომზადება.

შედეგი: კომისიამ ალტერნატიული ფართით დააკმაყოფილა დუშეთის რაიონის სოფელ ვეძათხევის 6 და სოფელ ოქრუანის 1 ოჯახი [თითოეულ ოჯახს სახელმწიფო შეუძენს საცხოვრებელ სახლებს 20 000 ლარის ფარგლებში]. სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა საქმე წარმოებაში მიიღო და განხილვის პროცესშია. საქმეზე გადაწყვეტილება ამ დრომდე არ არის მიღებული.

2.1. სახალხო დამცველი

დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხვედველობის უფლებამოსილება სახალხო დამცველს[44] დაეკისრა. კანონით დაკისრებული უფლებამოსილების შესასრულებლად სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა თანასწორობის დეპარტამენტი. დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად სახალხო დამცველს უფლება აქვს გამოსცეს რეკომენდაცია, ზოგადი წინადადება, მიმართოს საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელებით და „სასამართლოს მეგობრის" მოსაზრებით.

სახალხო დამცველის აპარატიდან მიღებული 2015 წლის 12 მარტის #05/1950 წერილით ირკვევა, რომ 48 საქმიდან სახალხო დამცველის აპარატში დისკრიმინაციაზე მიუთითებდნენ სამუშაო ადგილზე – 20 საქმეში, სამართალდამცავ ორგანოებში – 6 საქმეში, საჯარო და ნახევრად საჯარო სივრცეში – 5 საქმეში, საზოგადოებრივი კვების ობიექტებში – 3 საქმეში; სოციალური დაცვის სფეროში – 3 საქმეში; განათლებისა და სკოლამდელი აღზრდის სფეროში – 3 საქმეში; ჯანდაცვის სფეროში 2 საქმეში; ტრანსპორტით მომსახურების სფეროში – 2 საქმეში, თითო-თითო შემთხვევები მშენებლობის, სტატისტიკის, სამოქალაქო აქტების, პერსონალური მონაცემების დამუშავების სფეროში.

2.1.1 საქმის განხილვა განცხადების საფუძველზე

სახალხო დამცველი განიხილავს იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადებას და საჩივარს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევენ.[45] ამგვარად, ერთ-ერთი საფუძველი, რომლის არსებობის შემთხვევაშიც სახალხო დამცველმა საქმის შესწავლა უნდა დაიწყოს, ეს უშუალოდ დისკრიმინაციის მსხვერპლის წერილობითი განცხადებაა. აქვე უნდა გამოიყოს ე.წ. „კლასობრივი განცხადებები,[46]"როდესაც უფლების დარღვევა ეხება არა მხოლოდ განცხადების ავტორს, არამედ მესამე პირსაც. მოცემულ შემთხვევაში მესამე პირები ისეთივე მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორშიც განმცხადებელი. განმცხადებელი მოქმედებს არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მთელი ჯგუფის, კლასის სახელით. ეს ხდება მაშინ, როცა მასშტაბებიდან გამომდინარე პრობლემა ვერ იქნება მოგვარებული მხოლოდ ერთ პირთან, განმცხადებელთან მიმართებაში და სახელმწიფოს ჩარევა უნდა შეეხოს ყველა იმ პირს, ვინც განმცხადებლის იდენტურ მდგომარეობაში იმყოფება.

კლასობრივი განცხადების ყველაზე კარგი მაგალითია სოფელი ვეძათხევის საქმე. ეს უკანასკნელი ეხება მეწყერსაშიშ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას, რომელიც გზის არარსებობისა და გარესამყაროსთან შეზღუდული წვდომის გამო დისკრიმინირებულია. დისკრიმინაციის დადგენისა და შესაბამისი შედეგების აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციის მომზადების მოთხოვნით სახალხო დამცველს მიმართა სამმა ოჯახმა ვეძათხევიდან. დისკრიმინაციის აღმოფხვრის ერთ-ერთი შესაძლო და ყველაზე უფრო ადეკვატურ ფორმა ამ ოჯახების სოფლიდან განსახლებაა. სახალხო დამცველის მიერ საქმის განხილვის შედეგი და მისი რეკომენდაციის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებები განმცხადებლებთან ერთად შესაძლოა, შეეხოთ ამ ოჯახების ოთხ სხვა წევრსაც, რომლებიც სახალხო

44 „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

45 „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

46 Class action Legal Information Institute ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.law.cornell.edu/wex/class_action A class action is a procedural device that permits one or more plaintiffs to file and prosecute a lawsuit on behalf of a larger group, or „class". (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

დამცველის განცხადებას ხელს არ აწერენ, თუმცა, განმცხადებლების პრობლემა მათი ოჯახის წევრებისაგან იზოლირებულად ვერ მოგვარდება.

განცხადების განხილვასთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში დამკვიდრდა პოზიტიური პრაქტიკა. სახალხო დამცველის აპარატი განმცხადებელს ატყობინებს განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე.

სახალხო დამცველი იწვევს განმცხადებელს და სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს და ცდილობს, საქმე მხარეთა მორიგებით დაასრულოს;[47] სახალხო დამცველის აპარატიდან გამოთხოვილი ინფორმაციიდან ირკვევა, რომ ზეპირი მოსმენა ჩატარდა ერთ-ერთ საქმეზე, სადაც მომჩივანი აცხადებდა, რომ მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო, დირექტორის მხრიდან გახდა დისკრიმინაციის მხვერპლი. ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც ეხებოდა სექსუალური ორიენტაციისადმი მიკუთვნებულობის გამო პირის სტიქაროსანის პოზიციიდან დათხოვნას, სახალხო დამცველის აპარატმა აწარმოა მედიაცია ყოფილ სტიქაროსანსა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოს შორის, თუმცა – უშედეგოდ.

2.1.2 საქმის განხილვის დაწყება საკუთარი ინიციატივით

სახალხო დამცველი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტის შესწავლას იწყებს როგორც განცხადებისა და საჩივრის არსებობისას, ისე საკუთარი ინიციატივით. განცხადებასა და საჩივარს, ამავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველს წარუდგენს პირი, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად თვლის. აქედან გამომდინარე, მსხვერპლის განცხადებისა და საჩივრის წარდგენა (ზოგადად კონკრეტული მსხვერპლის მონაწილეობა) არ არის აუცილებელი მაშინ, როცა სახალხო დამცველი საქმის შესწავლას საკუთარი ინიციატივით იწყებს.

ამგვარად, სახალხო დამცველმა, შესაძლოა, სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის შესწავლა დაიწყოს როგორც მედიით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, ისე იმ შემთხვევაში, როდესაც მას წერილობით მიმართავენ სხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

2.1.3 ACTIO PUPULARIS პრინციპი სახალხო დამცველის საქმიანობაში

სახალხო დამცველის მხრიდან საკითხის პროაქტიური შესწავლის შესაძლებლობა, გზას უხსნის actio pupularis პრინციპით საქმის წარმოების შანსებს. არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ შესაძლებლობა, მიაწოდონ სახალხო დამცველს ინფორმაცია დისკრიმინაციული პოლიტიკის ან დისკრიმინაციული ფაქტის შესახებ. სახალხო დამცველი კი, აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, საკუთარი ინიციატივით დაიწყებს საქმის წარმოებას. კოალიციის ორმა ორგანიზაციამ უკვე მოითხოვა ორ საქმეში სახალხო დამცველისაგან საკუთარი ინიციატივით საქმის წარმოების დაწყება.

47 „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

პირველ შემთხვევაში, კავშირმა „საფარმა“ სახალხო დამცველს წარუდგინა მიმართვა „საქართველოს ბანკის“ რეკლამა „ქმარკომატთან“ დაკავშირებით. რეკლამა ამკვიდრებდა სტერეოტიპულ შეხედულებებს და ეს უკანასკნელი ქალთა განუსაზღვრელ წრეს ეხებოდა. სახალხო დამცველის აპარატში საჩივარი შეიტანა არა კონკრეტულად ამ რეკლამით დაზარალებულმა ქალმა (ფიზიკურმა პირმა), არამედ არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარმა.“ ეს საქმე კავშირი „საფარისათვის“ წარმატებით დასრულდა: სახალხო დამცველმა, არათუ საკუთარი ინიციატივით დაიწყო საქმის შესწავლა, არამედ გამოსცა ზოგადი წინადადება „საქართველოს ბანკის“ მიმართ.

მეორე საქმე ეხება ბათუმის საკრებულოს განკარგულებას, რომლითაც ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ვიზიტისათვის საქართველოს მოქალაქეები იხდიან 3 ლარს, ხოლო უცხოელები – 8 ლარს. აღნიშნული განკარგულების ბათილად ცნობის მოთხოვნით რეკომენდაციის შემუშავების შესახებ სახალხო დამცველს მიმართა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და არა უცხოელმა, რომელზეც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ბათუმის საკრებულოს დისკრიმინაციული განკარგულება.

ამ ეტაპზე არ ყოფილა შემთხვევა, როცა სახალხო დამცველს უარი ეთქვას არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ განხორციელებული სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების თაობაზე საქმის წარმოების საკუთარი ინიციატივით დაწყებისაგან და შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ actio pupularis პრინციპი ამ კუთხით მუშაობს. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ ის თავისებურება, რაც ახასიათებს გენდერული სტერეოტიპის შემცველ რეკლამასა და დიფერენცირებულ სატარიფო პოლიტიკას. ორივე დისკრიმინაციული ღონისძიება ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს (ერთ შემთხვევაში, ყველა ქალს, მეორე შემთხვევაში – ყველა უცხოელს).

რა მოხდება მაშინ, როცა დისკრიმინაციული ღონისძიება პირთა განსაზღვრული წრის ან, სულაც, კონკრეტული ინდივიდის მიმართ არის გამოყენებული? დაიწყებს თუ არა საქმის შესწავლას სახალხო დამცველი ასეთ შემთხვევაში, როდესაც საჩივარი შეტანილია არა სავარაუდო დისკრიმინაციით უშუალოდ დაზარალებულის, არამედ მესამე პირის მიერ? ასეთ შემთხვევას სახალხო დამცველის პრაქტიკაში ადგილი უკვე ჰქონდა და პასუხი ამ კითხვაზე უარყოფითი იყო. სახალხო დამცველის აპარატიდან კოალიციისათვის გამოგზავნილი 2015 წლის 13 მარტის #05/1950 წერილით ირკვევა, რომ სახალხო დამცველის აპარატში შევიდა საჩივარი, რომელშიც მესამე პირი მიუთითებდა იმაზე, რომ ერთ-ერთ მღვდელმსახურს არ მიეცა საჯარო დისკუსიის ჩატარების უფლება მისი რელიგიური კუთვნილების გამო. ამით განმცხადებელი იცავდა არა საკუთარ, არამედ მღვდელმსახურის უფლებას. სახალხო დამცველმა არ მიიღო აღნიშნული განცხადება წარმოებაში, ვინაიდან მღვდელმსახურმა უარი განაცხადა საქმეში ჩართვაზე, ხოლო მომჩივანმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი რწმუნებულება.

2.1.4 ზოგადი წინადადება და რეკომენდაცია

„ქმარკომატის“ საქმიდან ირკვევა, რომ სახალხო დამცველი ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას უგზავნის ზოგად წინადადებას დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სახალხო დამცველი რეკომენდაციას მოამზადებს მაშინ, როცა სახეზეა დისკრიმინაციის დასრულებული ფაქტი.[48] იმავე „ქმარკომატის“ საქმის მიხედვით, ზოგადი

48 „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

წინადადება შეიძლება გამოიცეს მაშინ, როდესაც დისკრიმინაციას ჯერ არა აქვს ადგილი, თუმცა. მომავალში მისი საფრთხე არსებობს. აღნიშნული პრაქტიკის მიხედვით, ზოგადი წინადადება, შესაძლოა, ემსახურებოდეს დისკრიმინაციის პრევენციას, მაშინ როდესაც რეკომენდაციის მიზანი შეიძლება იყოს უკვე დასრულებული ფორმით არსებული დისკრიმინაციის აღმოფხვრა.

რეკომენდაცია, შესაძლოა, ინდივიდუალური ღონისძიება იყოს (მაგალითად, დისკრიმინაციული ქმედების ჩამდენი პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება), ზოგადი წინადადება კი, შესაძლოა, უფრო ფართო ღონისძიება იყოს (მაგალითად, თანამშრომლების გადამზადება, ზოგადი ღონისძიებები დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, როგორც ამას ადგილი ჰქონდა „ქმარკომატის“ საქმეში მომზადებულ ზოგად წინადადებაში).

„ქმარკომატის“ საქმეზე გამოცემულ ზოგად წინადადებაში აღნიშნულია: „სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სექსისტური გამონათქვამების ან/და ფოტო/ილუსტრაციის შემცველი რეკლამა ხელს უწყობს ერთ-ერთი სქესის მიმართ დისკრიმინაციული მიდგომის გაღრმავებას, პოპულარიზაციას უწევს საუკუნეების განმავლობაში ერთ-ერთი სქესის საზიანოდ ჩამოყალიბებულ გენდერულ სტერეოტიპებს, აადვილებს მათ გადაცემას. მსგავსი რეკლამა წარმოადგენს დისკრიმინაციის ხელშემწყობ საშუალებას და ამართლებს დისკრიმინაციულ პრაქტიკას“.

სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით მოუწოდა „საქართველოს ბანკს,“ მომავალში თავი შეიკავოს მსგავსი ტიპის სექსისტური რეკლამების გავრცელებისაგან, ასევე გადაამზადოს საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამშრომლები და სარეკლამო რგოლზე პასუხისმგებელი პირები გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

2.1.5 სტერეოტიპული გამონათქვამები და დისკრიმინაცია

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში პირდაპირ არ არის ნახსენები სიძულვილის ენა და სტერეოტიპული გამონათქვამები. ამის მიუხედავად, კანონის გამოყენების ამ დრომდე არსებული პრაქტიკა მიუთითებს იმაზე, რომ შესაძლოა, სტერეოტიპული გამონათქვამების გამოყენება არ დარჩეს სახალხო დამცველის რეაგირების გარეშე. ამის მაგალითია ზემოთ ხსენებული „ქმარკომატის“ საქმე, სადაც სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით მიმართა „საქართველოს ბანკს“.

„ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აღნიშნული რეკლამა არის სექსისტური ხასიათის მატარებელი, რომელიც ამკვიდრებს გენდერულ სტერეოტიპს. ხოლო ამგვარი სტერეოტიპების დამკვიდრება საზოგადოებაში ხანგრძლივი დროის მანძილზე, სქესის ნიშნით დისკრიმინაციული გარემოს შესაქმნელად ქმნის საფუძველს.“

ამის შემდეგ სახალხო დამცველს მოჰყავს სტატისტიკა, რაც ადასტურებს შრომით ბაზარზე მამაკაცებთან შედარებით ქალთა უთანასწორო მდგომარეობას. ასევე ზოგად წინადადებაში საუბარია ოჯახში ქალზე ძალადობისა და ყოფილი მეუღლეებისა თუ პარტნიორების მხრიდან ქალთა მკვლელობების თაობაზე. სახალხო დამცველი ასკვნის: „იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო და საზოგადოება იბრძვის ძალადობის და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის დასაძლევად, სექსისტური შინაარსის და სტერეოტიპების შემცველი რეკლამის გავრცელება განსაკუთრებულ უარყოფით გავლენას ახდენს.“

სახალხო დამცველი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ტრადიციული თუ სოციალური მედიით გავრცელებული რეკლამა, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის აზროვნების მიმართულების ფორმირებას ახდენს, ამასთან, ის განსაკუთრებით საშიშია და დამანგრეველი ეფექტი შეიძლება იქონიოს ბავშვებისა და ახალგაზრდების აზროვნების ჩამოყალიბებაზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში, ადამიანთა უმრავლესობა, მათ შორის ბავშვები, საგანგაშოდ დამოკიდებულები არიან მედიასა და ინტერნეტზე, ბუნებრივია, რომ ამა თუ იმ რეკლამის, ინფორმაციის გავლენის ქვეშ მოქცევა შეუქცევადი პროცესია. მაშინ როდესაც ბავშვებისთვის ტელევიზია, ვირტუალური სივრცე ინფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, რეკლამების აქტიური ტირაჟირება და სისტემატიური ხასიათი გადმოცემულ ინფორმაციას მეხსიერებაში გაუაზრებლადაც კი ლექავს.

სახალხო დამცველის მხრიდან კანონის მსგავსი განმარტება დადებით შეფასებას იმსახურებს. თუმცა, სახალხო დამცველის მიდგომა სტერეოტიპული გამონათქვამების სხვა შემთხვევებთან დაკავშირებით არ ყოფილა ანალოგიური. მაგალითად, საჩივარი, რომელიც სიძულვილის ენას ეხებოდა: სახალხო დამცველმა დაუშვებლად ცნო კარინა გრიგორიანის განცხადება ეთნიკური სომხის მიმართ სიძულვილის ენის გამოყენების შესახებ.[49]

ის, რომ ეთნიკურ სომეხ საქართველოს მოქალაქეებს საქართველოზე მეტად უყვართ სომხეთი, ფართოდ გავრცელებული ეთნიკური სტერეოტიპია. ამას გარდა, საქართველოში არმენოფობია სექსიზმთან ერთად დიდ პრობლემას წარმოადგენს. არმენოფობიამ ქვეყანაში მაშტაბური სახე 2011 წელს მიიღო, როდესაც პარლამენტმა სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების კანონპროექტს უყარა კენჭი, რომლითაც უმცირესობათა რელიგიურ კონგრეგაციებს მიეცათ შესაძლებლობა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დარეგისტრირებულიყვნენ. საკანონმდებლო ცვლილებები დომინანტმა რელიგიურმა გაერთიანებამ სომხური ეკლესიის ინტერესების დაკმაყოფილებისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეაფასა.[50] ამ განცხადებას მოჰყვა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ ორკესტრირებული მასშტაბური საპროტესტო აქციები,[51] სადაც ადგილი ჰქონდა აშკარად არმენოფობიურ გამონათქვამებს და ძალადობისკენ მოწოდებას მართლმადიდებელი სასულიერო პირების მხრიდან.[52]

გარდა იმისა, რომ ქვეყანაში ზოგადად არსებობს არმენოფობიური გარემო, დისკრიმინაციის საფრთხეს ქმნიდა ის გარემოება, რომ სიძულვილისა და სტერეოტიპული ხასიათის გამონათქვამის ავტორი იყო სახელმწიფოს 100%-იანი წილის მქონე კორპორაციის წამყვანი თანამშრომელი, თანაც, არმენოფობიური გამონათქვამი, „ქმარკომატის“ რეკლამის მსგავსად, გავრცელებული იყო სოციალური ქსელით, რომელიც სახალხო დამცველის თქმით, „საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის აზროვნების მიმართულების ფორმირებას ახდენს, ამასთან, განსაკუთრებით საშიშია და დამანგრეველი ეფექტი შეიძლება იქონიოს ბავშვებისა და ახალგაზრდების აზროვნების ჩამოყალიბებაზე.“

„ქმარკომატის“ საქმესა და კარინა გრიგორიანის საქმეს შორის ერთადერთი განსხვავება იყო ნიშანი: პირველ შემთხვევაში, ეს იყო გენდერი, მეორე შემთხვევაში – ეთნიკური კუთვნილება. სხვა მხრივ, ეს ორი საქმე ერთმანეთის მსგავსი იყო: ორივე საქმეში სოციალური ქსელით ხდებოდა სტერეოტიპების ტირაჟირება.

49 იხილეთ 1.2. თავი.

50 „ქართული ეკლესია: შეჩერდეს ზოგიერთი რელიგიის სამართლებრივ სტატუსზე კანონის მიღება“ civil.ge 2011 წლის 5 ივლისს ხელმისაწვდომია ვებგვერდზე http://www.civil.ge/geo/article.php?id=24278 (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

51 „ათასობით ადამიანმა რელიგიური უმცირესობების სამართლებრივ სტატუსზე კანონი გააპროტესტა“; civil.ge; 2011 წლის 11 ივლისი; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე http://civil.ge/geo/article.php?id=24311 (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

52 „სასულიერო პირი სომხებზე“; ნეტგაზეთი; 2011 წლის 11 ივლისი; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე https://www.youtube.com/watch?v=i-6Hoj-zPkZU (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

ამის მიუხედავად, საქმის განხილვის შედეგი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულია. სახალხო დამცველის აპარატმა კარინა გრიგორიანის განცხადება არ მიიღო წარმოებაში, „ქმარკომატის“ საქმეში კი მიღებული იქნა ზოგადი წინადადება. სახალხო დამცველი არ შეეცადა ან ზემოხსენებულ ორ საქმეს შორის არსებული ფაქტობრივი გარემოებები ერთმანეთისაგან გაემიჯნა ან ერთნაირ გარემოებებთან დაკავშირებით გამოყენებული ურთიერთსაპირისპირო მიდგომები სათანადოდ დაესაბუთებინა.

დადებით შეფასებას იმსახურებს ის, რომ გენდერული სიძულვილის შემცველ და სტერეოტიპულ გამონათქვამებს სახალხო დამცველი დისკრიმინაციის ხელშემწყობ ფაქტორად განიხილავს და ამ შემთხვევაში ზოგად წინადადებას გასცემს. უფრო თანმიმდევრული იქნება, თუკი მსგავს მიდგომას სახალხო დამცველი გამოიყენებს სხვა მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მიმართ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევაში.

2.1.6 წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სახალხო დამცველის აპარატში

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი არ არეგულირებს მსხვერპლის მიერ სხვა პირისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გადაცემის საკითხს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, გარდა მე-3 თავისა, არ ვრცელდება სახალხო დამცველზე.[53] აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 86-ე და 87-ე მუხლის მოთხოვნებიც, რომელთა მიხედვითაც, ყველას აქვს უფლება აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან წარმომადგენლის მეშვეობით, აგრეთვე ისარგებლოს დამცველის დახმარებით. თუ განმცხადებელმა ან სხვა დაინტერესებულმა მხარემ დანიშნა წარმომადგენელი, ადმინისტრაციული ორგანო დაინტერესებული მხარისათვის განკუთვნილ ყველა დოკუმენტს მას უგზავნის.

შესაძლოა, საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდეს სახალხო დამცველის წინაშე წარმომადგენლობის საკითხი.

2.1.7 მტკიცების ტვირთი

პირმა, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით/საჩივრით მიმართავს, უნდა მიუთითოს ის ფაქტები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა და უნდა წარადგინოს შესაბამისი მასალები.[54] პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.[55]

მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ჩანაწერი არსებობს საქმის სასამართლოში განხილვისას მტკიცების ტვირთის განაწილების შემთხვევაში, სახალხო დამცველისათვის მიმართვა უფრო სასურველია მაშინ,

53 ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი

54 „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლი.

55 „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მუხლის მე-2 პუნქტი.

როდესაც დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლს არა აქვს საკმარისი მტკიცებულებები დისკრიმინაციის ფაქტის დასადასტურებლად. ეს უპირატესობა, შესაძლოა, იმაში მდგომარეობდეს, რომ სახალხო დამცველს, სასამართლოსაგან განსხვავებით, უფლება აქვს აქტიურად მოიპოვოს მტკიცებულებები. მაგალითად, სახალხო დამცველი უფლებამოსილია, ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოდან (მათ შორის პროკურატურის, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოდან) მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია და ახსნა-განმარტება.[56] სახალხო დამცველს ხელი მიუწვდება საიდუმლო ინფორმაციაზეც.[57] სახალხო დამცველი ნიშნავს ექსპერტიზას.[58] სახალხო დამცველი და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი შედის დახურულ ინსტიტუციაში და ამოწმებს იქ არსებულ დოკუმენტაციას.[59] სასამართლო თავად არ მოიპოვებს რაიმე მტკიცებულებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა განიხილავს კერძოსამართლებრივ დავას.

კოალიციის წარმომადგენლები უფრო ხშირად სახალხო დამცველს მიმართავენ მაშინ, როცა ფაქტის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს. მაგალითად, ქალაქ გორში კაფე „შანზელიზეში“ ლგბტ თემის წარმომადგენლებისათვის სექსუალური ორიენტაციის გამო მომსახურებაზე უარის თქმა „იდენტობამ“ გაასაჩივრა სახალხო დამცველის აპარატში და არა სასამართლოში, ვინაიდან არ არსებობდა ისეთი მტკიცებულება, როგორიცაა მაგალითად, კაფე „შანზელიზეს“ პერსონალის მიერ მომსახურების გაწევაზე უარის ამსახველი ვიდეომასალა. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, „იდენტობას“ შეეძლო დისკრიმინაციული საფუძვლით მომსახურებაზე უარი გაესაჩივრებინა სასამართლოში, სადაც „იდენტობის“ თანამშრომლები, ვიდეომასალაზე დაყრდნობით, დაადასტურებდნენ იმას, რომ მათ მომსახურება არ გაუწიეს. ამის მიზეზი კი მომხმარებლის ლგბტ პირთა უფლებების დამცველი ორგანიზაციის წევრობა იყო. ხოლო ის, რომ „იდენტობის“ თანამშრომლებს მომსახურება წყლის მიწოდების შეწყვეტით ან სხვა ობიექტური მიზეზით არ გაუწიეს, სასამართლოში კაფე „შანზელიზეს“ მენეჯმენტს უნდა დაემტკიცებინა.

2.1.8. მესამე პირად ჩაბმა საქმის სახალხო დამცველის აპარატში განხილვისას

ორგანიზაციას, დაწესებულებას ან გაერთიანებას, რომლის საქმიანობის სფეროც პირთა დისკრიმინაციისაგან დაცვას გულისხმობს, უფლება აქვს, მიმართოს საქართველოს სახალხო დამცველს ამ კანონით გათვალისწინებული საქმის განხილვის პროცესში მესამე პირად ჩართვის მოთხოვნით.[60] ამავე კანონის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა დააკმაყოფილოს მხოლოდ იმ პირის თანხმობის შემთხვევაში, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს.

2015 წლის 27 თებერვალს, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა“ (EMC) განცხადებით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს, იმისათვის რომ EMC მესამე პირად ჩართულიყო თანასწორობის დეპარტამენტის მიერ განსახილველ საქმეში N. 1773/15, რომელიც სახალხო დამცველის ოფისმა 2015 წლის 13 თებერვალს მიიღო.

56 „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი.

57 „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლი.

58 „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-18 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

59 „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლი.

60 „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი.

საქართველოს სახალხო დამცველის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, საქმე N.1773/15 შეეხება ინციდენტს, როდესაც შენობის არასათანადო ადაპტირების გამო, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს არ მიეცათ საშუალება დასწრებოდნენ ერთ-ერთი ცნობილი ხელოვანის საიუბილეო საღამოს.

ანგარიშის შედგენის დრომდე საქართველოს სახალხო დამცველმა ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრს (EMC) აცნობა განცხადების (საქმეში მესამე პირად ჩართვის შესახებ) მიღების თაობაზე. განმცხადებლისგან თანხმობის საფუძველზე სახალხო დამცველმა დააკმაყოფილა EMC განცხადება საქმეში მესამე პირად ჩართვის შესახებ.

ამრიგად, სახალხო დამცველს საქმის განხილვაში მესამე პირად ჩართვის საკითხზე უკვე აქვს გარკვეული პრაქტიკა. კანონი არ მიუთითებს, თუ რა ვადაში უნდა მიიღონ გადაწყვეტილება საქმეში მესამე პირად ჩართვის შესახებ. ამ დრომდე არ არსებობს არც შიდა რეგულაცია, რომელიც მოცემულ საკითხს არეგულირებს. განჭვრეტადობისა და საქმეების დროულად განხილვის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, კანონში გაიწეროს მესამე პირად ჩართვის მოთხოვნიდან, რა ვადაში უნდა მიიღოს ამის შესახებ სახალხო დამცველმა გადაწყვეტილება.

2.1.9 ინფორმაციის გამოთხოვა

2.1.9.1 ინფორმაციის გამოთხოვა საჯარო დაწესებულებიდან

ნებისმიერი ადმინისტრაციული, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (მათ შორის, პროკურატურის, საგამოძიებო, სასამართლო ორგანო) ვალდებულია საქმის განხილვასთან დაკავშირებული მასალა, საბუთი, ახსნა-განმარტება და სხვა ინფორმაცია კანონით დადგენილი წესების დაცვით გადასცეს საქართველოს სახალხო დამცველს მოთხოვნიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.[61] ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების კონტექსტში კანონი ერთმანეთისაგან არ განასხვავებს საჯარო დაწესებულებას, რომელიც საჩივარში მითითებულია მოპასუხედ ან წარმოადგენს მესამე პირს.

ვინაიდან კანონი საუბრობს საჯარო დაწესებულების ვალდებულებაზე და არა მის კეთილ ნებაზე, აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს უარყოფით სამართლებრივ შედეგს ადმინისტრაციული ორგანოსათვის. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173[4] მუხლით სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა დაჯარიმებას იწვევს. საჯარო დაწესებულებიდან სახალხო დამცველი ინფორმაციის გამოთხოვის აუცილებლობის წინაშე დადგება სოფელი ვეძათხევის საქმეში, სადაც მომჩივანები აცხადებენ, რომ გზის არარსებობის გამო ადმინისტრაციული ცენტრიდან მოწყვეტილ სოფელში ცხოვრების გამო ვერ სარგებლობენ საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული უფლებებით, მათ შორის, ადეკვატური საცხოვრებელი პირობებით, ჯანმრთელობისა და განათლების უფლებით. სახალხო დამცველმა, შესაძლოა“ საჭიროდ ჩათვალოს და საჩივარში მითითებული დაწესებულებებიდან გამოითხოვოს ინფორმაცია, თუ როგორ ხდება საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა ამ ჯგუფთან მიმართებით.

61 „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი.

2.1.9.2 ინფორმაციის გამოთხოვა კერძო დაწესებულებიდან

კერძო ფიზიკური და იურიდიულ პირი ნებაყოფლობით აწვდის სახალხო დამცველს ინფორმაციას დისკრიმინაციის ფაქტთან დაკავშირებით.[62] კანონი მოცემულ შემთხვევაშიც ერთმანეთისაგან არ განასხვავებს კერძო დაწესებულებას, რომელიც მოპასუხეა დისკრიმინაციის თაობაზე და მესამე პირს (სუბიექტს, რომელსაც თავად არ ჩაუდენია დისკრიმინაცია, მაგრამ გააჩნია ამგვარი მოპყრობის შესახებ ინფორმაცია).

რესტორან „ვენდისში“ ლესბოსელი წყვილის სავარაუდო შევიწროებასთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა მოითხოვა ვიდეოჩანაწერი. სახალხო დამცველმა „ვენდისგან“ წერილობით უარი მიიღო მოთხოვნილი ვიდეოჩანაწერის გაცემაზე. ამის მიზეზად რესტორანმა „ვენდ ისმა“ დაასახელა ის გარემოება, რომ მოთხოვნილი დროის მონაკვეთის ამსახველი ჩანაწერი არ იყო შენახული.

„ვენდისს“ უფლება ჰქონდა დაუსაბუთებელი უარი ეთქვა (მიზეზი არ აეხსნა) სახალხო დამცველის მსგავსი ტიპის მოთხოვნის შესრულებაზე ან არ ეპასუხა სახალხო დამცველის წერილობითი მიმართვისათვის. ეს მაშინ, როდესაც დისკრიმინაციის ფაქტის დასადგენად ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია კერძო დაწესებულების თანამშრომლობას სახალხო დამცველთან.

ამჟამად სახალხო დამცველი იხილავს შშმ პირის საჩივარს ტაქსის სერვისების მიმწოდებელი სუბიექტის – შპს „TAXICALLCENTRE“-ის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი დროის კონკრეტულ მონაკვეთში უარს აცხადებდა სატელეფონო გამოძახებისას მომსახურება გაეწია მომხმარებლისთვის, რომელიც ეტლით გადაადგილდებოდა. მოცემულ შემთხვევაში დისკრიმინაციის ფაქტის დასადგენად მნიშვნელოვანი იქნება, რომ სახალხო დამცველმა მოპასუხე სუბიექტისგან გამოითხოვოს მომჩივანსა და მოპასუხეს შორის წარმოებული სატელეფონო ზარების ჩანაწერები ან ნებისმიერი სხვა ტიპის ინფორმაცია, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისთვის და შემთხვევის შეფასებისთვის იქნება საჭირო.

იმისათვის, რომ კერძო სექტორში თანასწორობის უფლების დაცვაზე ზედამხედველობის მექანიზმი იყოს ეფექტური, მიზანშეწონილია კერძო პირზე გავრცელდეს საჯარო დაწესებულების რეჟიმი: ინფორმაციის წარდგენა გახდეს სავალდებულო. სახალხო დამცველის მოთხოვნის შეუსრულებლობა, შესაძლოა, გახდეს სახალხო დამცველის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის საფუძველი, ხოლო სასამართლოს მხრიდან – ასეთი კერძო პირი, შესაძლოა, დაჯარიმდეს.

2.1.10 საქმის განხილვის შეჩერება

2.1.10.1 საქმეს განიხილავს სასამართლო

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახალხო დამცველი და სასამართლო ერთმანეთს ვერ ჩაანაცვლებს. თითოეულ მათგანს თავისი განსაკუთრებული როლი ეკისრება დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. სახალხო დამცველის რეკომენდაცია, არასავალდებულო ხასიათის გამო, ვერ უზრუნველყოფს დისკრიმინაციული ქმედების გარდაუვალ აღმოფხვრას და მსხვერპლისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. თავის

62 „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი.

მხრივ, სასამართლო, განსაკუთრებით, სამოქალაქო პროცესში, ვერ ანაცვლებს სახალხო დამცველს იმით, რომ მოიპოვოს დისკრიმინაციის დამადასტურებელი მტკიცებულებები. სასამართლო კმაყოფილდება იმ მტკიცებულებების შეფასებით, რასაც მხარეები წარუდგენენ.

დისკრიმინაციის მსხვერპლისათვის მნიშვნელოვანია, სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე ჰქონდეს დისკრიმინაციის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ამ უკანასკნელზე წვდომა ხშირად რთულია სახალხო დამცველის მონაწილეობის გარეშე. ამიტომ სასამართლოსთვის მიმართვამდე მხარისათვის ღირებულია, ისარგებლოს სახალხო დამცველის რესურსით, მოიპოვოს მტკიცებულება, რაც სასამართლოში საქმის წარმატებით დასრულების წინაპირობა გახდება. ამიტომ მიზანშეწონილია მხარეს არ უწევდეს არჩევანის გაკეთება სახალხო დამცველსა და სასამართლოს შორის. სასამართლოსათვის მიმართვის 3-თვიანი ხანდაზმულობის ვადა, რეალურად, მომჩივანს ამგვარი არჩევანის წინაშე აყენებს.

მეტიც, როდესაც საკითხი ეხება საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დისკრიმინაციას, კერძოდ, სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევას, პირს უწევს ბრძანების გასაჩივრება ერთი თვის ვადაში, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით. მსგავსი პრობლემა გამოიკვეთა 3 საქმეზე, რომელსაც „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ აწარმოებს. თავდაპირველად, დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლებმა სახალხო დამცველს მიმართეს. თუმცა, ადმინისტრაციული კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ბრძანების გასაჩივრების ერთთვიანი ვადის დაცვის მიზნით რამდენიმე ხანში სასამართლოსთვის მიმართვა მოუხდათ. აღნიშნულის გამო, სახალხო დამცველმა საჩივრების წარმოება სამივე საქმეზე შეაჩერა.

ასეთ საქმეებში წამოიჭრება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანებას პირი გაასაჩივრებს ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთი თვის გასვლის შემდეგ, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით[63] დისკრიმინაციის საქმეებისთვის განსაზღვრული სასმართლოსთვის მიმართვის 3-თვიანი ხანდაზმულობის ვადის დაცვით – ჩაითვლება თუ არა ასეთ შემთხვევაში სასამართლოსთვის მიმართვის ვადები დაცულად და რომელ ნორმას მიენიჭება უპირატესობა? აღნიშნულთან დაკავშირებით პრაქტიკა ჯერ-ჯერობით არ არსებობს.

სახალხო დამცველი ვალდებულია, შეაჩეროს საქმის შესწავლა, თუკი ეს დავა სასამართლოში განიხილება.[64] ამგვარად, ერთი მხრივ, თუკი მსხვერპლი აირჩევს სახალხო დამცველს, სასამართლოსათვის მიმართვის სამთვიანი ხანდაზმულობის ვადა გავა, მეორე მხრივ, თუკი სასამართლოს მიმართავს, ომბუდსმენი ვერ შეძლებს მსხვერპლისათვის ხელსაყრელი მტკიცებულებების მოპოვებას.

ამ ვითარებიდან ერთ-ერთი გამოსავალია, შეჩერდეს სასამართლოსათვის მიმართვის ხანდაზმულობის ვადის დინება მაშინ, როდესაც დისკრიმინაციის მსხვერპლის საქმე სახალხო დამცველის აპარატში განიხილება. სახალხო დამცველმა ამასთან დაკავშირებით მოამზადა საკანონმდებლო წინადადება, რომელიც ამჟამად პარლამეტის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტებში განიხილება.

63 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363(2) მუხლის მე-2 ნაწილი.

64 „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

2.1.10.2 საქმეს განიხილავს ადმინისტრაციული ორგანო

საქართველოს სახალხო დამცველი აჩერებს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო „მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.“[65]

ადმინისტრაციული ორგანო ლიმიტირებულია წარმოების პროცესის ფარგლების და ვადების გათვალისწინებით. კერძოდ, წარმოებისას, შესაძლოა, მას არ მიეცეს შესაძლებლობა სიღრმისეულად შეაფასოს და დაადგინოს დისკრიმინაციის ფაქტი. ასეთი ფაქტის დადგენის შემთხვევაშიც კი, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ამ ფაქტზე რეაგირება შეზღუდულია ორგანოს ბუნებითა და უფლებამოსილებებით. ამრიგად, ადმინისტრაციული ორგანო, შესაძლოა, არ იყოს სახალხო დამცველის ალტერნატიული და უფლებამოსილების თვალსაზრისით ტოლფასი მექანიზმი.

ამასთან, პრობლემურია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის შესწავლისა და შეფასებისთვის საჭირო და საკმარისი კომპეტენციისა და ცოდნის არქონა, რაც ომბუდსმენის ადმინისტრაციულ პროცესში კონტრიბუციის საჭიროებას ზრდის.

კანონით დისკრიმინაციის სავარუდო შემთხვევების შესწავლის, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადების უფლებამოსილებით აღჭურვილი მექანიზმის შექმნის ძირითად მიზანს ის წარმოადგენდა, რომ სახალხო დამცველი [თანასწორობის დეპარტამენტი] აღჭურვილია სპეციალური ადამიანური და ინტელექტუალური რესურსით დისკრიმინაციის ფაქტის დასადგენად. იმის გამო, რომ დეპარტამენტი მხოლოდ დისკრიმინაციის საქმეებზე მუშაობს, იქ აქვთ ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, უფრო ეფექტურად, სწრაფად და სწორად მოხდეს დისკრიმინაციის სავარაუდო შემთხვევის შესწავლა. აქ მოიაზრება როგორც დისკრიმინაციის კომპლექსური და რთული სამართლებრივი ბუნება, ისე – დისკრიმინაციის ფაქტების შეფასებისთვის საჭირო მგრძნობელობა, ცალკეული შემთხვევის უფრო ფართო, მიზანმიმართული და გააზრებული ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის ჭრილში შეფასება.

სწორედ ამ თავისებურების გამო, კანონის შექმნის პროცესში მუდმივად ხდებოდა აპელირება იმ ფაქტზე, რომ დისკრიმინაციის აღმოფხვრისთვის გათვალისწინებული მექანიზმების უფლებამოსილებები ალტერნატიული და პარალელური უნდა ყოფილიყო. ამავდროულად, შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მათი თანადროული გამოყენება და კომპეტენციისა და უფლებამოსილებების ურთიერთშევსება, რათა დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლის უფლებები მაქსიმალურად ეფექტურად დაცულიყო.

მიზანშეწონილია, რომ სახალხო დამცველი, მისთვის მინიჭებული შეზღუდული ფუნქციებისა და უფლებამოსილებების გათვალისწინებით, (ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოსთან და სასამართლოსთან ერთად) დისკრიმინაციის შემთხვევების შესწავლისა და დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის პარალელური და ალტერნატიული მექანიზმი იყოს. ამრიგად, სახალხო დამცველის მიერ საქმის [ადმინისტრაციული ორგანოს პარალელურად] განხილვის უფლებამოსილების შეზღუდვა, შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს იმ ერთ-ერთ ძირითად მიზანს, რომლისთვისაც ის შეიქმნა. ამრიგად, მიზანშეწონილია გადაიხედოს არსებული საკანონმდებლო ჩარჩო, რათა სახალხო დამცველს არ მოუხდეს საქმის განხილვის შეჩერება, როდესაც დავას [ზემდგომი] ადმინისტრაციული ორგანო განიხილავს.

65„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

2.1.11 საქმის განხილვის ვადები

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში არ არის გაწერილი ვადა, როდესაც სახალხო დამცველმა უნდა დაასრულოს საქმის წარმოება. კოალიციის მიერ შეტანილი განცხადებები რამდენიმე თვეა შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების მოლოდინშია. მიზანშეწონილია, კანონში გაიწეროს კონკრეტული ვადა, რომლის ფარგლებშიც სახალხო დამცველი ვალდებული იქნება დაასრულოს საქმის წარმოება.

კოალიცია ითხოვს, რომ თუკი კერძო დაწესებულება არ წარუდგენს სახალხო დამცველს მოთხოვნილ ინფორმაციას, კერძო პირი დაჯარიმდეს. ვიაზრებთ, რომ სახალხო დამცველის მიერ საქმეზე გადაწყვეტილების მიღება მოპასუხეების ქცევაზე და მათი მხრიდან ინფორმაციის წარმოდგენაზეა დამოკიდებული, თუმცა, იმ პირობებში, როცა კერძო პირების მიმართ ასევე მოხდება ინფორმაციის წარმოდგენის იძულება ახალი ჩანაწერით, გამართლებულია განხილვის ვადებიც უფრო მეტად პროგნოზირებადი გახდეს.

2.1.12 სახალხო დამცველის გადაწყვეტილებათა აღსრულება

სახალხო დამცველის მიერ საჩივარზე რეაგირება მოიცავს ზოგად წინადადებას და რეკომენდაციას. სახალხო დამცველს არა აქვს მექანიზმი – დისკრიმინაციული ქმედების ჩამდენ პირს რეკომენდაციის ან ზოგადი წინადადების შესრულება აიძულოს.

ამ ვითარებაში ერთ-ერთი გამოსავალია ის, რომ, თუკი დისკრიმინაციის განმახორციელებელი პირი არ ასრულებს სახალხო დამცველის რეკომენდაციას ან ზოგად წინადადებას, სახალხო დამცველს ჰქონდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის შესაძლებლობა, რომლის საფუძველზეც დაჯარიმების გადაწყვეტილებას სასამართლო მიიღებს.

საქართველოს ხელისუფლებამ არსებულ ანტიდისკრიმინაციულ მოდელებს შორის შეარჩია მექანიზმი, რომელსაც არა აქვს შესაძლებლობა, უზრუნველყოს საკუთარი გადაწყვეტილებების სავალდებულო შესრულება. სახალხო დამცველის ყველაზე რადიკალური ღონისძიება რეკომენდაციის გაცემაა. არასავალდებულო ხასიათის რეკომენდაცია ხშირად არაეფექტურია ქვეყანაში, სადაც რელიგიურ უმცირესობებისა და ლგბტ პირების არატოლერანტრული დამოკიდებულების მიმართ საზოგადოება შემწყნარებლურია.

ევროკავშირის #2000/78 დირექტივაში აღნიშნულია, რომ დისკრიმინაციის შემთხვევაში დაკისრებული სანქცია ეფექტური, პროპორციული და გადამწყვეტი ხასიათისა უნდა იყოს. მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ Asociatia Accept-ის საქმეში განაცხადა, რომ წმინდა სიმბოლური ხასიათის სანქციები არ მოდის შესაბამისობაში დირექტივის სწორ იმპლემენტაციასთან (გადაწყვეტილების 64-ე პარაგრაფი). ამასთან გაფრთხილება, რომელიც კანონმდებლობით გამოიყენება მცირე მნიშვნელობის დარღვევებთან საბრძოლველად, არ არის ადეკვატური თანასწორობის უფლების მძიმე ფორმით დარღვევის შემთხვევაში გამოსაყენებლად (გადაწყვეტილების 70-ე პარაგრაფი).[66]

66 Asociatia Accept v Consiliul National pentru Combaterea Discriminدrii, JUDGMENT OF THE EUROPEAN COURT of JUSTICE (Third Chamber); 2013 წლის 25 აპრილი; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=136785&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=93913 (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

2.1.13 დისკრიმინაციული შევიწროვება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონპროექტის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბებული იყო შემდეგი რედაქციით: „დისკრიმინაციად ჩაითვლება აგრეთვე ნებისმიერი შევიწროვება, რომელიც ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშნის გამო მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ან პირთა ჯგუფისათვის მტრული, დამაშინებელი, დამამცირებელი, ღირსების შემლახავი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.“

საპარლამენტო განხილვების დროს შევიწროვების ჩანაწერი ამოღებული იქნა კანონპროექტიდან. იმ მიზეზით, რომ შევიწროვების ინტერპრეტირებისას შესაძლოა საფრთხის წინაშე დამდგარიყო გამოხატვის თავისუფლება. კოალიციის მიერ წარმოებულმა საქმეებმა აჩვენა, რომ დისკრიმინაციული შევიწროვების საქმეები პრაქტიკაში არც თუ ისე იშვითია.

ბრიტანეთის შავკანიანი მოქალაქე სუპერმარკეტ „სმარტში“ წააწყდა მტრულ დამოკიდებულებას უცნობი მამაკაცის მხრიდან. ასეთივე მოპყრობის მსხვერპლი გახდა ის რესტორან „მაკდონალდსშიც.“ დისკრიმინაციული შევიწროვების ობიექტი გახდა ორი ლესბოსელი წყვილი რესტორან „ვენდისში.“ „იდენტობის“ თანამშრომლებს ღირსების შემლახავი სიტუაცია შეუქმნეს გორში კაფე „შანზელიზეში.“ როგორც ჩანს, მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები არც თუ ისე იშვიათად ხდებიან შეურაცხმყოფელ გარემოში და აწყდებიან შევიწროვებას.

შევიწროვების საკითხი აგრეთვე, საინტერესოა შრომით-სამართლებრივი დავების კუთხითაც. მაშინ, როდესაც დისკრიმინაციის კანონი არ ითვალისწინებს შევიწროვების დეფინიციას, შრომის კოდექსი პირდაპირ კრძალავს შევიწროვებას. რა მოხდება, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებული ედავება დამსაქმებელს დისკრიმინაციული შევიწროვების გამო და ეყრდნობა როგორც საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამის ჩანაწერს დისკრიმინაციულ შევიწროვებაზე, ისე „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონს, რომელიც დისკრიმინაციის მსხვერპლისათვის ითვალისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობას, მაგრამ დისკრიმინაციულ შევიწროვებას არ განსაზღვრავს?

„კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ წარმოებაში არსებულ რამდენიმე შრომით სამართლებრივ დავაზე მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, სწორედ დისკრიმინაციული შევიწროვებას ემყარება. მაგალითად, ერთ-ერთ შემთხვევაში,[67] შევიწროვება გამოიხატა იმაში, რომ დამსაქმებელი დასაქმებულს აძლევდა პრაქტიკულად შეუსრულებელ დავალებებს დროის არაგონივრულად ხანმოკლე პერიოდში შესასრულებლად. დასაქმებული გამუდმებულ სტრესში იმყოფებოდა, იმის გამო, რომ დავალების შეუსრულებლობა ცალსახად მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი გახდებოდა. ამრიგად, დამსაქმებელი ცდილობდა მისთვის მტრული და სტრესული გარემოს შექმნას.

მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი კიდევ ერთ საქმეში,[68] როდესაც ახალმა ხელმძღვანელობამ ძველ თანამშრომლებს პირდაპირ განუცხადა, რომ თუ არ დაწერდნენ სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადებას, ამა თუ იმ მეთოდით მათ ნებისმიერ შემთხვევაში მაინც გაათავისუფლებდნენ, ვინაიდან სხვა პოლიტიკური გუნდის მხარდამჭერები იყვნენ. აქაც, ადგილი ჰქონდა დასაქმებულებისთვის სტრესული

67 იხ. ზემოთ, საქმე: თეონა ჭალიძე თბილისის ისნის რაიონის გამგეობის წინააღმდეგ.

68 იხ. ზემოთ, საქმე: ირაკლი კვარაცხელია თბილისის მერიის წინააღმდეგ.

გარემოს შექმნას, მაგალითად, სამსახურში თანამშრომლების გვიანობამდე გაჩერების გზით. ზოგიერთ დასაქმებულს დაემუქრნენ კიდეც, რომ საბუთებს „გაუფუჭებდნენ." ყოველივე ეს აგრეთვე მიზნად ისახავდა ძველ თანამშრომლებში შიშის გაღვივებას, რათა მათ სამსახური საკუთარი ნებით მალევე დაეტოვებინათ.

ამიტომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონში უნდა აღდგეს დისკრიმინაციული შევიწროვების ნორმა. ამასთან შევიწროვების ახალმა რედაქციამ მაქსიმალურად უნდა დააზღვიოს გამოხატვის თავისუფლების წინაშე არსებული რისკებიც.

2.2. საერთო სასამართლოები

სახალხო დამცველის გარდა, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ფუნქციას კანონმდებლობა აკისრებს სასამართლოს, რომლის მეშვეობითაც მსხვერპლს შეუძლია მოითხოვოს დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრა და მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. ამ თავში მიმოხილულია სასამართლოს, როგორც ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის არსი.

2.2.1 სარჩელის დასაშვებობა

ანტიდისკრიმინაციული კანონის გამოყენებისას მოსამართლეთა მხრიდან ხარვეზები გამოვლინდა. კანონი ახალი მიღებულია. მოსამართლეებს პირველად უწევთ ამ კანონის განმარტება და ჯერ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება არ არის დაგროვილი. ეს ყოველივე გავლენას ახდენს საბოლოო შედეგზეც – სასამართლომ შეიძლება დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება გამოიტანოს. კოალიციის წევრების მიერ სასამართლოში შეტანილ სარჩელებთან დაკავშირებით გამოიკვეთა, რომ მოსამართლეები დისკრიმინაციის საქმეებზე სპეციალურ კანონმდებლობას არ იყენებენ.

ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC) ქობულეთის მუსლიმი თემის სახელით ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი. ბათუმის საქალაქო სასამართლომ მოსარჩელეთა განცხადება თავდაპირველად წარმოებაში არ მიიღო და მიზეზად სარჩელის ტექნიკური გაუმართავობა, კერძოდ კი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა დაასახელა. 2014 წლის 16 დეკემბრის „საქმის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ" განჩინებაში სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელი არ პასუხობდა კანონით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ: სასარჩელო მოთხოვნა არ იყო გარკვევით ფორმულირებული და საჭიროებდა დაზუსტებას, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის დარღვევას წარმოადგენდა, ასევე სსსკ-ის 178-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევით, სრულად არ იყო მითითებული მოპასუხეთა საკონტაქტო ინფორმაცია (მათი პირადი ნომრები, ალტერნატიული მისამართი და ელ-ფოსტა).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუკი დაცული არ იქნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნები (კერძოდ, სარჩელში მითითებული არ იქნება მოპასუხის საკონტაქტო მონაცემები და სასარჩელო მოთხოვნა – გარკვევით ფორმულირებული). ეს არის ზოგადი წესი, რაც გამოიყენება ხარვეზების

მქონე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სარჩელებთან დაკავშირებით. ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისი დააწესა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7[3] კარმა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე დავებისათვის. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364[4] მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუკი დისკრიმინაციის შესახებ სარჩელი შეიცავს ხარვეზს, სასამართლო მის წარმოებაში მიღებაზე უარის შესახებ კი არ იღებს განჩინებას (როგორც ეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლშია მითითებული), არამედ მოსარჩელეს უბრუნებს სარჩელს ხარვეზის შესავსებად და აძლევს მას ვადას, რაც არ უნდა იყოს 3 დღეზე ნაკლები,.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 დეკემბრის განჩინება EMC-იმ კერძო საჩივრით 2014 წლის 31 დეკემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ განიხილა და 2015 წლის 3 თებერვლის განჩინებით დააკმაყოფილა განმცხადებლის კერძო საჩივარი, რის შემდეგაც საქმე დასაშვებობის ეტაპიდან განსახილველად დაუბრუნდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორი კანონი გამოიყენა, ამ გზით დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნა და საქმე ბათუმის საქალაქო სასამართლოში დააბრუნა დასაშვებობის სტადიიდან განსახილველად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7[3] კარის სასამართლოში გამოყენებასთან დაკავშირებით პრობლემას წააწყდა „კონსტიტუციის 42-ე მუხლიც“, რომელიც სასამართლოში დავობდა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის გამო პირის საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. მოსამართლემ „42-ე მუხლის“ იურისტს განუცხადა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7[3] კარი გამოიყენებოდა სამოქალაქო და არა ადმინისტრაციულ საქმეებზე. თუმცა, დისკრიმინაციული მოპყრობის გამო მოპასუხისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნაზე სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის დროს იმსჯელებს და შეაფასებს, რამდენად არის შესაძლებელი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დავეყრდნოთ დისკრიმინაციის შესახებ საქმეების განხილვის მარეგულირებელ იმ დებულებებს, რომლებიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7[3] კარშია თავმოყრილი.

ეს შემთხვევები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სასამართლო კორპუსი საჭიროებს გადამზადებას ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით.

2.2.2. მტკიცების ტვირთი

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[3] მუხლის თანახმად, სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

ნ.ლ. ოზურგეთის ერთ-ერთი ბაღის წინააღმდეგ საქმეში[69] მოსარჩელეს ევალებოდა მხოლოდ იმის მტკიცება, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ გაუგრძელეს მაშინ, როდესაც ის იყო 8 თვის ორსული (ამ ხელშეკრულების მოქმედება გრძელდებოდა მაშინ, როცა მოსარჩელე ჯერ არ იყო ფეხმძიმედ). ეს გარემოება ქმნიდა ვარაუდს, რომ ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი დისკრიმინაციული იყო. ის, რომ ხელშეკრულების

69 იხილეთ 1.5. თავი.

გაგრძელებაზე უარი მოსარჩელის ფეხმძიმობით კი არ იყო მოტივირებული (შესაბამისად, ქმედება არ იყო დისკრიმინაციული), არამედ რეორგანიზაციით, მოპასუხე მხარეს უნდა ემტკიცებინა.

საბოლოოდ მოპასუხე მხარემ განაცხადა, რომ მოსარჩელის ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი ორსულობის გამო ეთქვა და შესაბამისად, მისი ქმედება დისკრიმინაციული იყო. ამის შემდეგ მხარეებს შორის მოხდა მორიგება.

მოსარჩელის მიერ დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის მტკიცების კიდევ ერთ კარგ მაგალითს წარმოადგენს „იდენტობის“ საქმე.[70] „იდენტობას“ დისკრიმინაციული ქმედების ვარაუდის საფუძველს აძლევს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთსა და იმავე საკითხზე საკუთარ სივრცეს უთმობს მართლმადიდებლური ეკლესიის სასულიერო პირს და იმავე სიკეთით სარგებლობაზე უარს ეუბნება ლგბტ პირთა უფლებადამცველ ორგანიზაციას.

2.2.3 სასარჩელო მოთხოვნები

2.2.3.1.დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა

დისკრიმინაციული ქმედების თაობაზე ფაქტობრივი გარემოებების დადგენა მტკიცების ზემოთაღნიშნული წესების დაცვით ხდება. განსხვავებული მოპყრობის ფაქტის დადგენის კუთხით საინტერესოა ორი მომენტი: პირველი, გამოიწვევს თუ არა დისკრიმინაციის დადგენა ავტომატურად მორალური ზიანის არსებობის დადასტურებას (ამასთან დაკავშირებით ჯერ-ჯერობით არ არსებობს პრაქტიკა) და მეორე, აკრძალული ნიშნით განსხვავებული მოპყრობის დადასტურების შემთხვევაშიც კი რამდენად მისცემს სასამართლო აღნიშნულ ფაქტს დისკრიმინაციის კვალიფიკაციას.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, დისკრიმინაციად არ მიიჩნევა ნებისმიერი განსხვავება, დაუშვებლობა და უპირატესობა განსაზღვრულ სამუშაოსთან, საქმიანობასთან ან სფეროსთან დაკავშირებით, რომელიც სპეციფიკურ მოთხოვნებს ემყარება. „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ ერთ-ერთ საქმეზე[71] პრაქტიკაში წააწყდა შემთხვევას, როდესაც საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენლებმა საკრებულოს წევრი გადააყენეს საკრებულოს ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან, მას შემდეგ, რაც პარტია (“თავისუფალი დემოკრატები), რომლის წევრიც იყო გადაყენებული პირი, გავიდა მმართველი კოალიციიდან („ქართული ოცნება“). მიუხედავად იმისა, რომ ახალციხის რაიონულმა სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა სხვა საფუძვლით, აღნიშნულ საქმეში დისკრიმინაცია არ დაადგინა. სასამართლომ განმარტა, რომ მოცემული შემთხვევის დისკრიმინაციად განხილვა არ იყო სწორი, ვინაიდან – „პოლიტიკური დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას პოლიტიკური ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით. მოცემულ შემთხვევაში კი საკრებულოს წევრების მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულება, რიგგარეშე სხდომაში მონაწილეობის მიღება და ამა თუ იმ კანდიდატურისათვის ხმის მიცემა ან არმიცემა ვერ ჩაითვლება პოლიტიკურ დისკრიმინაციად. საკრებულოს წევრი ამ დროს სარგებლობს მისთვის მინიჭებული

70 იხილეთ 1.6 თავი.

71 იხ. ზემოთ, საქმე: შალვა გოგოლაძე ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ.

უფლებამოსილებით, რომლის განხორციელებითაც არ მომხდარა შალვა გოგოლაძის პოლიტიკური ნიშნით შევიწროვება და განსხვავებული მოპყრობა, აღნიშნულის, როგორც დისკრიმინაციული მოპყრობის განხილვა არასწორია, რადგან საკრებულოს მიერ პოლიტიკური საქმიანობის განხორციელებისას, ბუნებრივია, რომ ხდება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, როდესაც მიღებული გადაწყვეტილება მისაღებია ერთი პოლიტიკური ჯგუფისათვის და მიუღებელია მეორე პოლიტიკური ჯგუფისათვის." სასამართლომ აგრეთვე მიუთითა, რომ „ფრაქცია ქართულ ოცნებას შეეძლო რიგგარეშე სხდომის მოწვევა დაესაბუთებინა იმით, რომ [თანამდებობიდან გადაყენებული პირის] პოლიტიკური ხედვები განსხვავდებოდა უმრავლესობის მიზნებისა და ამოცანებისაგან, რის გამოც ხელი ეშლებოდა კომისიას საქმიანობაში."

გამომდინარე სასამართლოს მსგავსი მიდგომიდან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სავარაუდოდ, პოლიტიკური შეხედულებების გამო ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭება გარდაუვალი იქნება საკრებულოში – ორგანოში, რომელიც ხალხმა აირჩია. შესაბამისად, ამავე ხალხმა განსაზღვრა ის, თუ რომელ პოლიტიკურ ძალას ექნება განსაზღვრული ვადით უპირატესობა საკრებულოში. ამდენად, პოლიტიკური ნიშნით თანამდებობიდან გათავისუფლება შესაძლოა იყოს ის სპეციფიკური მოთხოვნა, რაც ხალხის მიერ არჩეულ ორგანოს ახასიათებს.

2.2.3.2 დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა ან მისი შედეგების აღმოფხვრა

სასამართლო დაცვის ერთ-ერთი საშუალება, რასაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[2] მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი დისკრიმინაციის მსხვერპლს სთავაზობს, დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა ან მისი შედეგების აღმოფხვრაა.

დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა ძირითადად უკავშირდება ისეთ სასამართლო დავას, სადაც მოსარჩელე ასაჩივრებს მის მიმართ განგრძობადი ხასიათის დისკრიმინაციულ ქმედებას. კოალიციის საქმეებიდან ასეთ განგრძობად დისკრიმინაციულ ქმედებად დასახელდეს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის მორიგეობა ქალაქ ქობულეთში მუსლიმთა პანსიონთან, რითაც მუსლიმ მოსწავლეებს არ ეძლევათ შენობაში შესვლის შესაძლებლობა. მოსარჩელე ამ საქმეში ბათუმის საქალაქო სასამართლოსაგან ითხოვს, რომ ქობულეთის მართლმადიდებელმა მაცხოვრებლებმა შეწყვიტონ დისკრიმინაციული ქმედება – შეწყვიტონ შენობის ბლოკირება.

ხშირად დისკრიმინაციული ქმედება დასრულებულია და ამ შემთხვევაში აუცილებელია აღმოიფხვრას დისკრიმინაციული ქმედების შედეგები, რაც თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენას გულისხმობს. დისკრიმინაციული ქმედების შედეგების აღმოფხვრა ძირითადად გვხვდება „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" სარჩელებში, როდესაც საჯარო მოხელეს პოლიტიკური შეხედულებების გამო ათავისუფლებენ საჯარო სამსახურიდან, ამით დისკრიმინაციული ქმედება მთავრდება და რჩება მხოლოდ დისკრიმინაციის შედეგი – უმუშევრობა. ეს მდგომარეობა შეიძლება აღმოიფხვრას თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენით – პირის თანამდებობაზე დაბრუნებით.

თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის გარდა, დისკრიმინაციული ქმედების შედეგის აღმოფხვრა ხდება, უფლებით მოსარგებლე პირთა წრის გაფართოებით (ემანსიპაცია). ამ დროს ხდება არა თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა (არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი პირი ამ მდგომარეობაში არასოდეს ყოფილა), არამედ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებული უთანასწორობის აღმოფხვრა და

არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებული პირების მიმართ იმავე უფლების ან სარგებლის მინიჭება, რაც ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ პირებს გააჩნიათ. ამის მაგალითად, შეიძლება გამოდგეს საქმე, როდესაც ადეკვატური საცხოვრებლით სარგებლობის უფლების მქონე პირთა წრეს დაემატნენ სოფელ ვეძათხევის მაცხოვრებლები, ასევე საქმე, რომლითაც ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი ითხოვს იმას, რომ სახელმწიფომ საქართველოს მოქალაქე დევნილებთან ერთად დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი ის პირები, რომლებიც არიან სხვა ქვეყნის მოქალაქეები.

დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა და მისი შედეგების აღმოფხვრა კოალიციისათვის რჩება ყველაზე ხშირად გამოყენებად და ყველაზე ეფექტურ საშუალებად საქმის სასამართლოში წარმოების შემთხვევაში. თუმცა, ხშირად დასრულებული დისკრიმინაცია შეუქცევადია და მისი აღმოფხვრა თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენით ან სხვა გზით შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელემ უნდა მიმართოს სასამართლო დაცვის სხვა საშუალებებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[2] მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ასეთს წარმოადგენს მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

2.2.3.3 მატერიალური ზიანის ანაზღაურება

მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას მოსარჩელემ უნდა დაითვალოს და სასამართლოს უნდა წარუდგინოს თანხებში გამოხატული ის ზიანი, რაც მოსარჩელეს მიადგა დისკრიმინაციული ქმედების შედეგად. იმისათვის, რომ მოპასუხეს ზიანის ანაზღაურება დაეკისროს, აუცილებელია სახეზე გვქონდეს შემდეგი კუმულატიური პირობები – ა. დამდგარი ზიანი; ბ. მიზეზობრივი კავშირი და გ. მართლწინააღმდეგობა.

ნ.ლ. ოზურგეთის ერთ-ერთი ბაღის წინააღმდეგ საქმეში[72] შრომის ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა 2014 წლის 31 ივლისს. საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ორსულობის გამო შვებულების პერიოდში ანაზღაურდება 183 დღე (6 თვე). საბავშვო ბაღის გათავისუფლებული თანამშრომლის თვიური ხელფასი იყო 250 ლარი. ექვს თვეში მიუღებელი შემოსავალი, რაც დადგა საბავშვო ბაღის დირექტორის დისკრიმინაციული ქმედების შედეგად, შეადგენს 1500 ლარს (250 ლარი მრავლდება 6 თვეზე).

მოსარჩელის მტკიცებით, სახეზე გვაქვს მიზეზობრივი კავშირი დამდგარ ზიანსა და მოპასუხის ქმედებას შორის. მოპასუხე იყო მხარე, რომელმაც განახორციელა პირდაპირი დისკრიმინაცია მოსარჩელის მიმართ. ამ დისკრიმინაციის საფუძველზე მოსარჩელეს არ გაუგრძელეს შრომითი ხელშეკრულება და ის გათავისუფლებული იქნა სამსახურიდან. შესაბამისად, პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის არსებობდა.

მოპასუხის მხრიდან ასევე ადგილი ჰქონდა მართლწინააღმდეგობას. მართლწინააღმდეგობა შეიძლება გამოხატული იყოს კანონით ან ხელშეკრულებით დადგენილ მოთხოვნების დარღვევაში. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხემ დაარღვია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი და მოსარჩელის მიმართ განახორციელა პირდაპირი დისკრიმინაცია ორსულობის ნიადაგზე.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, აღნიშნულ საქმეზე მხარეებს შორის მოხდა მორიგება. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 4 თვის ხელფასის (1000 ლარის) ანაზღაურება.

72 იხილეთ 1.5. თავი.

ხშირად დისკრიმინაციული ქმედების ჩადენა არავითარ მატერიალურ ზიანს არ იწვევს. ამის ყველაზე კარგი მაგალითია, „იდენტობის“ საქმე. ლგბტ პირთა უფლებადაცვითი საქმიანობის გამო ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ „იდენტობის“ თანამშრომლებს უარი უთხრა სტუდენტებთან გენდერის თემაზე შეხვედრის ჩატარების მიზნით უნივერსიტეტის შენობაში ფართის გამოყოფაზე. ამით სახელმწიფო უნივერსიტეტმა „იდენტობის“ მიმართ განახორციელა პირდაპირი დისკრიმინაცია, რასაც „იდენტობის“ მიმართ რაიმე ქონებრივი ზიანი არ მოჰყოლია. უნივერსიტეტის შენობაში ფართის გამოყოფაზე უარის მიუხედავად ღონისძიება არ ჩაშლილა. „იდენტობამ“ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრა ჩაატარა „Campus lion club“-ის მიერ გამოყოფილ ფართში. შესაბამისად, „იდენტობა“ მატერიალურ ზიანზე ვერ იდავებდა. ამგვარად, „იდენტობას“ სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოეთხოვა აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან მხოლოდ დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა.

2.2.3.4 მორალური ზიანი

დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტისა და მისი შედეგების აღმოფხვრის, ასევე მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისგან განსხვავებით, მორალური ზიანის დაკისრების ღონისძიება, შესაძლოა, თეორიული და ილუზორული აღმოჩნდეს. ამის მიზეზია ის, რომ მორალურ ზიანს იწვევს მოსარჩელის მიერ დისკრიმინაციის შედეგად სულიერი და მორალური ტკივილის განცდა. ხოლო როგორ გამოიხატება აღნიშნული ტკივილი იმ ფულად თანხაში, რაც მოსარჩელემ სასამართლოში უნდა მოითხოვოს, ამის კონკრეტულ კრიტერიუმებს კანონმდებლობა არ აწესებს.

საქმეში ა.ლ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ[73] მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისაგან მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 5 000 ლარის გადახდას. მორალური ზიანის მოთხოვნა მოსარჩელეს დასაბუთებული აქვს შემდეგი სამართლებრივი არგუმენტებით: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 413-ე მუხლის თანახმად, 1. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.“

დისკრიმინაციის მსხვერპლის უფლება აქვს, დისკრიმინაციის განმახორციელებელი პირისაგან მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება.[74] მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება დამოკიდებულია იმაზე, დადგინდება თუ არა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი. ამგვარი, მოსარჩელის აზრით, დისკრიმინაციული მოპყრობის დადასტურება ავტომატურად წარმოშობს მსხვერპლის უფლებას, მიიღოს მორალური ზიანის ანაზღაურება. მორალური ზიანი განსაზღვრულია, როგორც ფიზიკური და სულიერი ტკივილი. სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება, როგორც დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ისე, ობიექტური გარემოებანი, რითაც შეიძლება მისი ამ კუთხით შეფასება (ხელყოფილი სიკეთის ცხოვრებისეული მნიშვნელობა, სამართალდარღვევის შედეგთა სიმძიმე). როცა მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი დგება, ზიანი უნდა იყოს სამართლებრივად

73 იხილეთ 1.3 თავი

74 „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი.

მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ დისკრიმინაციული მოპყრობა მსხვერპლში მძაფრ სულიერ განცდებს იწვევს. რთულია განვსაზღვროთ, რა თანხა უნდა დაეკისროს მოპასუხე მხარეს მოსარჩელის სულიერი ტანჯვის საკომპენსაციოდ, თუმცა ვფიქრობთ, რომ 5000 ლარი არის ის სიმბოლური თანხა, რომელიც დისკრიმინაციული მოპყრობით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების საკომპენსაციოდ გამოდგება."

ერთ-ერთ საქმეში,[75] რომელიც ქ. ახალციხის საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარის სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით თანამდებობიდან გადაყენებას შეეხებოდა, მოსარჩელე 3000 ლარის ოდენობის ზიანს ითვლიდა. ზიანის გამოანგარიშებისას, მოსარჩელე დაეყრდნო საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც: „მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: პირველი – დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე – ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მომყენებელზე; მესამე – თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ შეადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. ძალიან ხშირად დამდგარი შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას მაინც ვერ აღუდგენს. კომპენსაციის მიზანია მოსარჩელის გამართლება საზოგადოების თვალში და მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილის შემსუბუქება. კომპენსაცია მიმართულია უარყოფითი ემოციების გასაქარწყლებლად. მორალური ზიანის ანაზღაურების პრევენციული ფუნქციის განხორციელებისათვის მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფაქტორს, როგორიცაა სამართალდარღვევის განმეორების საშიშროება ზიანის მიმყენებლის მიერ.."[76]

ამდენად, დისკრიმინაციული მოქმედება მომდინარე ადმინისტრაციული ორგანოს, ამ შემთხვევაში, საკრებულოს მხრიდან, გაცილებით მეტი ზიანის მომტანია დემოკრატიული ღირებულებებისა და სახელმწიფოებრივი განვითარებისათვის. ამიტომ, მსგავსი ხასიათის დისკრიმინაციის პრევენციის მიზნით, მოსარჩელემ სამართლიანად მიიჩნია ზემოაღნიშნული ოდენობით მოპასუხისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

სხვა საქმეებში მორალური ზიანის მოთხოვნის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად, დასაქმებულებს მოლოდინი ჰქონდათ, რომ ჩვეულებრივად გააგრძელებდნენ დაკავებულ თანამდებობებზე მუშაობას, მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. სამსახურის სტაბილურობის მოლოდინით, საჯარო მოხელეებმა გარკვეული სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულებები იკისრეს სესხების სახით. თუმცა, სამსახურის დაკარგვის შემდეგ, სესხები პრობლემური გაუხდათ. ამის გამო, მათი ოჯახები მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ბუნებრივია, ეს გარემოება ამძაფრებს იმ სულიერ ტკივილს, რაც მათ დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად მიადგათ. ასეთ გარემოება პირად ცხოვრებაზე უფლებაში ჩარევადაც შეიძლება შეფასდეს.

იმის გამო, რომ რთულია ზიანის მიმართ მსხვერპლის სუბიექტური დამოკიდებულების განსაზღვრა, ასევე ხელყოფილი სიკეთის ცხოვრებისეული მნიშვნელობის კონკრეტულ თანხაში გამოსახვა, მორალური ზიანის ანაზღაურების სასამართლოში მოთხოვნა, როგორც წესი, წარუმატებლად მთავრდება.

75 იხ. ზემოთ, საქმე: შალვა გოგოლაძე ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ.

76 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლო; გვ. 69 – 71, 2007 წლის 25 ივლისი; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoqrek.pdf (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

მორალური ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმების ბუნდოვანების გამო კოალიციის წევრებს ხშირად უწევთ სიმბოლური თანხის 1 ლარის მოთხოვნა. ამ ოდენობის თანხას ითხოვს მუსლიმი თემი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და კერძო პირებისაგან პანსიონით სარგებლობისათვის ხელის შეშლის გამო.

იმ დროს, როდესაც დისკრიმინაციული ქმედება შეუქცევადია და მისი შედეგები ვერ აღმოიფხვრება, ასევე ამ ქმედების შედეგად მატერიალური ზიანი არ დგება, მორალური ზიანის მოთხოვნა, შესაძლოა, იყოს ერთ-ერთი საშუალება, რაც დისკრიმინაციის განმახორციელებელ პირს მომავალში დაუკარგავს მსხვერპლის ან მის მდგომარეობაში მყოფი სხვა პირის მიმართ დისკრიმინაციული ქმედების განმეორების შესაძლებლობას. მორალური ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმების ბუნდოვანების გამო, ამ მოთხოვნით დაყენებულ სასარჩელო მოთხოვნას, შესაძლოა, წარმატების ნაკლები შანსები ჰქონდეს.

პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი გზა შეიძლება იყოს კანონში იმის ჩაწერა, რომ დისკრიმინაციული ქმედების დადასტურება ავტომატურად იწვევს მორალური ზიანის მოთხოვნის უფლებას. დღეისათვის ეს არის პრინციპი, რომელიც სასამართლო პრაქტიკით ჩამოყალიბდა, მიუხედავად ამისა, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება მყარი საკანონმდებლო გარანტიის დაწესება. ამას გარდა, შესაძლებელია, კანონმდებლობაში მკაფიოდ გაიწეროს მორალური ზიანის გამოანგარიშების კრიტერიუმები.

2.2.4 სასამართლოსათვის მიმართვის ვადა

ამჟამინდელი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამთვიანი ვადა, შესაძლოა, არ აღმოჩნდეს საკმარისი სასამართლოსათვის მიმართვისთვის. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა ვადის ერთ წლამდე გაზრდა იქნება. მსხვერპლს საქმის საფუძვლიანად მოსამზადებლად სჭირდება საკმარისი დრო, დისკრიმინაციის ფაქტის გასააზრებლად და საქმის სამართლებრივად დასასაბუთებლად.

3 თვე ძალიან მცირე დროა იმისათვის, რათა დისკრიმინაციის მსხვერპლმა გაიაზროს, რომ დისკრიმინაციის მსხვერპლია. საზოგადოების ცნობიერების დონე დისკრიმინაციის არსთან დაკავშირებით საკამოდ დაბალია. დისკრიმინაციის მსხვერპლები ძირითადად მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები არიან, მათ ხშირად არ აქვთ წვდომა სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისებთან. მსხვერპლს შეიძლება დასჭირდეს გარკვეული ვადა საკუთარი უფლებების სამართლებრივი გზით დასაცავად.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ მსხვერპლი სწრაფად გაანალიზებს დისკრიმინაციის ფაქტს და გადაწყვეტს დაიცვას საკუთარი უფლებები, ფაქტის დასადასტურებლად სხვადასხვა მტკიცებულებების მოპოვებაა საჭირო. დისკრიმინაციის განმახორციელებელმა მხარემ შეიძლება მსხვერპლს წინააღმდეგობები შეუქმნას და მაქსიმალურად გაწელოს დრო საჭირო მტკიცებულების წარმოსადგენად.

ინგლისსა და უელსში, აგრეთვე აშშ-ში დაწესებული ვადა – 6 თვე[77], საქმის სირთულიდან გამომდინარე შეიძლება 300 დღემდე[78] გაიზარდოს, ავსტრალიაში კი სპეციალური ორგანოსთვის მისამართად ერთწლიანი ვადა მოქმედებს, შემდგომ შესაძლებელია დავის სასამართლოში გაგრძელება.[79]

77 Time limits for discrimination claims Equality and Human rights Commission; 2014 წლის 29 დეკემბერი; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.equalityhumanrights.com/legal-and-policy/our-legal-work/strategic-litigation/time-limits-discrimination-claims (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს)

78 Time Limits For Filing A Charge US Equal Employment Opportunity Commission; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.eeoc.gov/employees/timeliness.cfm (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

79 Human Rights: Time limits for unlawful discrimination claims Australian Human Rights Commission; 2006 წლის აპრილი; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.humanrights.gov.au/publications/site-navigation-6 (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს)

საქართველოს კანონმდებლობით სხვა სამოქალაქო ტიპის დავებზე გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები ბევრად უფრო დიდია, ვიდრე დისკრიმინაციის ფაქტებზე. მაგალითად, სამოქალაქო სამართალში არსებობს ზოგადი 10 წლიანი ვადა, სახელშეკრულებო მოთხოვნებზე მოქმედებს 3 წლიანი ვადა, უძრავ ნივთებთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო მოთხოვნებზე – 6 წელი. აღნიშნულ ხანდაზმულობის ვადებთან შედარებით 3 თვე ძალიან მცირე ვადაა.

2.2.5. AMICUS CURIAE

ქართული სამართალი „სასამართლოს მეგობრის" ინსტიტუტს ითვალისწინებს, როგორც საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში, ასევე, საერთო სასამართლოების დონეზე – სისხლის სამართლის საქმეებზე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კარგად წარმოაჩენს „სასამართლო მეგობრის" ინსტიტუტის ძირითად ელემენტებს: 1) მოსაზრება უნდა წარადგინოს გარეშე პირმა, რომელიც არ წარმოადგენს საქმეში მხარეს ან დაინტერესებულ პირს (უნდა გამოირიცხოს მიკერძოება რომელიმე მხარის მიმართ); 2) მოსაზრებები უნდა შეეხებოდეს კონკრეტული სამართლებრივი პრობლემის მართებულად გადაჭრაში სასამართლოს დახმარებას, რომელიც კონკრეტულ საქმეში წამოიწია (მოსაზრებები უნდა უადვილებდეს სასამართლოს საქმეში წამოჭრილი სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტას).

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „ე" პუნქტით, სახალხო დამცველს ცალკეულ შემთხვევებში შეუძლია შეასრულოს „სასამართლოს მეგობრის" ფუნქცია, როგორც საკონსტიტუციო, ისე საერთო სასამართლოებში. თუმცა, „საერთო სასამართლოების" კანონში ეს ზოგადად არის მითითებული, რაც შესაძლოა იმას გულისხმობდეს, რომ სახალხო დამცველი შეზღუდული არ არის, მხოლოდ სისხლის სამართლის კატეგორიის საქმეებზე წარადგინოს მოსაზრებები. შესაბამისად, სახალხო დამცველი შესაძლოა უფლებამოსილი იყოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის დავებზეც წარადგინოს მოსაზრებები „სასამართლოს მეგობრის" რანგში, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საპროცესო თუ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა აღნიშნულს პირდაპირ არ ითვალისწინებს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიუხედავად სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობაში სპეციალური ჩანაწერის არარსებობისა, საქართველოს სახალხო დამცველმა „სასამართლოს მეგობრის" წერილობითი მოსაზრება წარადგინა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში იეჰოვას მოწმეთათვის „სამეფო დარბაზის" მშენებლობის ნებართვის დისკრიმინაციული მოტივით გაუქმების საქმეზე.[80]

მტკიცების ტვირთის მხარეებზე განსხვავებული წესით გადანაწილება სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ დისკრიმინაციის კატეგორიის საქმეების განხილვა პრაქტიკაში ყოველთვის გარკვეულ სამართლებრივ და პრაქტიკულ სირთულეებს უკავშირდება. უპირველესად კი, სწორედ მომჩივანის მხრიდან დისკრიმინაციის ფაქტის მტკიცებაა რთული. შესაბამისად, მსგავს საქმეებზე სასამართლოსთვის უდავოდ სასარგებლო იქნება აღნიშნულ სფეროში გამოცდილების მქონე კომპეტენტური გარეშე პირის მოსაზრებები „სასამართლოს მეგობრის" რანგში.

ლიტვაში ომბუდსმენი დისკრიმინაციის საფუძველზე საჩივრების განხილვის ფუნქციასთან ერთად, აგრეთვე მოიცავს სასამართლოში „სასამართლოს მეგობრის" რანგში მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობას.[81]

80 საქმე 43/8-თან დაკავშირებით სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://ombudsman.ge/ge/diskriminaciis-prevenciis-meqanizmi/gadawyvetilebebi/amicus-curiae (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს)

81 Office of the Equal opportunities Ombudsperson _Lithuania Equinet; 2012 წელი; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.equineteurope.org/Office-of-the-Equal-Opportunities ჩამოტვირთეთ pdf ფაილი, იხ. გვ. 2 (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

ანალოგიური ვითარებაა ნორვეგიაშიც, სადაც „თანასწორობისა და ანტიდისკრიმინაციის ომბუდსმენს“ (Equality and Anti-Discrimination Ombud – LDO) გააჩნია „სასამართლოს მეგობრის“ რანგში მოსაზრებების წარდგენის უფლებამოსილება.[82]

ასევე საყურადღებოა, ირლანდიისა და დიდი ბრიტანეთის მაგალითები. გაერთიანებულ სამეფოში „თანასწორობისა და ადამიანის უფლებათა კომისია“ (Equality and Human Rights Commission (EHRC)) პასუხისმგებელი ორგანოა დისკრიმინაციასთან ბრძოლის საკითხებში. აღნიშნულ ორგანოს აგრეთვე შეუძლია „სასამართლოს მეგობრის“ რანგში ჩაერთოს კონკრეტულ დავებზე.[83] ხოლო ირლანდიის „ადამიანის უფლებათა და თანასწორობის კომისია“ (Irish Human Rights & Equality Commission (IHREC)) უფლებამოსილია „სასამართლოს მეგობრის“ რანგში გამოვიდეს ზედა ინსტანციის სასამართლოებში იმ დავებზე, რომლებიც ადამიანის უფლებებსა და თანასწორობას შეეხება.[84]

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი ქვეყნის სამართალში „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი სამოქალაქო საქმეებზეც გამოიყენება, სადაც პროცესი წმინდა შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით მიმდინარეობს. ამის საუკეთესო მაგალითად შეერთებული შტატების შემთხვევა გამოდგება, სადაც „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი შტატების სამართლის სისტემის ნაწილი მე-19 საუკუნიდან არსებობს. სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები მოსაზრებებს აქ სამართალწარმოების ნებისმიერ სფეროში წარადგენენ.[85] შესაბამისად, მათ შორის, სამოქალაქო ხასიათის დავებზე „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრებების წარდგენა დაინტერესებულ პირთა მხრიდან ჩვეულებრივ, მისაღებ და კარგად დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს.

2.2.6 უფლებადამცველი ორგანიზაციების როლი სამართალწარმოების პროცესში

2014 წლის 12 დეკემბერს ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC) ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში წარადგინა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩართვის თაობაზე შუამდგომლობა. ეს საქმე ეხება თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებას, რომლითაც იეჰოვას მოწმეებს გაუუქმდათ საკულტო ნაგებობის – „სამეფო დარბაზის“ მშენებლობის ნებართვა.

EMC მესამე პირად ჩართვას ასაბუთებდა შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით: 1. ორგანიზაციის მანდატი და საქმიანობის მიზნები პირდაპირ იყო დაკავშირებული რელიგიის თავისუფლების დაცვასთან; 2. ორგანიზაცია პირებსა და რელიგიურ ორგანიზაციებს უწევს უფასო სამართლებრივ დახმარებას რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებში და იმ პირობებში, როდესაც „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის

82 Office of Anti-discrimination Ombud-Norway Equinet; 2012 წელი; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.equineteurope.org/Equality-and-Anti-Discrimination ჩამოტვირთეთ pdf ფაილი, იხ. გვ. 2. (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

83 Equlity and Human rights Commission – United Kingdom Equinet; 2012 წელი. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.equineteurope.org/Great-Britain-Equality-and-Human (ჩამოტვირთეთ pdf ფაილი, იხ. გვ. 2.)

84 Legal Irish Human rights and Equality Commission; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.ihrec.ie/legal/ (ნანახია 2015 წლის 1 ივნისს).

85 A PRACTICAL GUIDE FOR FILING AMICUS CURIAE BRIEFS IN STATE APPELLATE COURTS Sarah F. Corbally Donald C. Bross 2001 https://c.ymcdn.com/sites/naccchildlaw.site-ym.com/resource/resmgr/amicus_curiae/amicuspracticalguide.pdf იხ. გვ. 1.

შესახებ“ კანონის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა ჯერ არ არის ჩამოყალიბებული, ზესტაფონის სასამართლოს გადაწყვეტილებას პრეცედენტული მნიშვნელობა ჰქონდა და ის ასევე გავლენას მოახდენდა სხვა საქმეებზე ორგანიზაციის მიერ გაწეული იურიდიული მომსახურების შინაარსზე; 3. ორგანიზაცია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მიღებისა და დამუშავების პროცესში აქტიურად მონაწილეობდა და გააჩნდა კანონის გამოყენების ექსპერტული ცოდნა, რაც სასამართლო განხილვას შეუწყობდა ხელს. 4. EMC აქტიურად იყო ჩართული თერჯოლაში იეჰოვას მოწმეთა უფლებების დარღვევის ფაქტების შესწავლაში და ამ საქმესთან კავშირში აწარმოებდა დისციპლინურ და სისხლის სამართლის საქმეს, რის გამოც ზესტაფონის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას შეეძლო გავლენის მოხდენა მიმდინარე სხვა წარმოებებზე.

ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ განიხილა და 2014 წლის 17 დეკემბრის განჩინებით არ დააკმაყოფილა განმცხადებლის შუამდგომლობა მესამე პირად ჩართვის მოთხოვნაზე. სასამართლომ განმარტა, რომ საქმეში მესამე პირად ჩართვა გულისხმობს არა ნებისმიერი დაინტერესებული პირის მონაწილეობას სასამართლო განხილვაში, არამედ კონკრეტული სასამართლო გადაწყვტილებით კანონით დაცული სამართლებრივი ინტერესის ხელყოფის პირდაპირი და უშუალო საფრთხის შემთხვევაში. ამდენად, ნებისმიერმა მსურველმა უნდა დაამტკიცოს უშუალოდ რა ინტერესი შეიძლება შეელახოს საქმის წარმოებისას მისი მონაწილეობის გარეშე გადაწყვტილების მიღების დროს.

რამდენადაც, EMC-ი არ იყო სადავო ურთიერთობის მონაწილე და სასამართლოს გადაწყვეტილება უშუალო გავლენას ვერ მოახდენდა კანონით დაცულ მის ინტერესზე, სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

სასამართლო საქმის წარმოების გაჭიანურების თავიდან არიდების მიზნით, მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, 2014 წლის 17 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრით EMC-მ არ გაასაჩივრა.

ამგვარად, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მონაწილე ორგანიზაციებს საქართველოს კანონმდებლობა არ აძლევს შესაძლებლობას, კვლევებსა და გამოცდილებაზე დაფუძნებული საკუთარი მოსაზრებები წარუდგინონ სასამართლოს, რაც ამ უკანასკნელს დაეხმარება ადამიანის უფლებების საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სისხლის საპროცესო და საკონსტიტუციო სამართალწარმოებისაგან განსხვავებით, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს „სასამართლოს მეგობრის“ (Amicus Curiae) ინსტიტუტს, რაც, შესაძლოა, დამატებითი ბარიერი აღმოჩნდეს უფლებადამცველი ორგანიზაციებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის სამართალწარმოებაში მონაწილეობის მიღების გზით ხელი შეუწყონ ანტიდისკრიმინაციული სტანდარტების დამკვიდრებას.

2.3 სხვა სახელმწიფო დაწესებულებები

ანტიდისკრიმინაციული ღონისძიებების გატარება არ არის მხოლოდ სახალხო დამცველისა და სასამართლოს კომპეტენცია. ამ კუთხით გარკვეული ვალდებულებები ეკისრებათ სხვა სახელმწიფო ორგანოებს. დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ნებისმიერი დაწესებულება ვალდებულია თავისი საქმიანობა, აგრეთვე სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები, თუ ისინი არსებობს, შეუსაბამოს ამ კანონსა და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას;[86]

86 „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე სხვა ორგანოებთან კოალიციის წევრებმა აწარმოეს სამი საქმე: EMC – ვეძათხევის საქმეში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების საკითხების მარეგულირებელ კომისიას სოფლის მაცხოვრებლები უნდა უზრუნველეყო საცხოვრებელი სახლებით. „იდენტობა“ ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტრანსგენდერი პირის სამოქალაქო აქტებში სქესის შესახებ არსებული ჩანაწერის შეცვლას სთხოვს. ანგარიშის მომზადების პერიოდში საქმის წარმოება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. საიამ მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის საფუძველზე და ითხოვა პენსიის გაცემის ნაწილში ორმაგი მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაციის შეწყვეტა. სოციალური მომსახურების სააგენტომ დააკმაყოფილა საიას მოთხოვნა და ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს აღუდგინა პენსიის გაცემა.

რეკომენდაციები სახელმწიფო უწყებებს

რეკომენდაციები სახალხო დამცველს

1) მოწყვლადი ჯგუფების მიმართ გამოთქმული სიძულვილის ენა და სტერეოტიპული შეხედულებები მიიჩნიოს დისკრიმინაციის ხელშემწყობ ფაქტორად და ამასთან დაკავშირებით გამოსცეს ზოგადი წინადადებები;

2) გააფართოვოს საკუთარი ინიციატივით საქმის წარმოების დაწყების პრაქტიკა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ნორმატიული აქტი ან დისკრიმინაციული პოლიტიკა ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს.

რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტს

1) სახალხო დამცველის რეკომენდაციის ან ზოგადი წინადადების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სახალხო დამცველს ჰქონდეს დისკრიმინაციის განმახორციელებელი პირის მიმართ სამართალდარღვევის ოქმის შედგენის შესაძლებლობა;

2) სახალხო დამცველისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს კერძო პირის დაჯარიმება;

3) კანონმდებლობაში გაიწეროს მორალური ზიანის გამოანგარიშების კრიტერიუმები. ამასთან კანონში პირდაპირი მითითება გაკეთდეს იმის თაობაზე, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა ავტომატურად იწვევს მორალური ზიანის არსებობას;

4) გაიზარდოს სასამართლოსათვის მიმართვის ხანდაზმულობის ვადა სამი თვიდან ერთ წლამდე;

5) ადმინისტრაციულმა წარმოებამ არ უნდა გამოიწვიოს სახალხო დამცველის მიერ საქმის წარმოების შეჩერება;

6) კანონით გაიწეროს სახალხო დამცველის მიერ საქმის განხილვის ვადა;

7) კანონმდებლობით დაადგინოს ვადა, რომლის ფარგლებშიც სახალხო დამცველი ვალდებული იქნება გადაწყვეტილება მიიღოს მესამე პირად ჩართვის თაობაზე;

8) დისკრიმინაციის საქმეებზე არსებობდეს დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციების მხრიდან „სასამართლოს მეგობრად“ გამოსვლის შესაძლებლობა; ამასთან ეს უფლებამოსილება სახალხო დამცველს ჰქონდეს ყველა იმ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეზე, სადაც დავის საგანია ადამიანის ფუნდამენტური უფლებები;

9) კანონმდებლობით მოაწესრიგოს სახალხო დამცველის აპარატში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გადაცემისა და განხორციელების საკითხი.

რეკომენდაცია საერთო სასამართლოებს

ადმინისტრაციულ საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში კონკრეტული რეგულაციების არარსებობის მიუხედავად, იხელმძღვანელონ „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე დავებში მხედველობაში მიიღონ სახალხო დამცველის „სასამართლოს მეგობარი“.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს

გააძლიეროს ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით სასამართლო კორპუსისათვის განკუთვნილი სასწავლო კურსი.

კოალიცია თანასწორობისათვის

„კოალიცია თანასწორობისათვის“ არაფორმალური გაერთიანებაა, რომელშიც ხუთი არასამთავრობო ორგანიზაცია შედის: „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია,“ „კონსტიტუციის 42-ე მუხლი,“ „იდენტობა,“ „საფარი“ და „ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი.“ „ღია საზოგადოება – საქართველო“ კოალიციის დონორია და, იმავდროულად, სამდივნოს ფუნქციას ასრულებს. კოალიცია შეიქმნა 2014 წლის აპრილში, როდესაც საქართველოს პარლამენტი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის პაკეტს განიხილავდა.

იმისათვის, რომ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული კანონმდებლობა ეფექტური ყოფილიყო, და ამავდროულად, დაძლეულიყო ის წინააღმდეგობა, რაც კანონპროექტის განხილვის პროცესს ახლდა თან დომინანტი რელიგიური კონფესიის მხრიდან, კოალიციის წევრები ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომაზე ერთიანი პოზიციით წარდგნენ. სამწუხაროდ, პარლამენტმა არ გაიზიარა კოალიციის პრინციპული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ თუკი დისკრიმინაციის განმახორციელებელი პირი არ შეასრულებდა სახალხო დამცველის რეკომენდაციას, ამ უკანასკნელს ჰქონოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის, ხოლო სასამართლოს დისკრიმინაციული ქმედების ჩამდენი პირის დაჯარიმების შესაძლებლობა.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღება არ ყოფილა არაფორმალური კოალიციის მისიის დასასრული. საკანონმდებლო აქტის მიღების შემდეგ კოალიცია დადგა გამოწვევის წინაშე, თავად აქტიურად ჩაბმულიყო საკანონმდებლო აქტის იმპლემენტაციის პროცესში. კანონის ეფექტური აღსრულება მოითხოვდა სახალხო დამცველის აპარატის ინსტიტუციურ გაძლიერებას, მოსამართლეთა ცნობიერების ამაღლებას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კანონით დადგენილი დაცვის საშუალებების დისკრიმინირებული ჯგუფების სამსახურში ჩაყენებას.

სახალხო დამცველის აპარატსა და სასამართლოში მოწყვლადი ჯგუფების ინტერესების დაცვა კოალიციის უმთავრეს მიმართულებად იქცა. კოალიციაში შემავალი ორგანიზაციების შეთანხმებული საქმიანობის, მათი სპეციფიკური ექსპერტიზის, გამოცდილების და სამიზნე ჯგუფთან სიახლოვის გათვალისწინებით კოალიციის წევრებმა სფეროები და მოწყვლადი ჯგუფები გადაინაწილეს: „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ მუშაობს ეთნიკურ და რასობრივ უმცირესობასთან, უცხოელებთან; „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ – პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირებთან, „ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, სოციალურად დაუცველ ინდივიდებთან და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებთან; კავშირი „საფარი“ – ქალებთან, „იდენტობა“ – ლგბტ თემთან.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის ეფექტური იმპლემენტაციისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ ორგანოსთან – სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობა. ამ მიზნით 2015 წლის 16 თებერვალს ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა კოალიციასა და სახალხო დამცველის აპარატს შორის. მემორანდუმის მხარეები ერთმანეთს რეგულარულად გაუზიარებენ დისკრიმინაციის ფაქტების, მათ შორის არაპირდაპირი დისკრიმინაციის გამოვლენისას შეძენილ გამოცდილებას. კოალიციის წევრებმა არაერთხელ გამართეს შეხვედრა სახალხო დამცველთან. საკანონმდებლო წინადადების წარდგენამდე სახალხო დამცველმა კონსულტაცია გაირა კოალიციის წევრებთან. კოალიცია თანასწორობისათვის წევრებმა საკუთარი არგუმენტები გააცნეს სახალხო დამცველს, ასევე იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა

დაცვის კომიტეტებს ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით მომზადებულ წინადადებაზე.

ევროკავშირთან ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების შემფასებელთა ჯგუფმა საქართველოში ვიზიტისას შეხვედრა გამართა კოალიცია თანასწორობისათვის წევრებთან. შეხვედრაზე კოალიციის წევრებმა შემფასებელთა ჯგუფს მიაწოდეს ინფორმაცია ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის იმპლემენტაციის თაობაზე, ასევე საუბარი შეეხო იმ პრობლემებს, რასაც დისკრიმინირებული ჯგუფები ყოველდღიურად აწყდებიან.

ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით კოალიცია თანასწორობისათვის წევრმა ორგანიზაციებმა ამ დროისათვის 31-მდე განცხადება/სარჩელი შეიტანეს (კავშირი „საფარი“ – 4 საქმე, საია – 5 საქმე, EMC – 6 საქმე, „იდენტობა“ – 6 საქმე, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ -10 საქმე). სახალხო დამცველის აპარატში შეტანილია 17 განცხადება (კავშირი „საფარი“ – 3 საქმე, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ – 3 საქმე, „იდენტობა“ – 5 საქმე, EMC-3 საქმე, საია-3 საქმე), სასამართლოში შეტანილია 12 სარჩელი („საფარი“-1 საქმე, „იდენტობა“ -1 საქმე, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ – 7 საქმე, EMC-2 საქმე, საია -1 საქმე). დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე სხვა ორგანოებთან კოლაციის წევრებმა აწარმოეს 3 საქმე (EMC – ერთი საქმე ოჯახების განსახლების საკითხების მარეგულირებელმა კომისიაში, „იდენტობამ“ ერთი საქმე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, სახალხო დამცველის აპარატის პარალელურად, ხოლო საიამ ასევე – ერთი საქმე სოციალური მომსახურების სააგენტოში).

გარდა სამართალწარმოებისა, კოალიცია თანასწორობისათვის მუშაობს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზე. მოსახლეობაში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თაობაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროექტის ფარგლებში მომზადდა 23-წამიანი სოციალური ვიდეორგოლი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კოალიცია თანასწორობისთვის“ შესახებ. ვიდეორგოლში მითითებულია ცხელი ხაზის ნომერი, რომელზეც სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლ ნებისმიერ პირს შეუძლია მიიღოს სამართლებრივი კონსულტაცია და დახმარება კოალიციის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან. საინფორმაციო რგოლი გავრცელდა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერით 25 თებერვლიდან.

მოსახლეობაში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და კოალიცია თანასწორობისთვის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, პროექტის ფარგლებში მომზადდა ბროშურა – „დისკრიმინაციისაგან დაცვის მექანიზმები საქართველოში.“ დოკუმენტი აღწერს, თუ რა არის დისკრიმინაცია, სად, რა ფორმით და ვის მიერ შეიძლება ხორციელდებოდეს ის და რა სამართლებრივი ბერკეტები არსებობს იმ პირებისთვის, ვინც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს. ბროშურაში ასევე მოცემულია ცხელი ხაზის ნომერი, რომელზეც სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლს შეუძლია მიიღოს სამართლებრივი კონსულტაცია და დახმარება კოალიციის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან. ბროშურა სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებში გავრცელდა.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონისა და კოალიცია თანასწორობისთვის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა სოციალურ ქსელებითაც – Facebook-ზე, Twitter-სა და Youtube-ზე.